

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი

დეპარტამენტი

ზანდა მესხიძე

სასურსათო უსაფრთხოების და კვების ინდუსტრიის

კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები

(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)

(ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

რეზო მანველიძე, ე.მ.დ., პროფესორი

ბათუმი-2025

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზანდა მესხიძე

თარიღი:

ხელმოწერა:

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა	13
1.1. სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი	13
1.2. კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება და კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები	39
1.3. სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილება, ძირითადი მიმართულებები	56
თავი 2. სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ზოგიერთი საკითხი	71
2.1. აჭარის სასურსათო პოტენციალის შეფასება და წარმოების ინოვაციური მიდგომები	71
2.2. სასურსათო უსაფრთხოების და კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ძირითადი ტენდენციები	87
2.3. დარგთა შეთანწყობის პრობლემები სასურსათო მეურნეობაში	98
თავი 3. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შეფასება და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიები	105
3.1. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ეროვნულ სტრატეგიაში ჩართულობა	105
3.2. ეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების ძირითადი მიმართულებები	119
3.3. მთავრობის ჩართულობა საექსპორტო სტრატეგიებში და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში	130
დასკვნები და რეკომენდაციები	143
გამოყენებული ლიტერატურა	150

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში არაერთი გლობალური გამოწვევაა, რომელთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასურსათო უსაფრთხოება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO - Food and Agriculture Organization of the United Nations) მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც განიცდიან სურსათის დეფიციტს და კვებით დაუცველობას (Food Insecurity). ეს მწვავე პრობლემატიკა კიდევ უფრო გამძაფრდა გლობალური პანდემიის, კლიმატური ცვლილებებისა და გეოპოლიტიკური დამაბულობის ფონზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოს სასურსათო მარაგებსა და სურსათზე ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობაზე.

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის საზრუნავს. ის მოიცავს არა მხოლოდ საკვების პროდუქტების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, არამედ მათი წარმოების მდგრადობას, ხარისხს და უვნებლობას. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული კვების ინდუსტრიის განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

ჩვენი საკვალიფიკაციო თემის დამუშავების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭეთ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. ინგლისური ტერმინი "Food Security" ქართულ სამეცნიერო სივრცეში სხვადასხვაგვარად ითარგმნება, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას როგორც აკადემიურ წრეებში, ისე პრაქტიკოსებს შორის. ტრადიციულად გამოიყენება ორი ძირითადი ტერმინი - "სასურსათო უსაფრთხოება" და "სასურსათო უშიშროება". აქვე აღვნიშნავთ, რომ არ უნდა მოხდეს "სასურსათო უსაფრთხოების" (Food Security) და "სასურსათო უვნებლობის" (Food Safety) გაიგივება, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ სურსათის ხარისხისა და უვნებლობის საკითხებს მოიცავს. სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ეს FAO-ს მიერ არის განსაზღვრული, წარმოადგენს მდგომარეობას, როდესაც საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიკურად მიიღოს საჭირო რაოდენობის უვნებელი საკვები. ეს საკვები უნდა შეესაბამებოდეს მათ საჭიროებებს და გემოვნურ არჩევანს,

რაც აუცილებელია სრულფასოვანი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესანარჩუნებლად. ამ განმარტების სრულყოფილად გადმოსაცემად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში „სასურსათო უსაფრთხოებასთან“ ერთად გამოყენებული იქნება ტერმინი "სასურსათო ხელმისაწვდომობა", რომელიც ჩვენი აზრით, შედარებით ზუსტად ასახავს კონცეფციის არსს, მის თანამედროვე გაგებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

სასურსათო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან და მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ამ მიმართულებით, კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საკითხი განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც აგროსასურსათო სექტორი ხშირად ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია და მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის აგრარული პოტენციალის, გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმები და საერთაშორისო ვალდებულებები (მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება) ახალ მოთხოვნებს აყენებს კვების ინდუსტრიის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტანდარტების მიმართ. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული მიდგომების განვითარება და ადგილობრივი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი, დგას მრავალი გამოწვევის წინაშე სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის განვითარების კუთხით. გლობალიზაციის პირობებში, რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს სტრატეგიულ პრიორიტეტს.

თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოება განიხილება არა მხოლოდ საკვები პროდუქტების ფიზიკური ხელმისაწვდომობის, არამედ მათი ხარისხის, უვნებლობისა და მდგრადი წარმოების კონტექსტში. აჭარის რეგიონს, თავისი

უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით, გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი გახდეს კონკურენტუნარიანი მოთამაშე კვების ინდუსტრიაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევები და კვების ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს როგორც წარმოების ინოვაციურ შესაძლებლობებს, ისე დარგთა შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის როლს ამ პროცესში და მისი ეფექტიანობის შეფასებას.

თემის აქტუალობა. XXI საუკუნეში გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოება და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. საკითხის აქტუალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე კრიზისული მოვლენების მრავალმხრივი გავლენა: გლობალური პანდემიის შედეგად დარღვეული მიწოდების ჯაჭვები, გეოპოლიტიკური დამაბულობით გამოწვეული სასურსათო ბაზრების არასტაბილურობა, კლიმატის ცვლილების მზარდი ზეგავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე და მსოფლიო მოსახლეობის ზრდით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნა სურსათის მარაგებზე.

აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევის აქტუალობას მნიშვნელოვნად ზრდის შემდეგი გამოწვევები:

- მსოფლიო მოსახლეობის ზრდით გამოწვეული სასურსათო პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა და მისი დაკმაყოფილების გლობალური გამოწვევები;
- საკვები პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის სტანდარტების მუდმივი გამკაცრება და ახალი რეგულაციების შემოღება;
- საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქციის ფასების მნიშვნელოვანი და არაპროგნოზირებადი ცვლილებები;
- მიწოდების ჯაჭვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მზარდი გამოწვევები;

- სასურსათო ნარჩენების მართვისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა.

საქართველოსთვის, და განსაკუთრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კვების ინდუსტრიის განვითარება წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების, არამედ სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიულ პრიორიტეტს. რეგიონში არსებული გამოწვევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- სასურსათო პროდუქციის იმპორტზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება;
- ადგილობრივი წარმოების არასაკმარისი მოცულობა და შეზღუდული კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე;
- სასურსათო პროდუქციის ფასების მნიშვნელოვანი სეზონური რყევები და მათი გავლენა მოსახლეობის მსყიდველობით უნარზე;
- ტურისტული სექტორის დინამიური ზრდით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნა სასურსათო პროდუქციაზე;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გრძელვადიანი გამოწვევები აგროსასურსათო წარმოებისთვის;
- მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების შეზღუდული წვდომა ტექნოლოგიებზე, ფინანსებსა და ბაზრებზე;
- სასურსათო პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და უვნებლობის უზრუნველყოფის გამოწვევები;
- აგროსასურსათო სექტორში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენა.

აღნიშნული საკითხების მრავალმხრივი ხასიათი და მათი გავლენა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მოითხოვს სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევასა და კომპლექსურ მიდგომას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მოკლევადიან სტაბილურობას, ისე გრძელვადიან მდგრად განვითარებას კვების ინდუსტრიაში. ეს

კიდევ უფრო ზრდის წარმოდგენილი კვლევის აქტუალობას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე განახორციელოს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიების ფუნდამენტური კვლევა. ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს სასურსათო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების, უვნებლობის სტანდარტების, რაოდენობრივი ხელმისაწვდომობისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის არსებული გამოწვევები და პრობლემები. კვლევის ფარგლებში განხორციელდა სეზონური მიწოდების თავისებურებების სიღრმისეული ანალიზი და სასურსათო პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდის პოტენციალის შეფასება. ემპირიული და თეორიული კვლევის შედეგების სინთეზის საფუძველზე შემუშავებული იქნება მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

კვლევის ამოცანები. კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- სასურსათო უსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და თანამედროვე მიდგომების კვლევა;
- აჭარის რეგიონის სასურსათო პოტენციალის კომპლექსური შეფასება და წარმოების ინოვაციური შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- კვების ინდუსტრიის არსებული მდგომარეობის სისტემური ანალიზი და განვითარების ტენდენციების პროგნოზირება;
- სასურსათო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრებისა და უვნებლობის სტანდარტების კვლევა;
- დარგთა შეთანწყობის არსებული პრობლემატიკის იდენტიფიცირება და მათი ოპტიმიზაციის მექანიზმების შემუშავება;
- სეზონური მიწოდების თავისებურებების შესწავლა და სასურსათო პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდის პოტენციალის შეფასება;
- სექტორის განვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის როლისა და ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება;

- სასურსათო უსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კვლევის ობიექტია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვების ინდუსტრია და სასურსათო უსაფრთხოება.

კვლევის მეთოდოლოგია. აღნიშნული სადისერტაციო კვლევა ეფუძნება მეთოდოლოგიურ მიდგომათა მრავალფეროვან კომბინაციას, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა საკვლევი საკითხი შესწავლილ იქნას, როგორც ერთიან სისტემად, ასევე ცალკეულ კომპონენტებად. სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით მოხდა რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და ინტერპრეტაცია, ხოლო შედარებითი ანალიზის გამოყენებით განხორციელდა სხვადასხვა მონაცემთა შეპირისპირება და მათი თავისებურებების გამოვლენა. გამოყენებულია თვითუზრუნველყოფის დონის შეფასება, Herfindahl-Hirschman ინდექსზე დაფუძნებული იმპორტის გეოგრაფიული კონცენტრაციის ანალიზი და პირსონის კოეფიციენტით კორელაციური ანალიზი.

კვლევის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ექსპერტული შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზრებებისა და გამოცდილების ინტეგრირებას კვლევის პროცესში. SWOT ანალიზის მეშვეობით გაანალიზდა საკვლევი საკითხის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. დამატებით, კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილებისა და რეალური მდგომარეობის სიღრმისეულ შესწავლას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის ექსპერტებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps-ის აჭარის რეგიონული ფილიალის კოორდინატორმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური

ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილებისა და დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა და რეგიონში მოქმედი აგროსასურსათო საწარმოების წარმომადგენლებმა. ასევე, კვლევის პროცესში მოხდა სტატისტიკური მონაცემების ვერიფიკაცია და დაზუსტება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე. ექსპერტთა მოსაზრებები, შეფასებები და კვლევის შედეგები ინტეგრირებულია წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში და წარმოადგენს მის მნიშვნელოვან კომპონენტს.

კვლევის ინფორმაციული ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს მრავალმხრივი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები. კვლევის პირველად საინფორმაციო წყაროებს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშები და პუბლიკაციები. მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, WHO, WTO) ანალიტიკური დოკუმენტები, კვლევითი ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემთა ბაზები.

კვლევის თეორიულ საფუძველს ქმნის ქართველი და უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო პუბლიკაციებისა და მონოგრაფიების ანალიზი სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის საკითხებზე. საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, მათ შორის საქართველოს კანონების, მთავრობის დადგენილებებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლა უზრუნველყოფს საკვლევი საკითხის სამართლებრივი ასპექტების სრულფასოვან გააზრებას.

კვლევის ინფორმაციული ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს დარგის ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და ექსპერტული შეფასებების შედეგად მოპოვებული პირველადი მონაცემები. დამატებით გაანალიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამადლების სფეროში.

კვლევის მეცნიერული სიახლე. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეებს. კვლევის პროცესში მიღებული შედეგებიდან მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს შემდეგი:

- დასაბუთებულია, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ ბიზნესის მიღწევათა შედეგს, არამედ სახელმწიფო პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმებით მიღწეული შედეგების ერთობლიობას;
- დადგენილია, რომ კვების ინდუსტრიის, მათ შორის სასურსათო მეურნეობის მწარმოებლურობა, წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას;
- ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა არის უნარი, შესაძლებლობა და მზადყოფნა საერთაშორისო ბაზრების შესაბამისი სტანდარტების პროდუქტების წარმოებისათვის და ინდუსტრიაში ჩართული სუბიექტების შემოსავლების მდგრადობის უზრუნველყოფისთვის;
- წარმოდგენილია არგუმენტირებული მოსაზრებები სასურსათო ინდუსტრიის დარგების შეთანწყობის ოპტიმიზაციის შესახებ. გამოკვეთილია ინოვაციური, ინდუსტრიული, საექსპორტო და ტრადიციული სასურსათო შიდა ბაზრის ფორმირებული დარგების განვითარების ძირითადი პარამეტრები;
- დასაბუთებულია სასურსათო ინდუსტრიის ცალკეულ დარგებში ექსპორტისა და იმპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილია შიდა ბაზრებზე კომპანიების, საიმპორტო და საექსპორტო ტარიფების, კვოტების, ლიცენზიების, ტექნოლოგიების გადაცემის პროცესში არსებული შეზღუდვების შემსუბუქების ან გაუქმების საკითხებზე;
- დასაბუთებულია სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მიზანშეწონილობა. წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური, ორგანიზაციული, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ინოვაციური და

სოციალური ხასიათის მექანიზმების ტრანსფორმაციის შესაძლებლობები, სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპები და მექანიზმები;

- წარმოდგენილია კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისა და სასურსათო უზრუნველყოფის შეფასება რეგიონულ დონეზე. გამოკვეთილია ამ პროცესებში სახელმწიფოს, მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების, სხვადასხვა ფონდებისა და გაერთიანებების ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების შესაძლებლობები და საჭიროება;
- შემუშავებულია რეკომენდაციები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებისთვის;
- გაანალიზებული და გათვალისწინებულია უცხოური გამოცდილება კვების ინდუსტრიის განვითარების სფეროში;
- წარმოდგენილია დასაბუთებული წინადადებები ფერმერული მეურნეობის განვითარების, მიკრო და მცირე ფერმერების კვების ინდუსტრიაში ჩართვის საბაზრო მექანიზმებისა და შემოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობების შესახებ. მოცემულია კონკრეტული ღონისძიებათა სისტემის თანმიმდევრობა და რეალიზაციის გზები;
- შემუშავებული და დასაბუთებულია დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს გააჩნია მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება. კვლევის მასალები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეგიონული განვითარების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში და კვების ინდუსტრიის განვითარების პროგრამების დაგეგმვისას. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი და დასკვნები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ბიზნეს სუბიექტებისთვის მათი სტრატეგიული განვითარების გეგმების

შემუშავებისას. კვლევაში წარმოდგენილი მასალები და მიგნებები სასარგებლო იქნება ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის, მკვლევარებისა და პრაქტიკოსებისთვის საკითხის სიღრმისეული შესწავლის პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური არსი და მნიშვნელობა

1.1. სასურსათო უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და მისი უზრუნველყოფა არის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. საკვების დეფიციტი და შიმშილი იწვევს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს, როგორცაა სიდარიზე, არასტაბილურობა, მიგრაცია და კონფლიქტები. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

ეკონომიკის თეორიული საფუძვლების კვლევა იწყება კლასიკური ეკონომიკური აზრის ფუძემდებლების ნაშრომებიდან. ადამ სმიტი განიხილავდა ეროვნული ეკონომიკური სისტემის უსაფრთხოებას, როგორც თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების შედეგს. მისი თეორიის თანახმად, ბაზრის "უხილავი ხელი" უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ეკონომიკურ სტაბილურობას. სმიტი არ საუბრობს პირდაპირ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, მაგრამ მისმა იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური უსაფრთხოების კლასიკურ გაგებას, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ვაჭრობის, კონკურენციისა და კერძო საკუთრების პრინციპებს (Smith, 1776).

კლასიკური სკოლის იდეები შემდგომში განავითარა დავიდ რიკარდომ, რომელმაც შეფარდებითი უპირატესობის თეორიით აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერება საერთაშორისო ვაჭრობის გზით. რიკარდოს თეორია დღემდე რჩება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გააზრების მნიშვნელოვან საფუძვლად და მის თეორიებს კვების ინდუსტრიის განხილვისას შევხებით (Ricardo, D. 1817/2015).

ეკონომიკური უსაფრთხოების, როგორც დამოუკიდებელი კონცეფციის ჩამოყალიბება უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს. პირველად ეს ტერმინი ოფიციალურ დონეზე გაჩნდა აშშ-ს 1947 წლის ეროვნული უსაფრთხოების

აქტი (National Security Act of 1947), სადაც ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილებოდა როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

1970-იანი წლების გლობალურმა ენერგეტიკულმა კრიზისმა განაპირობა ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის აქტუალიზაცია როგორც პრაქტიკულ პოლიტიკაში, ისე აკადემიურ კვლევებში. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემურ კვლევას.

ფუნდამენტური თეორიული გარდატეხა ეკონომიკური უსაფრთხოების კვლევაში დაკავშირებულია ბარი ბუზანის სახელთან. მის ნაშრომში "People, States and Fear: The National Security Problem in International Relations", ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოდგენილია როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი სექტორი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას (Buzan, B., 1983/2009).

გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, 1990-იანი წლებიდან, ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია კიდევ უფრო გაფართოვდა. მკვლევარები დაინტერესდნენ გლობალიზაციის გავლენით ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ პერიოდში ყალიბდება ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური გაგება, რომელიც მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ფინანსური სტაბილურობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, სასურსათო უზრუნველყოფა და ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა.

XXI საუკუნეში ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია კიდევ უფრო გართულდა ახალი გლობალური გამოწვევების ფონზე. მაილს კალერი თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური უსაფრთხოება მოითხოვს ბალანსის დაცვას გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ეროვნული ინტერესების დაცვას შორის (Kahler, 2004).

ჩვენი აზრით ყურადსაღებია ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფცია (Nesadurai, H. E. S., 2005). რომელიც მოიცავს რამდენიმე კრიტიკულ კომპონენტს, მათ შორის:

- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

- ფინანსურ უსაფრთხოებას;
- ენერგეტიკულ უსაფრთხოებას;
- სასურსათო უსაფრთხოებას;
- ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას.

ეს კომპონენტები ურთიერთდაკავშირებული და კომპლექსურია, განსაკუთრებით მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა. თითოეული მათგანი საქართველოს რეალობაში სპეციფიკურ გამოწვევებს წარმოაჩენს:

მაკროეკონომიკური სტაბილურობა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლარის კურსის მერყეობის, სავაჭრო დეფიციტისა და საგარეო ვალის კონტექსტში. ქვეყნის ეკონომიკა მგრძნობიარეა გარე შოკების მიმართ, რაც 2008 წლის ომის, 2020 წლის პანდემიისა და რეგიონული კონფლიქტების დროს გამოჩნდა.

ფინანსური უსაფრთხოების კუთხით, საქართველოს საბანკო სექტორი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, რაც სისტემურ რისკებს ზრდის. კერძოდ, ორი სისტემური მნიშვნელობის ბანკი - საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი - აკონტროლებს საბანკო სექტორის აქტივების დაახლოებით 75%-ს. სექტორის კონცენტრაციის მაჩვენებელი (HHI ინდექსი) აქტივების მიხედვით 2800-ს აღემატება, რაც მნიშვნელოვნად სცდება საერთაშორისოდ მიღებულ ზღვარს (2000) მაღალკონცენტრირებული ბაზრებისთვის. ამასთან, მოსახლეობის მაღალი დოლარიზაცია დამატებით გამოწვევას წარმოადგენს - სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 50%-ს აღწევს, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაცია 60%-ს აღემატება. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება სეზ-ის სამიზნე ნიშნულებს და ზრდის ფინანსურ სექტორში სავალუტო რისკებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება კრიტიკულია, რადგან საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტირებულ ენერგორესურსებზე. თუმცა, ჰიდრორესურსების სწორი ათვისება და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერება შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის.

სასურსათო უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალური კრიზისების ფონზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალი სათანადოდ არ არის ათვისებული, ხოლო საკვები პროდუქტების იმპორტზე დამოკიდებულება მაღალია.

ტექნოლოგიური უსაფრთხოების კუთხით, საქართველო დგას გამოწვევების წინაშე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში. კიბერუსაფრთხოება, ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ამ კომპონენტების ურთიერთქმედება ქმნის კომპლექსურ სურათს, სადაც ერთი სფეროს პრობლემა ხშირად აისახება სხვა სფეროებზეც. მაგალითად, ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები პირდაპირ აისახება მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, ხოლო ფინანსური სექტორის გამოწვევები გავლენას ახდენს ტექნოლოგიურ განვითარებაზე.

შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და კოორდინირებულ პოლიტიკას ყველა ზემოხსენებული მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოხდეს რისკების პრევენცია და შემარბილებელი მექანიზმების შემუშავება, რაც საქართველოს ეკონომიკას მეტ მდგრადობას შესძენს გლობალური გამოწვევების პირობებში.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მდგრადი განვითარების პარადიგმა, რომელიც ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავს ეკოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებთან მჭიდრო კავშირში. ამ კონტექსტში, სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს. სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. თომას მალთუსის ადრეული ნაშრომი (Malthus, 1798), პირველად იკვლევდა მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო რესურსებს შორის დისბალანსის საფრთხეს. მას შემდეგ, ეს კონცეფცია გაფართოვდა და დღეს მოიცავს არა მხოლოდ საკვების რაოდენობრივ საკმარისობას, არამედ მის ხელმისაწვდომობას, სტაბილურობას და მდგრადობას.

სასურსათო უსაფრთხოების, როგორც დამოუკიდებელი კონცეფციის ჩამოყალიბება უკავშირდება FAO-ს მიერ 1974 წელს შემუშავებულ მიდგომებს. კონცეფციის განვითარებაში, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ამირტია სენის ნაშრომმა "Poverty and Famines: An Essay on Entitlement and Deprivation". მან პირველმა აჩვენა, რომ შიმშილი და სასურსათო კრიზისი არ არის მხოლოდ საკვების ფიზიკური ნაკლებობის შედეგი, არამედ უკავშირდება ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას და სოციალურ უფლებებს (Sen, A. 1981/2003).

ჩვენ გამოვიყენებთ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თანამედროვე განმარტებას, რომლის თანახმად სასურსათო უსაფრთხოება არსებობს მაშინ, როდესაც საზოგადოების ყველა წევრს, ნებისმიერ დროს, გააჩნია შეუფერხებელი წვდომა ადეკვატურ და სრულფასოვან საკვებზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ხელს უწყობს სრულყოფილ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (FAO, 2014).

ასევე ვხელმძღვანელობთ FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ოთხი ძირითადი განზომილებით:

1. ხელმისაწვდომობა - საკვების ადეკვატური რაოდენობის არსებობა საბაზრო წყაროებიდან, საკუთარი წარმოებით ან იმპორტის დახმარებით
2. სურსათზე ეკონომიკური და ფიზიკური მისაწვდომობა - სურსათის შესაძენად საკმარისი რესურსების ქონა
3. სურსათის გამოყენება - საკვების სათანადო მომზადება და ჰიგიენური მოხმარება
4. სტაბილურობა - სურსათზე სტაბილური ხელმისაწვდომობა დროის განმავლობაში

სწორედ ამ ოთხი კომპონენტის გააზრებით და ანალიზით ჩამოვაყალიბეთ - ტერმინი "სასურსათო ხელმისაწვდომობა" - რომელიც მოიცავს როგორც პროცესს, ისე შედეგს და მკაფიოდ გამოხატავს სურსათზე ხელმისაწვდომობის, სასურსათო უზენბლობისა და უსაფრთხოების კომპლექსურ ბუნებას.

ზემოთ ჩამოთვლილი 4 კომპონენტის მიხედვით ფასდება გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ინდექსიც, სადაც 2023 წლის მონაცემებით, 113 ქვეყანას შორის ლიდერობენ სკანდინავიის და დასავლეთ ევროპის ქვეყნები: ფინეთი (83.7), ირლანდია (81.7) და ნორვეგია (80.5). ეს ქვეყნები განსაკუთრებით მაღალ ქულებს იღებენ საკვების ხელმისაწვდომობის (Affordability) და ხარისხისა და უსაფრთხოების (Quality and Safety) კომპონენტებში. ინდექსის ბოლო პოზიციებს იკავებენ სირია (36.3), ჰაიტი (38.5) და იემენი (40.1), რაც ძირითადად აიხსნება ამ ქვეყნებში არსებული კონფლიქტებით, პოლიტიკური არასტაბილურობითა და ეკონომიკური კრიზისებით (Economist GFSI, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ ინდექსში, FAO-ს მონაცემები იძლევა საშუალებას შევაფასოთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. 2021-2023 წლების მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 32.4% (1.2 მილიონი ადამიანი) განიცდის ზომიერ ან მძიმე სასურსათო უსაფრთხოებას, 7.5% (300,000 ადამიანი) იმყოფება მძიმე სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაში, ხოლო 4% (100,000 ადამიანი) განიცდის არასაკმარის კვებას (GAFS, 2023). ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც აზერბაიჯანი 66-ე (59.8), თურქეთი 49-ე (65.3) და რუსეთი 43-ე (69.1) პოზიციებს იკავებენ გლობალურ ინდექსში, საქართველოს მონაცემები მიაწვდის, რომ ქვეყანა სავარაუდოდ მსგავს ან უფრო დაბალ პოზიციას დაიკავებდა ამ რეიტინგში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის თითქმის მესამედი დგას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის წინაშე, რაც მიუთითებს სტრუქტურული რეფორმების აუცილებლობაზე სოფლის მეურნეობის, სოციალური დაცვისა და სასურსათო პოლიტიკის მიმართულებით.

გლობალიზაციის პირობებში, სასურსათო ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტად უკავშირდება საერთაშორისო ვაჭრობის, კლიმატის ცვლილების და ტექნოლოგიური განვითარების საკითხებს. XXI საუკუნეში ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თეორიები სულ უფრო მეტად ურთიერთგადაჯაჭვული ხდება, რაც

ასახავს თანამედროვე მსოფლიოს კომპლექსურ გამოწვევებს და მოითხოვს მრავალმხრივ, ინტეგრირებულ მიდგომებს გლობალურ დონეზე.

ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების შეფასება ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება მაკროეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი ინდიკატორები, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის მაასტრიხტის კრიტერიუმებს. საბიუჯეტო დეფიციტის ზღვრული მაჩვენებელი განსაზღვრულია მშპ-ს 3%-ით, ხოლო სახელმწიფო ვალის - 60%-ით მშპ-სთან მიმართებაში (TEU,2020).

სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება, FAO-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, ეფუძნება ოთხ ფუნდამენტურ განზომილებას, რომელთაგან თითოეული ხასიათდება სპეციფიკური ინდიკატორებით (FAO,2014):

1. სურსათის ხელმისაწვდომობა (Food Availability)

ამ განზომილების ძირითად ინდიკატორებს წარმოადგენს:

ა) საშუალო კვებითი ენერგიის მიწოდების ადეკვატურობა (Average Dietary Energy Supply Adequacy - ADESA):

- გამოხატავს მოსახლეობის კვებითი ენერგიის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს
- იზომება პროცენტულად, სადაც 100% ნიშნავს სრულ დაკმაყოფილებას
- გაიანგარიშება ფორმულით: (კვებითი ენერგიის მიწოდება / კვებითი ენერგიის მოთხოვნა) $\times 100$
- რეკომენდებული მინიმალური ზღვარი შეადგენს 120%-ს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მარაგს

ბ) სურსათის წარმოების საშუალო ღირებულება:

- გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე საერთაშორისო დოლარებში
- ასახავს ქვეყნის შიდა წარმოების პოტენციალს

- მოიცავს ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურას და მეცხოველეობის პროდუქტებს
- ნორმალიზებულია საერთაშორისო ფასებით შედარებადობის უზრუნველსაყოფად

2. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა (Economic Access)

ამ მიმართულების მთავარი ინდიკატორებია:

ა) შიდა სასურსათო ფასების დონის ინდექსი:

- წარმოადგენს პარიტეტული მსყიდველობითი უნარის (PPP) შეფარდებას ოფიციალურ გაცვლით კურსთან
- ახასიათებს სურსათის ფასების შედარებით დონეს საერთაშორისო ბაზართან მიმართებაში
- მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს სურსათის მაღალ ფასებზე და შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე
- ოპტიმალურ დონედ მიიჩნევა 1-თან მიახლოებული მნიშვნელობა

ბ) მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე:

- გამოიხატება მსყიდველობითი უნარის პარიტეტით (PPP) საერთაშორისო დოლარებში
- წარმოადგენს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ზოგად მაჩვენებელს
- კორელაციაშია სურსათზე ხელმისაწვდომობის დონესთან
- გაიანგარიშება მუდმივ ფასებში დროითი შედარებადობის უზრუნველსაყოფად

* მსყიდველობითი უნარის პარიტეტი PPP (მუპ) - ეს არის ვალუტების გაცვლის კურსი, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების ფასების შედარების საფუძველზე. მარტივად რომ ავხსნათ, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების რეალური ღირებულების შედარებისას, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გვაჩვენებს მათ თანაფარდობას ერთნაირი საქონლისა და მომსახურების შემქნის

კონტექსტში, რა თანხა გვჭირდება პირობითად, ბურგერისთვის საქართველოში (ლარში) და რა ამერიკაში (დოლარში).

3. სურსათის გამოყენება (Utilization)

ეს განზომილება ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

ა) წყლის წყაროებზე ხელმისაწვდომობა:

- მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელსაც აქვს წვდომა გაუმჯობესებულ წყლის წყაროებზე
- სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე
- საკანალიზაციო სისტემებზე ხელმისაწვდომობა

ბ) კვებითი მაჩვენებლები:

- არასრულფასოვანი კვების გავრცელების მაჩვენებელი
- მიკრონუტრიენტების დეფიციტის დონე
- სიმაღლესთან მიმართებაში წონის დეფიციტის მქონე ბავშვების წილი

4. სტაბილურობა (Stability)

სტაბილურობის შეფასება ხდება შემდეგი ინდიკატორებით:

ა) წარმოების ვარიაბელურობა (დისპერსია):

- ძირითადი სასურსათო კულტურების მოსავლიანობის ცვალებადობა
- სასურსათო მარაგების დონე
- იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი

ბ) ფასების სტაბილურობა:

- სასურსათო ფასების ვოლატილობის ინდექსი
- საკვების ფასების ინფლაცია
- სეზონური ცვლილებების ამპლიტუდა

აღნიშნული ინდიკატორების კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა:

1. შეფასდეს სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა ქვეყნის მასშტაბით
2. გამოვლინდეს სისტემური პრობლემები და რისკები
3. შემუშავდეს მიზნობრივი პოლიტიკა და ღონისძიებები
4. განხორციელდეს პროგრესის მონიტორინგი დროში

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდიკატორების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ქვეყნის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რადგან თითოეული მაჩვენებელი შეიძლება სხვადასხვაგვარად აისახებოდეს კონკრეტული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების რეალურ მდგომარეობაზე (FAO,WHO, 2023)

წინამდებარე ნაშრომში, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების გათვალისწინებით, შეფასებით, ანალიზით და სხვადასხვა ფაქტორების გამოვლენით წარმოგიდგენთ არსებულ რეალობას, სიახლეებს, ინოვაციურ მიდგომებს და რეკომენდაციებს.

საქართველოს სურსათის უზრუნველყოფის მდგომარეობის შეფასება, FAO-ს მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, აჩვენებს, რომ ქვეყანაში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები.

სურსათის ხელმისაწვდომობის (Availability) კუთხით, განსაკუთრებით საყურადღებოა ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლები. საქსტატის 2023 წლის მონაცემებით, ხორბლით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 22%-ს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს (80%). ამ და სხვა კულტურების კოეფიციენტებს ჩვენ წინამდებარე დისერტაციაში, დეტალურად გავეცნობით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სურსათის უზრუნველყოფის გამოწვევები არ არის მხოლოდ წარმოების ან სოფლის მეურნეობის პრობლემა, არამედ მნიშვნელოვან სოციო-ეკონომიკურ რისკებს წარმოქმნის ქვეყნის მასშტაბით, განვიხილოთ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენენ ზეგავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე:

- **ადამიანური კაპიტალი** - შიმშილი და კვებითი დეფიციტი აფერხებს ადამიანის კოგნიტურ და ფიზიკურ განვითარებას, იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს და ნეგატიურად აისახება შრომის ნაყოფიერებაზე. ხოლო ჯანსაღი, განათლებული და მწარმოებლური საზოგადოება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის (Hoddinott, 2013).
- **სიღარიბის შემცირება** - სასურსათო უზრუნველყოფის არარსებობა წარმოადგენს სიღარიბის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მსოფლიოში. ოჯახების შემოსავლების დიდი ნაწილი იხარჯება საკვებზე, რაც ამცირებს მათ შესაძლებლობას განათლებაში, ჯანდაცვაში და ბიზნესის კეთებაში. შესაბამისად, სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას (FAO, 2020).
- **სოციალური სტაბილურობა** - საკვების ნაკლებობა და გაძვირება ხშირად იწვევს სოციალურ დაძაბულობას, საპროტესტო აქციებს და პოლიტიკურ არასტაბილურობას. 2007-2008 წლების მსოფლიო სასურსათო კრიზისმა ცხადყო, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები სწრაფად გადადის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში (Bellemare, M.F., 2015).
- **ეკონომიკური ზრდა** - კვებითი სტატუსის გაუმჯობესება და სასურსათო უზრუნველყოფა უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ხარჯების შემცირებას ჯანდაცვაზე და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას. შეფასებებით, გლობალურად შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების დანაკარგები შეადგენს 3.5 ტრილიონ აშშ დოლარს წელიწადში (FAO, 2013).
- **საგარეო ეკონომიკური რისკები** - ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან იმპორტულ სურსათზე, განიცდიან მოწყვლადობას საერთაშორისო ფასების მერყეობის, სავაჭრო შეზღუდვების და სხვა შოკების მიმართ. ეს კი ამცირებს მათ ეკონომიკურ სუვერენიტეტს (Puma, M. J., Bose, S., Chon, S. Y., & Cook, B. I. , 2015).
- **სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა** - ბევრ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ქმნის მშპ-ს მნიშვნელოვან ნაწილს და დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, სასურსათო სექტორის განვითარება და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.


ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია შიმშილისა და ცუდი კვების შემცირების მიმართულებით. 1990-2020 წლებში, მიუხედავად მსოფლიო მოსახლეობის 1.9 მილიარდით გაზრდისა, შიმშილის მსხვერპლთა რაოდენობა შემცირდა 825 მილიონიდან 690 მილიონამდე. ამის მიუხედავად, მოსახლეობის დაახლოებით 8.9%-ს, ანუ ყოველი მე-11 ადამიანი, 2019 წელს მწვავე შიმშილს განიცდიდა, ხოლო 26.4% (2 მილიარდი) აწყდებოდა ზომიერ ან მძიმე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს (GHI, 2020).

FAO-ს მონაცემებით, 2014-2016 წლებში შიმშილის მსხვერპლთა რაოდენობა სტაბილურად მცირდებოდა, თუმცა 2019-2020 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის გამო მათი რიცხვი კვლავ გაიზარდა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა აფრიკის კონტინენტზე, სადაც ქრონიკული შიმშილის მაჩვენებელი 19.1%-ს შეადგენს, ხოლო ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში - 7.4%-ს (FAO, IFAD, UNICEF, WFP and WHO. 2020).

2020 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში FAO და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ხაზს უსვამენ, რომ მსოფლიო არ არის სწორ გზაზე მდგრადი განვითარების მე-2 მიზნის (SDG 2) მისაღწევად, რომელიც გულისხმობს შიმშილის აღმოფხვრას 2030 წლისთვის. მიუხედავად საერთაშორისო ძალისხმევისა, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების ტემპი ძალზე ნელია და არსებული პროგრესი არათანაბარია რეგიონებსა და ქვეყნებს შორის.

სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, საქართველო საკმაოდ მოწყვლადი ქვეყანაა, რამდენიმე გარემოების გამო. პირველ რიგში, ქვეყნის შიდა წარმოების და პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების მიხედვით, სამომხმარებლო კალათაში მნიშვნელოვანი როლი აქვს პურ-ფუნთუშეულს და ხორბლის თვითუზრუნველყოფის კეფიციენტი მხოლოდ 22%-ია, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ვერ აკმაყოფილებს შიდა მოთხოვნას და მაღალია იმპორტზე დამოკიდებულება. გარდა ამისა, ქვეყანაში 2023 წლის მონაცემებით, ჯერ კიდევ 11,8%-ია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (იხ.ნახაზიN1).

ნახაზი N1. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია სხვა ისეთი ფაქტორები როგორიცაა, ინფრასტრუქტურული გამოწვევები, ეკონომიკური საკითხები-ლარის კურსის მერყეობა, მოსახლეობის დაბალმსყიდველუნარიანობა და სხვა, ცოდნისა და ტექნოლოგიების დეფიციტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასურსათო უზრუნველყოფის პოლიტიკის სწორად შექმნაში.

ბოლო პერიოდში ქვეყანაში განხორციელდა რამდენიმე ინიციატივა სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, რომელთა შორისაა:

- სახელმწიფო პროგრამა "დანერგე მომავალი", რომელიც ახალისებს მრავალწლიანი კულტურების გაშენებას და მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.
- ს/ს სუბსიდირების პროგრამა "იაფი კრედიტი ფერმერებს", რომელიც გულისხმობს შეღავათიან აგროკრედიტს და ლიზინგს ფერმერებისთვის.
- სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები სხვადასხვა კულტურის მოყვანის და წარმოების ნაწილში (დეტალურად იხილეთ ვებ გვერდზე - <https://www.rda.gov.ge/programs>)

➤ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) პროგრამები აგროტექნოლოგიების დანერგვისა და სოფლის მეურნეობაში ინოვაციური გადაწყვეტილებების წახალისებისთვის.

➤ ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სისტემების ჰარმონიზაციისთვის ევროკავშირის სტანდარტებთან.

➤ მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციისა და სასურსათო სისტემების განვითარებისთვის.

მიუხედავად ამისა, ქვეყანას კვლავ ესაჭიროება მასშტაბური ინვესტიციები და რეფორმები სასოფლო-სამეურნეო სექტორის გასაძლიერებლად, სიღარიბის შესამცირებლად, სასურსათო იმპორტისგან დამოუკიდებლობის ასამაღლებლად, თუმცა პარალელურად, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებასთან ერთად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია არსებული იმპორტის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია. საქსტატის 2023 წლის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტის გეოგრაფიული კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით ($HHI = \sum s_i^2$) გამოვლინდა კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლები, რაც მიწოდების შეფერხების რისკებს ზრდის.

ხორბლის იმპორტი, რომელმაც 2023 წელს 535 ათასი ტონა შეადგინა, ხასიათდება მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაციით ($HHI=0.72$), სადაც რუსეთი და ყაზახეთი მთლიანი მიწოდების 85%-ს უზრუნველყოფენ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება რძის პროდუქტებშიც, რომელთა იმპორტმა 197 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო კონცენტრაციის ინდექსი 0.65-ს უტოლდება. ამ შემთხვევაში, ძირითადი მიმწოდებლები უკრაინა და ბელარუსია, თუმცა ბოლო პერიოდში გაჩნდა ახალი მიწოდების წყაროები — გერმანია და საფრანგეთი. შედარებით დივერსიფიცირებულია ბოსტნეულის იმპორტი (142 ათასი ტონა), რომლის კონცენტრაციის ინდექსი 0.58-ს შეადგენს, ხოლო ძირითადი მიმწოდებლები თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანია (სსეს, 2023).

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოწყვლადობით ხასიათდება. სტრატეგიული პროდუქტების იმპორტის მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია ქვეყანას აყენებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოტენციური პოლიტიკური რისკების წინაშე. განსაკუთრებით პრობლემურია, ის რომ ძირითადი მიმწოდებელი ქვეყნები ხშირად თავად არიან ჩართულნი გეოპოლიტიკურ დამაბულობებში. ასევე, მნიშვნელოვანი ასპექტია სავაჭრო პოლიტიკის გამოყენება გეოპოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ სავაჭრო შეზღუდვები და ემბარგოები ხშირად გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, რაც განსაკუთრებით სახიფათოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც მაღალი იმპორტდამოკიდებულება აქვთ კონკრეტულ მიმწოდებლებზე.

ფასების დინამიკის ანალიზი ავლენს მჭიდრო ურთიერთკავშირს სამ ძირითად ფაქტორს შორის: იმპორტდამოკიდებულება, სეზონურობა და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები. საქართველოში 2024 წლის მონაცემებით გამოვლინდა, რომ ბოსტნეულსა და ბაღჩეულში ფასები მკვეთრად გაიზარდა (+5.3%), რაც გამოწვეულია როგორც სეზონური ფაქტორებით, ისე იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით. ასევე აღინიშნა ზეთისა და ცხიმის (+3.0%) და რძის პროდუქტების (+2.4%) ფასების ზრდა, ხოლო ხილისა და ყურძნის ფასები შემცირდა (-1.0%) სეზონური ფაქტორების გამო (ინფლაცია, 2024/12).

კორელაციური ანალიზი აჩვენებს მჭიდრო კავშირს ($r = 0.72$) სეზონურობასა და ფასების ცვლილებას შორის, განსაკუთრებით ბოსტნეულის კატეგორიაში. იმპორტდამოკიდებულების მაღალი დონე ($HHI > 0.5$) პირდაპირ კორელირებს ფასების მერყეობასთან, რაც ადასტურებს ადგილობრივი წარმოების გაძლიერების მნიშვნელობას ფასების სტაბილურობისთვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ფასების მერყეობა არათანაბრად აისახება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის, რომლებიც შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს სურსათზე ხარჯავენ, ფასების ზრდა განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს და აღრმავებს სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევებს.

ანალიზი აჩვენებს, რომ ფასების სტაბილიზაციისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს იმპორტის დივერსიფიკაციას, ადგილობრივი წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ტექნოლოგიური განახლება, წარმოებისა და იმპორტის დივერსიფიკაცია, კოოპერაციის განვითარება, ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვა.

გარდა ფასების და იმპორტდამოკიდებულების პრობლემებისა, არსებობს სხვა რიგი გამოწვევები, რომლის წინაშეც არამხოლოდ საქართველო, არამედ სრულიად მსოფლიო დგას. თუმცა ცხადია პრობლემის მოგვარება იწყება, ადგილობრივ დონეზე, გადაჭრის გზების ძიებით, რომელიც საერთო ჯამში შექმნის ჯანსაღ გლობალურ გარემოს.

თანამედროვე გამოწვევები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის ზრდა, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, უთანასწორობა, არასტაბილურობა, მოითხოვს მრავალმხრივ, კოორდინირებულ ძალისხმევას როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე. მნიშვნელოვანია კომპლექსური პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოციალურ დაცვას, სურსათის ეფექტურ გამოყენებას და საერთაშორისო თანამშრომლობას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის ანალიზისთვის, განვიხილოთ ძირითადი პროდუქტების სასურსათო ბალანსები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N1. სასურსათო ბალანსი ზოგიერთ პროდუქტზე

პროდუქტის დასახელება	მაჩვენებლები	პერიოდი (წელი)				
		2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობა, ათასი კაცი		3 717	3 729	3 689	3 736	3 695
ხორბალი	თვითუზრუნველყოფა	15%	15%	22%	22%	22%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	101	102	136	157	147
	იმპორტი(ათასი ტონა)	597	570	482	557	535
	მოხმარება ერთ სულზე ფქვილის სახით / კგ. წელიწადში	129	130	127	118	114

სიმინდი	თვითუზრუნველყოფა	70%	68%	74%	62%	70%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	207	255	233	153	191
	იმპორტი (ათასი ტონა)	90	121	83	97	81
	მოხმარება ერთ სულზე ფქვილის სახით კგ. წელიწადში	33	34	37	37	35
კარტოფი	თვითუზრუნველყოფა	93%	92%	115%	101%	87%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	195	209	235	199	197
	იმპორტი (ათასი ტონა)	19	24	19	21	35
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	47	49	53	51	50
ბოსტნეუ	თვითუზრუნველყოფა	62%	63%	61%	52%	52%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	161	176	149	129	142
	იმპორტი (ათასი ტონა)	109	112	108	129	142
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	55	57	56	51	58
ყურძენი	თვითუზრუნველყოფა	151%	145%	173%	201%	236%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	294	317	272	287	221
	იმპორტი (ათასი ტონა)	1	1	1	1	1
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	25	21	20	18	19
მრგ-ს ხორცი	თვითუზრუნველყოფა	76%	80%	83%	83%	74%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	22.1	20.1	20.5	23.8	22.7
	იმპორტი (ათასი ტონა)	8.2	8.6	6.5	6.0	9.5
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	8	7	7	8	8
ღორის ხორცი	თვითუზრუნველყოფა	46%	53%	52%	47%	46%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	18.3	19.8	21.8	20.7	25.8
	იმპორტი (ათასი ტონა)	23.2	18.7	24.5	28.2	33.6
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	11	10	11	12	15
თხის და ცხვრის ხორცი	თვითუზრუნველყოფა	184%	97%	105%	103%	100%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	5.9	4.9	4.4	5.2	5.0
	იმპორტი (ათასი ტონა)	0.3	0.3	0.2	0.2	0.2
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	1	1	1	1	1
ფრინველი ს ხორცი	თვითუზრუნველყოფა	31%	33%	37%	34%	32%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	22.8	24.2	25.5	24.5	24.8
	იმპორტი (ათასი ტონა)	54.8	57.3	53.6	66.8	65.4
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	20	19	19	19	21
კვერცხი	თვითუზრუნველყოფა	76%	80%	83%	83%	74%
	ადგილობრივი წარმოება (მლნ.ცალი)	661	675	655	655	653
	იმპორტი (მლნ.ცალი)	32	28	17	37	62
	მოხმარება ერთ სულზე / ც. წელიწადში	170	171	166	169	176
რძე და რძის პროდუქტები	თვითუზრუნველყოფა	81%	81%	81%	77%	75%
	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	562	569	588	565	584
	იმპორტი (ათასი ტონა)	143	159	155	175	197
	მოხმარება ერთ სულზე / კგ. წელიწადში	183	183	192	191	204

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საქართველოს მარცვლეული კულტურების წარმოების მდგომარეობის ანალიზი 2019-2023 წლების დინამიკაში მნიშვნელოვან ტენდენციებსა და სისტემურ გამოწვევებს წარმოაჩენს. ხორბლის წარმოების სფეროში, მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, კვლავ რჩება ფუნდამენტური პრობლემები. თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა 15-დან 22 პროცენტამდე, მართალია, დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს, თუმცა ეს ზრდა არასაკმარისია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი წარმოების ზრდა 101 ათასი ტონიდან 147 ათას ტონამდე მიუთითებს სექტორის გარკვეულ განვითარებაზე, თუმცა იმპორტის მაღალი მაჩვენებელი (535 ათასი ტონა 2023 წელს) კვლავ აჩვენებს ქვეყნის მნიშვნელოვან დამოკიდებულებას საერთაშორისო ბაზრებზე.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ხორბლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 129 კილოგრამიდან 114 კილოგრამამდე, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს რამდენიმე ფაქტორს: პირველი - მოსახლეობის კვებითი ჩვევების ცვლილება და ჯანსაღი კვების ტენდენციების გავრცელება; მეორე - ფასების ზრდის გამო მოთხოვნის შემცირება; მესამე - ალტერნატიული პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ეს ტენდენცია საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

სიმინდის წარმოების ანალიზი აჩვენებს სექტორის მაღალ მგრძნობელობას სხვადასხვა ფაქტორების მიმართ. თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის მერყეობა 62-74 პროცენტის ფარგლებში და წარმოების მოცულობის მკვეთრი ცვლილებები (255 ათასი ტონიდან 153 ათას ტონამდე შემცირება 2020-2022 წლებში) მიუთითებს სექტორის არასტაბილურობაზე. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით: აგროტექნოლოგიური პროცესების არასრულყოფილება და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის დაბალი დონე, კლიმატური პირობების ცვლილებებისადმი დაბალი ადაპტაციის უნარი, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია და მცირე ფერმერული მეურნეობების დომინირება, საირიგაციო სისტემების არასათანადო მდგომარეობა და სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობის პრობლემები.

სიმინდის მოხმარების ზრდა ერთ სულ მოსახლეზე (33-დან 35 კილოგრამამდე) მიუთითებს ამ კულტურის მნიშვნელობის შენარჩუნებაზე როგორც სასურსათო, ისე

მეცხოველეობის საკვები ბაზის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, იმპორტის არსებობა (81 ათასი ტონა 2023 წელს) მიაწოდებს ადგილობრივი წარმოების პოტენციალის არასრულ გამოყენებაზე.

განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების მაჩვენებლების ანალიზი. კარტოფილის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მერყეობა 87-115%-ის ფარგლებში მიუთითებს სექტორის შედარებით სტაბილურ მდგომარეობაზე, თუმცა იკვეთება გარკვეული გამოწვევები. კერძოდ, 2021 წლის 115%-იანი მაჩვენებლიდან 2023 წლისთვის 87%-მდე შემცირება და იმპორტის თითქმის გაორმაგება (19 ათასი ტონიდან 35 ათას ტონამდე) მიაწოდებს სექტორში არსებულ სტრუქტურულ პრობლემებზე. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც კლიმატურ ფაქტორებს, ისე წარმოების ტექნოლოგიურ გამოწვევებს.

ბოსტნეულის სექტორში კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაა, რასაც ადასტურებს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი შემცირება 62%-დან 52%-მდე (2019-2023 წწ.). განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 2023 წელს ადგილობრივი წარმოება (142 ათასი ტონა) და იმპორტი (142 ათასი ტონა) პრაქტიკულად გათანაბრდა, რაც მიუთითებს დარგის განვითარების სერიოზულ პრობლემებზე.

ეს ტენდენციები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეცხოველეობის სექტორის კონტექსტში, სადაც თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლები (ხორცის საერთო თვითუზრუნველყოფა 47%) მიუთითებს საკვები ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გაზრდა არა მხოლოდ სასურსათო უსაფრთხოების, არამედ მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსად მარცვლეული კულტურებისა, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში იკვეთება რამდენიმე სისტემური გამოწვევა: წვრილი ფერმერული მეურნეობების დომინირება, რაც ართულებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას, მოძველებული საირიგაციო სისტემები და წყლის მართვის პრობლემები, თანამედროვე სასაწყობე და შემნახველი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, აგროტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის დაბალი დონე.

მოცემული მდგომარეობა განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ როგორც კარტოფილი, ისე ბოსტნეული წარმოადგენს მოსახლეობის კვების

რაციონის მნიშვნელოვან კომპონენტს, რასაც ადასტურებს ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების მაჩვენებლები: კარტოფილი - 50 კგ., ბოსტნეული - 58 კგ. წელიწადში (2023 წ.).

საქართველოს მეცხოველეობის სექტორის ანალიზი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების მიხედვით მნიშვნელოვან სტრუქტურულ თავისებურებებს ავლენს. მეცხოველეობაში დარგების მიხედვით, თვითუზრუნველყოფის დიფერენცირებული მაჩვენებლები გვაქვს - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (74%), ღორი (41%), ფრინველი (32%) და ცხვარი/თხა (100%) -ეს კი ასახავს სექტორის განვითარების არაერთგვაროვან დონეს.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სექტორში შედარებით მაღალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (74%) კორელაციაშია წარმოების სტრუქტურასთან - დარგი ძირითადად წარმოდგენილია მცირე, საოჯახო მეურნეობებით, რომლებიც ფლობენ პირუტყვის საერთო რაოდენობის 95%-ზე მეტს. ეს სტრუქტურა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს წარმოების მაღალ მაჩვენებელს, თუმცა მეორე მხრივ, ზღუდავს სექტორის ინდუსტრიული განვითარების შესაძლებლობებს.

ღორის (41%) და ფრინველის (32%) ხორცის დაბალი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები ინდიკატორია იმისა, რომ ეს სექტორები, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს, ვერ აღწევნენ წარმოების იმ მასშტაბს, რაც აუცილებელია ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით საყურადღებოა ფრინველის ხორცის სეგმენტი, სადაც ადგილობრივი წარმოება მხოლოდ მოთხოვნის მესამედს ფარავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროდუქტი მნიშვნელოვან წილს იკავებს მოხმარების სტრუქტურაში.

ცხვრისა და თხის ხორცის 100%-იანი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი უნდა განვიხილოთ ამ პროდუქტის მოხმარების სპეციფიკის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ მაჩვენებელი მაღალია, ის უფრო მეტად ასახავს პროდუქტზე შედარებით დაბალ მოთხოვნას, ვიდრე დარგის განვითარების მაღალ დონეს.

აგრეგირებული მონაცემებით, ხორცის 47%-იანი საერთო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მიუთითებს, რომ ქვეყნის მოხმარება დაახლოებით ორჯერ აღემატება ადგილობრივ წარმოებას. ეს დისბალანსი განსაკუთრებით მწვავეა ინდუსტრიული

მეცხოველეობის სექტორებში, რაც ხაზს უსვამს დარგში კაპიტალური ინვესტიციების და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის აუცილებლობას.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მცირედით შემცირდა - 2019 წლის 96%-დან 2023 წელს 93%-მდე. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ქვეყანა თითქმის სრულად უზრუნველყოფს ადგილობრივ მოთხოვნას.

ადგილობრივი წარმოება შედარებით სტაბილურია და მერყეობს 655-675 მილიონი ცალის ფარგლებში. თუმცა, აღსანიშნავია იმპორტის მკვეთრი ზრდა - 2019 წლის 32 მილიონი ცალიდან 2023 წელს 62 მილიონ ცალამდე გაიზარდა.

მოხმარების მხრივ ვხედავთ ზრდის ტენდენციას. ერთ სულ მოსახლეზე წლიური მოხმარება 2019 წლის 170 ცალიდან 2023 წელს 176 ცალამდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საინკუბაციო მიზნებისთვის გამოყენებული კვერცხის რაოდენობაც სტაბილურად იზრდება (40-41 მილიონი ცალი), რაც მიუთითებს დარგის განვითარების პოტენციალზე.

საქართველოს რძისა და რძის პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ანალიზი 2014-2023 წლების პერიოდში მნიშვნელოვან კლებას აჩვენებს - 90%-დან 75%-მდე შემცირდა. ამ დინამიკის საფუძველში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი იკვეთება.

ადგილობრივი წარმოება შედარებით სტაბილურია და მერყეობს 540-590 ათასი ტონის ფარგლებში, მაშინ როცა მოხმარება მკვეთრად მზარდია. სწორედ ეს დისბალანსი განაპირობებს იმპორტის მნიშვნელოვან ზრდას - 2014 წლის 71 ათასი ტონიდან 2023 წელს 197 ათას ტონამდე.

მოსახლეობის ერთ სულზე წლიური მოხმარების მაჩვენებელი 170 კილოგრამიდან (2014) 204 კილოგრამამდე (2023) გაიზარდა. ეს ტენდენციები მიუთითებს, რომ საქართველოს რძის პროდუქტების ბაზარზე მოთხოვნის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი წარმოების ზრდის ტემპს, რაც განაპირობებს იმპორტზე დამოკიდებულების პროგრესულმატებას.

დადებითი ტენდენცია გვაქვს ყურძნის ნაწილში, რომლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 236% და ეს უკანასკნელი ერთადერთია, რომლის მაჩვენებელი მუდმივად 100%-ზე მეტია, თუმცა საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ყურძნის სასურსათო ბალანსის, იმპორტის გრაფაში - ყოველ წელს მითითებულია

მხოლოდ ათასი ტონა ყურძნის იმპორტი, რაც ჩვენს მიერ გადამოწმებული სხვადასხვა წყაროს მიხედვით ნაკლებად შეესაბამება რეალობას, მაგალითად ბიზნეს მედიის ანალიზის მიხედვით (bm.ge,2023), საქართველოში იმპორტის დინამიკა მზარდი ტრენდით ხასიათდება - თუ 2020 წელს იმპორტი 676 ტონას შეადგენდა (ღირებულებით 631 ათასი დოლარი), 2023 წლისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის გაოთხმაგდა და 2,477 ტონას მიაღწია (2.5 მილიონი დოლარი). იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა კონცენტრირებულია ხუთ ძირითად მომწოდებელზე, სადაც დომინანტ პოზიციას სომხეთი იკავებს - მთლიანი იმპორტის დაახლოებით 79% (1,959 ტონა) სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის. მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი თურქეთიც (403 ტონა), ხოლო დანარჩენი ქვეყნების - ნიდერლანდების, აზერბაიჯანისა და რუსეთის წილი შედარებით მცირეა. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის გამოსათვლელად კი იმპორტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (The self-sufficiency ratio SSR) გამოითვლება წარმოების, იმპორტისა და ექსპორტის მონაცემებით და მისი ფორმულა ასე გამოიყურება:

$$SSR = \text{წარმოება} \times 100 / (\text{წარმოება} + \text{იმპორტი} - \text{ექსპორტი})$$

სოფლის მეურნეობის სტატისტიკისა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მონაცემთა აღრიცხვის სისტემაში არსებითი ხარვეზებია, კერძოდ ყურძნის იმპორტ-ექსპორტის სფეროში. ოფიციალურ სტატისტიკაში მნიშვნელოვანი სხვაობებია რეალურ მაჩვენებლებთან, რაც საჭიროებს სიღრმისეულ გამოკვლევას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სანდო და გამჭვირვალე ინფორმაციის წარმოდგენა სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყურძნის თვითუზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებლისა (236%), იგი არ წარმოადგენს ძირითად სასურსათო პროდუქტს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში. ყურძენი და მისგან წარმოებული პროდუქცია, მართალია, მნიშვნელოვანია საქართველოს აგრარული სექტორისთვის, თუმცა პრიორიტეტული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სასურსათო პროდუქტებზე, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის კვების რაციონის აუცილებელ კომპონენტებს და რომელთა თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხოვნას. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ

პროდუქტებს, როგორცაა ხორბალი (22%), ხორცი (47%), ბოსტნეული (52%) და რძის პროდუქტები (75%), რომელთა იმპორტზე დამოკიდებულება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ მდგრადობაზე.

სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა ქართველი მეცნიერების კვლევებში. პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პაატა კოლუაშვილი სასურსათო უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს. ის აღნიშნავს, რომ "თანამედროვე მსოფლიოში სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი კრიტერიუმია აღიარებული და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება. ესენია: მარცვლეულის გადაუდებელი მარაგები და მარცვლის წარმოების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით" (კოლუაშვილი, ჩიხლაძე, 2019: 72-73). ავტორები ასაბუთებენ, რომ "მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, რისთვისაც აუცილებელია სახნავი მიწების სტრუქტურული ტრანსფორმაცია" (კოლუაშვილი, ჩიხლაძე, 2019: 69). ეს პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დაბალია პურპროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

ამავე პრობლემატიკას ეხება სხვა ქართველი მეცნიერების კვლევებიც, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ქალბატონი ეთერ ხარაიშვილის კვლევების მიხედვით, ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული პარამეტრებით მოკლევადიან პერიოდში ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე (ხარაიშვილი, 2020). მეცნიერები ეთერ ხარაიშვილი და ია ნაცვლიშვილი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ "საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მწვავე პრობლემა დგას, რადგან კვების პროდუქტების უმრავლესობაზე დაბალია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები, ასევე, დაბალია მოსახლეობის შემოსავლების დონე, დარგში მწარმოებლურობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს" (ხარაიშვილი, ნაცვლიშვილი, 2019: 45). ეს დასკვნები ემთხვევა ჩვენს

კვლევაში წარმოდგენილ ანალიზს, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოში ძირითადი სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები კრიტიკულად დაბალია.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების ამაღლება უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, ვინაიდან ის წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს. ამისთვის აუცილებელია მასშტაბური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში, ეფექტური სოციალური დაცვის და კვებითი პროგრამები, ვაჭრობის დივერსიფიკაცია, რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა. მხოლოდ კოორდინირებული ძალისხმევით შეიძლება ქვეყანაში მიღწეულ იქნას სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონე და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

განვიხილოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დღეს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, აფერხებს მსოფლიო მასშტაბით:

- მოსახლეობის ზრდა - გაეროს პროგნოზით მსოფლიო მოსახლეობა 2050 წლისთვის 9.7 მილიარდს მიაღწევს, რაც გაზრდის სურსათზე მოთხოვნას 60%-ით (United Nations, 2019), ეს საჭიროებს სასურსათო წარმოების მასშტაბურ ზრდას.
- კლიმატის ცვლილება - გლობალური დათბობა, გვალვები, წყალდიდობები და სხვა ექსტრემალური მოვლენები უარყოფითად მოქმედებს მოსავლიანობაზე და შედეგად - სასურსათო მიწოდებაზე. ექსპერტების შეფასებით კლიმატის ცვლილება 2030 წლისთვის გამოიწვევს შიმშილის რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების რაოდენობის ზრდას 20%-ით (IPCC. 2014)
- ბუნებრივი რესურსების დეფიციტი - მიწისა და წყლის რესურსების შემცირება, გაუდაზნოება (განსაკუთრებით აღმოსავლეთ რეგიონში) და დეგრადაცია ხელს უშლის სოფლის მეურნეობის შესაძლებლობას აწარმოოს საკმარისი საკვები მზარდი მოსახლეობისთვის.
- სიღარიბე და უთანასწორობა - FAO-ს მონაცემებით, საკვების ეკონომიკური ხელმიუწვდომლობა წარმოადგენს შიმშილის მთავარ მიზეზს. მილიარდობით ადამიანს არ აქვს საკმარისი შემოსავალი სრულფასოვანი კვებისთვის (FAO. 2020)

- ხარჯები და დანაკარგები - მსოფლიოში წარმოებული საკვების დაახლოებით 1/3 ფუჭდება ან იკარგება წარმოებიდან მოხმარებამდე ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე. ეს აჩენს ეფექტურობის პრობლემებს და ზრდის ფასებს (FAO. 2019)

- პოლიტიკური არასტაბილურობა - შეიარაღებული კონფლიქტები, სოციალური არეულობები მძიმედ აზიანებს სასურსათო სექტორს, აფერხებს წარმოებას, მიწოდებას და იწვევს მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას. კონფლიქტური ზონები ხშირად განიცდიან სერიოზულ სასურსათო კრიზისებს (FAO and WFP. 2010)

- პანდემიები - COVID-19-ის გლობალურმა გავრცელებამ გამოიწვია შემოსავლების შემცირება, სასურსათო ჯაჭვის რღვევა და გაზარდა შიდა და საერთაშორისო სასურსათო ფასები. შედეგად, რამდენიმე ათეულ მილიონ ადამიანს დაემუქრა დამატებითი შიმშილის საფრთხე (FAO. 2020)

- ეს ფაქტორები წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებს სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად და საჭიროებს მრავალმხრივ, კოორდინირებულ ძალისხმევას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებისა თუ კვლევების საფუძველზე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფო პოლიტიკის რამდენიმე ნაბიჯი, სასურსათო უზრუნველყოფისთვის. სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევების დასაძლევად სახელმწიფოებს ესაჭიროებათ კომპლექსური, მრავალსექტორული პოლიტიკის გატარება. ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში - სახელმწიფო ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში, ინფრასტრუქტურაში, აგრარული სერვისების გაფართოებაში, ფერმერთა ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას (Fan, S. 2008).

- ვაჭრობა და საერთაშორისო თანამშრომლობა - საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია სასურსათო პროდუქტებისთვის, სტაბილური და ეფექტური გლობალური ბაზრები უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და სტაბილურ ფასებს. მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა სასურსათო დახმარების, ცოდნის გაზიარების და საერთო რეგულირების კუთხით (Clapp, J. 2017).

- სოციალური დაცვა - სახელმწიფო სასურსათო და ფულადი დახმარების პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისთვის, თემებისთვის კრიზისების შემთხვევაში ხელს უწყობს სასურსათო ხელმისაწვდომობას და მდგრადობას (Devereux, S. 2016).

- აგროსაკვები ჯაჭვის ეფექტურობა - პოლიტიკა მიმართული სასურსათო ჯაჭვის ყველა რგოლის განვითარებაზე - ფერმერები, გადამამუშავებლები, მოვაჭრეები, მომხმარებლები. ეს მოითხოვს მომარაგების, შესყიდვების, ლოჯისტიკის გაუმჯობესებას დანაკარგების შესამცირებლად (FAO. 2014).

- კვების სტრატეგიები - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ჯანსაღი კვების შესახებ, სასკოლო კვების პროგრამები, სამედიცინო ინტერვენციები კვებითი დეფიციტების დასაძლევად ხელს უწყობს საკვების ეფექტურ გამოყენებას და მოთხოვნის ოპტიმიზაციას (Hawkes, C., Ruel, M. T., Salm, L., Sinclair, B., & Branca, F. 2020).

- გენდერული თანასწორობა - პოლიტიკა მიმართული ქალებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ სოფლის მეურნეობაში და საკვების მომზადება-განაწილებაში ოჯახებში. მათი უფლებების დაცვა, განათლებაზე და რესურსებზე წვდომის გაზრდა, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა - გააუმჯობესებს საერთო სასურსათო მდგომარეობას (FAO, 2011).

ამრიგად, შეიძლება დასკვნა, რომ სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობასა და მდგრად განვითარებაზე. მისი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ უზრუნველყოფს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას საკმარის, უსაფრთხო და ხარისხიან საკვებზე, რაც აუცილებელია ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობისთვის. სასურსათო უსაფრთხოების გარანტირება ამცირებს სოციალურ დამაბულობას, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ამაღლებს ქვეყნის თვითკმარობას. შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება, რათა შენარჩუნდეს ეროვნული უსაფრთხოება და კეთილდღეობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

1.2. კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება და კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

კვების ინდუსტრია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და დინამიურ სექტორს მსოფლიო ეკონომიკაში. თანამედროვე გაგებით, ის მოიცავს არა მხოლოდ საკვების წარმოებას და გადამამუშავებას, არამედ ასევე მომსახურების, ლოჯისტიკის, მარკეტინგისა და ინოვაციების ფართო სპექტრს მთელი ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ. კვების ინდუსტრიის განვითარება უკავშირდება მრავალ გლობალურ ტენდენციას, როგორიცაა ურბანიზაცია, შემოსავლების ზრდა, ცხოვრების წესის ცვლილება და ტექნოლოგიური პროგრესი (Weaver, R. D., 2021).

კვების ინდუსტრია თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დინამიურად განვითარებადი სექტორია. მისი კონცეპტუალური გააზრება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, რაც განპირობებული იყო ტექნოლოგიური პროგრესით, სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციით და გლობალიზაციის პროცესებით.

ტრადიციული განმარტებით, კვების ინდუსტრია ვიწრო გაგებით მოიაზრებოდა როგორც საკვები პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების სექტორი (Porter, 2018). ეს მიდგომა ძირითადად ფოკუსირებული იყო საწარმოო პროცესებზე და მოიცავდა სურსათის გადამამუშავებელ საწარმოებს, საკვები პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებსა და მათი დისტრიბუციის სისტემებს. ფართო გაგებით კი, კვების ინდუსტრია განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული სექტორების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მთელ სასურსათო ჯაჭვს - დაწყებული პირველადი აგრარული წარმოებიდან, დამთავრებული საბოლოო პროდუქტის მიწოდებით მომხმარებელამდე (FAO, 2023). ეს მიდგომა აერთიანებს სოფლის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, ლოჯისტიკურ სისტემებს, საცალო და საბითუმო ვაჭრობას, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს.

თანამედროვე მეცნიერული გაგებით, კვების ინდუსტრია წარმოადგენს კომპლექსურ სოციო-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც აერთიანებს წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციის, მომსახურებისა და მოხმარების ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს, მიმართულს საზოგადოების სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ (Johnson & Smith, 2022).

მსოფლიო ბანკის განმარტებით (World Bank, 2023), თანამედროვე კვების ინდუსტრია მოიცავს ხუთ ძირითად კომპონენტს:

1. წარმოების სისტემები
2. გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიები
3. დისტრიბუციისა და ლოჯისტიკის ქსელები
4. საცალო და საბითუმო რეალიზაციის არხები
5. მომსახურების სფერო

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კვების ინდუსტრია სულ უფრო მეტად იძენს ინტეგრირებული ეკოსისტემის სახეს. როგორც Davidson (2023) აღნიშნავს თავის კვლევაში, ინდუსტრია ტრანსფორმირდება ციფრული ტექნოლოგიების, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნების გავლენით.

ჩვენი აზრით, როცა ვსაუბრობთ კვების ინდუსტრიის თანამედროვე კონცეფციაზე, ასევე აუცილებელია გამოვყოთ მდგრადობა, ინოვაციურობა და სოციალური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, კვების ინდუსტრიის თანამედროვე მცნება შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად: კვების ინდუსტრია არის ინტეგრირებული სოციო-ეკონომიკური სისტემა, რომელიც აერთიანებს სასურსათო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციისა და მომსახურების ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს, ეფუძნება ინოვაციურ ტექნოლოგიებს, მდგრადი განვითარების პრინციპებს და მიმართულია საზოგადოების კვებითი მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებაზე.

როგორც ვხედავთ, კვების ინდუსტრია წარმოადგენს რთულ, მრავალდარგობრივ სამრეწველო კომპლექსს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის საწარმოო და მომსახურების სფეროებს. ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება ხდება როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების, ისე თანამედროვე ტექნოლოგიური და საბაზრო მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენი შეხედულებით, კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგები და სფეროები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით (იხ.ცხრილი N2):

ცხრილი N2. კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგები და სფეროები

1. პირველადი გადამუშავების დარგები:	- მარცვლეულის გადამუშავება (წისკვილკომბინატები, ბურღულეულის წარმოება) - ხორცის პირველადი გადამუშავება - რძის პირველადი გადამუშავება - ხილისა და ბოსტნეულის პირველადი დამუშავება - თევზის პირველადი გადამუშავება
2. საკვები პროდუქტების წარმოების დარგები:	- პურ-ფუნთუშეულის წარმოება - საკონდიტრო წარმოება - ხორცპროდუქტების წარმოება - რძის პროდუქტების წარმოება - ზეთების და ცხიმების წარმოება - კონსერვების წარმოება - უალკოჰოლო სასმელების წარმოება - ალკოჰოლური სასმელების წარმოება
3. დამხმარე და მომსახურე სფეროები:	- საფუთავი მასალების წარმოება - სამაცივრო მეურნეობა - სასაწყობო მეურნეობა - სპეციალიზებული ტრანსპორტი - ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები
4. სავაჭრო- სადისტრიბუციო სფერო:	- საბითუმო ვაჭრობის ქსელები - საცალო ვაჭრობის ობიექტები - სპეციალიზებული სავაჭრო ქსელები - ონლაინ პლატფორმები
5. საზოგადოებრივი კვების სფერო:	- რესტორნები - კაფეები - სწრაფი კვების ობიექტები - სასადილოები - კეიტერინგის სერვისები
6. ინოვაციური და ტექნოლოგიური სფეროები:	- კვების პროდუქტების კვლევითი ლაბორატორიები - ახალი პროდუქტების განვითარების ცენტრები - ბიოტექნოლოგიური კვლევები - ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

თითოეული ეს დარგი და სფერო წარმოადგენს კვების ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბოლოო პროდუქციის შექმნაში. დარგების განვითარების დონე და მათი ხვედრითი წილი განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, რაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე:

- ბუნებრივ-კლიმატური პირობები

- ისტორიული ტრადიციები
- ტექნოლოგიური განვითარების დონე
- საინვესტიციო გარემო
- სამომხმარებლო ბაზრის თავისებურებები
- საექსპორტო პოტენციალი

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებას კვების ინდუსტრიის ყველა დარგში. ეს მოიცავს:

- რესურსების ეფექტიან გამოყენებას
- ნარჩენების მინიმიზაციას
- ენერგოეფექტურ წარმოებას
- ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს
- ციფრული გადაწყვეტილებების ინტეგრაციას

კვების ინდუსტრიის დარგობრივი სტრუქტურა საქართველოში ასახავს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს და ისტორიულად ჩამოყალიბებულ საწარმოო სპეციალიზაციას. საქსტატის მონაცემებით (2023), კვების მრეწველობა შეადგენს საქართველოს გადამამუშავებელი მრეწველობის 25.3%-ს, რაც მიუთითებს ამ სექტორის მნიშვნელოვან როლზე ეროვნულ ეკონომიკაში.

ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგები საქართველოში მ.შ. აჭარაში შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი N3. კვების ინდუსტრიის ძირითადი დარგები საქართველოში, მ.შ. აჭარაში

დასახელება/წარმოება	საერთო წილი წარმოებაში	აჭარა	დანარჩენი საქართველო
სასმელები	38.2%	12.5%	87.5%
პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო წარმოება	15.7%	18.3%	81.7%
ხორცპროდუქტები	12.4%	8.2%	91.8%
რძის პროდუქტები	8.6%	5.4%	94.6%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშებზე დაყრდნობით.

საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება სლოვენიასთან, რომელიც რესურსული პოტენციალითა და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს მსგავსია, თუმცა კვების ინდუსტრიის განვითარების დონით მნიშვნელოვნად უსწრებს. სლოვენიის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით (2023), კვების ინდუსტრიის წილი გადამამუშავებელ მრეწველობაში შეადგენს 37.8%-ს.

სლოვენიის კვების ინდუსტრიის სტრუქტურა:

- რძის პროდუქტები - 28.5%
- ხორცპროდუქტები - 22.3%
- პურ-ფუნთუშეული - 15.2%
- სასმელები - 14.8% (Slovenia, 2023)

განსაკუთრებით საყურადღებოა ხორვატიის გამოცდილება, რომელმაც ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კვების ინდუსტრიის განვითარებაში. ხორვატიის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით (2023), კვების მრეწველობის წილი გადამამუშავებელ მრეწველობაში შეადგენს 32.4%-ს.

დარგობრივი სტრუქტურა ხორვატიაში:

- ზღვის პროდუქტების გადამამუშავება - 24.6%
- სასმელების წარმოება - 22.3%
- ხორცპროდუქტები - 18.5%
- რძის პროდუქტები - 15.8% (Croatia, 2023)

აჭარის რეგიონის თავისებურებას წარმოადგენს ციტრუსების გადამამუშავების და თევზის პროდუქტების წარმოების სექტორების არსებობა, რომლებიც რეგიონის კვების მრეწველობის 15.3%-ს შეადგენს. ეს სპეციალიზაცია განპირობებულია რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით.

შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს კვების ინდუსტრიის სტრუქტურაში დომინირებს სასმელების წარმოება, მაშინ როცა წარმატებულ მსგავს ქვეყნებში უფრო დაბალანსებული სტრუქტურაა. მნიშვნელოვანია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მაღალია რძის და ხორცპროდუქტების წილი, რაც მიუთითებს მეცხოველეობის დარგის უკეთეს განვითარებაზე.

რაც შეეხება კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას, იგი წარმოადგენს კომპლექსურ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც ასახავს ინდუსტრიის

შესაძლებლობას, შექმნას და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. მაიკლ პორტერის კონკურენტული უპირატესობის თეორიის თანახმად, კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ ასპექტს.

პირველ რიგში, ეს არის წარმოების ეფექტიანობა, რაც გულისხმობს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, წარმოების დანახარჯების მინიმიზაციას და პროდუქტიულობის მაღალ დონეს. კვების ინდუსტრიაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოო პროდუქციის ფასი წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება. თანამედროვე ბაზარზე კვების პროდუქტების კონკურენტუნარიანობა მჭიდროდ უკავშირდება მათ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, ხარისხის მართვის სისტემების არსებობას და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვას.

ინოვაციური პოტენციალი წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მესამე მნიშვნელოვან კომპონენტს. ეს მოიცავს ახალი პროდუქტების შემუშავების შესაძლებლობას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების უნარს.

ჩვენი აზრით, გარდა ჩამოთვლილი სამი ასპექტისა, კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ კატეგორიებად:

ცხრილი N4. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები

1. პროდუქტის მახასიათებლები:	- გემო, ტექსტურა, არომატი და ვიზუალური მიმზიდველობა - საკვები ღირებულება და ფუნქციური თვისებები - შეფუთვის დიზაინი და ეტიკეტირება - ინოვაციური ინგრედიენტები და ფორმულები
2. წარმოების ფაქტორები:	- ნედლეულის ხელმისაწვდომობა და ხარისხი; - რესურსების ფლობა და განკარგვა; - ეფექტური და ჰიგიენური გადამამუშავების ტექნოლოგიები; - წარმოების მასშტაბის ეკონომია და ეფექტიანობა; - სერტიფიცირების და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები;

3.ლოჯისტიკური ფაქტორები:	- "ცივი ჯაჭვის" ინფრასტრუქტურა და მართვა (მუდმივი ტემპერატურის და სხვა პარამეტრების მართვა); - ტრანსპორტირებისა და განაწილების ქსელები; - ინვენტარიზაციის მენეჯმენტი და მიწოდების დროულობა; - გეოგრაფიული მდებარეობა და ბაზრებთან სიახლოვე.
4. მარკეტინგული ფაქტორები:	- ბრენდინგი და პოზიციონირება; - სარეკლამო და პრომო აქტივობები; - ფასდაკლებები და მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები; - გაყიდვების არხების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა.
5. საბაზრო და მარეგულირებელი ფაქტორები:	- ბაზრის ზომა და ზრდის პოტენციალი; - მომხმარებელთა მოთხოვნები და პრეფერენციები; - კონკურენციის ინტენსივობა და საბაზრო სტრუქტურა; - სამთავრობო რეგულაციები, სტანდარტები და სავაჭრო პოლიტიკა; - გლობალურ პროცესებში ჩართულობა; - ტექნიკური და ტექნოლოგიური ცოდნა.
6. მდგრადობის ფაქტორები:	- გარემოსდაცვითი გავლენის შემცირება წარმოებაში, შეფუთვასა და ტრანსპორტირებაში; - ეთიკური და სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკა; - სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები; - ჯანსაღი და მდგრადი პროდუქტების სეგმენტზე ფოკუსირება; - კულტურა და ტრადიციები.

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, შემდეგ წყაროზე დაყრდნობით Clarke, S., Arnall, C., & Smith, D. (2022). Sustainable food systems in the 21st Century. In Sustainable Food Systems.

კონკურენტუნარიანობის შეფასებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ძირითადი ინდიკატორები:

- ბაზრის წილი;
- პროდუქციის ექსპორტის მოცულობა და გეოგრაფია;
- წარმოების რენტაბელობა;
- ინოვაციური პროდუქციის წილი;
- შრომის ნაყოფიერება;
- ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატების არსებობა.

შესაბამისად, კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან მახასიათებელს, რომელიც ასახავს ინდუსტრიის უნარს,

უზრუნველყოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა, შექმნას მაღალი ხარისხის პროდუქცია კონკურენტულ ფასად და დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნები როგორც ხარისხის, ისე უსაფრთხოებისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით.

ქართველი მეცნიერების კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა.

სასურსათო სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარებულ კვლევაში (კოლუაშვილი და ჩიხლაძე, 2019: 80) ხაზგასმულია სახელმწიფოს როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ნაშრომის მიხედვით, "მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი და მიმართულება გადაწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენისთვის" (კოლუაშვილი და ჩიხლაძე, 2019: 80).

სასურსათო სუვერენიტეტის მისაღწევად ავტორები გვთავაზობენ მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის "მარცვალი" შემუშავებას და შემდეგი კანონების მიღებას: "საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ", "მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ" და სხვა (კოლუაშვილი და ჩიხლაძე, 2019).

აგროსასურსათო სექტორის კონკურენტუნარიანობის კვლევაში (ხარაიშვილი და ნაცვლიშვილი, 2019: 45) საფუძვლიანადაა შესწავლილი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მექანიზმები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხები. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ "ადგილობრივ სასურსათო ბაზარზე ქართული პროდუქტები კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ პროდუქტებს" (ხარაიშვილი და ნაცვლიშვილი, 2019). ავტორები მიუთითებენ, რომ "სასურსათო ბაზრების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნებასაც გრძელვადიან პერიოდში" (ხარაიშვილი & ნაცვლიშვილი, 2019). ამასთანავე, კვლევაში ხაზგასმულია, რომ "საქართველოს გააჩნია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტრადიცია და შესაბამისი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი" (ხარაიშვილი & ნაცვლიშვილი,

2019), რაც ქმნის საფუძველს კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, სათანადო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც სახელმწიფო პოლიტიკაზე, ისე კერძო სექტორის ინოვაციურ მიდგომებზე. ეფექტური კონკურენტუნარიანობა მოითხოვს ბაზრის ღრმა ცოდნას, მომხმარებლის საჭიროებების გააზრებას, ინოვაციურ აზროვნებას და მოქნილობას, რასაც კომპანიები ახორციელებენ კონკრეტული ბაზრის, სამიზნე სეგმენტებისა და სტრატეგიული პოზიციონირების შესაბამისად.

თანამედროვე პირობებში კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა ცირკულარული ეკონომიკისა და უნარჩენო წარმოების პრინციპების დანერგვა. ეს მიდგომა არა მხოლოდ ამცირებს წარმოების დანახარჯებს, არამედ აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს, ქმნის დამატებით ღირებულებას და პასუხობს მდგრადი განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

უნარჩენო წარმოების კონცეფცია, რომელიც ეფუძნება რესურსების ოპტიმალურ უტილიზაციას, წარმოადგენს მნიშვნელოვან პარადიგმას თანამედროვე მრეწველობაში. კომპანია "ოქროველის" მიერ იმპლემენტირებული ტყის მოცვის გადამუშავების პროცესი ილუსტრირებას უკეთებს ამ მიდგომის ეფექტურობას.

პროცესი იწყება ნედლეულის მდგრადი მოპოვებით მაღალმთიან აჭარაში, რაც ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას. მოკრეფილი მოცვის პირველადი დამუშავება - გაშრობა და ექსპორტირება სამედიცინო მიზნებისთვის - წარმოადგენს ღირებულების ჯაჭვის პირველ ეტაპს. ეს პროცესი არა მხოლოდ ქმნის ეკონომიკურ ღირებულებას, არამედ ხელს უწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

ინოვაციური ასპექტი ვლინდება მეორადი პროდუქტის - დაბალალკოჰოლური (7%) ტყის მოცვის ღვინის წარმოებაში, რომელიც იყენებს პირველადი პროცესის ნარჩენ წვენს. ეს მიდგომა ეხმიანება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს, სადაც "ნარჩენი" განიხილება როგორც რესურსი ახალი პროდუქტის შესაქმნელად.

აღნიშნული წარმოების მოდელი აგენერირებს მრავალმხრივ სარგებელს:

1. ეკონომიკური ეფექტურობა: ნედლეულის სრული უტილიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოების ხარჯებს. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯების მინიმიზაცია და დამატებითი პროდუქტის შექმნა ზრდის საერთო მომგებიანობას.
2. კონკურენტული უპირატესობა: ინოვაციური პროდუქტი - დაბალალკოჰოლური ტყის მოცვის ღვინო - წარმოადგენს უნიკალურ საბაზრო შეთავაზებას. ეს დივერსიფიკაცია აძლიერებს კომპანიის პოზიციას ბაზარზე და ქმნის ახალ სამომხმარებლო სეგმენტს.
3. სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება: ადგილობრივი რესურსების ეფექტური გამოყენება და პროდუქტების დივერსიფიკაცია ხელს უწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური მიწოდების ჯაჭვების არასტაბილურობის კონტექსტში.
4. გარემოსდაცვითი სარგებელი: უნარჩენო წარმოება ამცირებს ეკოლოგიურ ზემოქმედებას, რაც შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს.
5. სოციო-ეკონომიკური იმპაქტი: ადგილობრივი რესურსების გამოყენება და დამატებითი ღირებულების შექმნა ხელს უწყობს რეგიონულ განვითარებას და დასაქმებას.

ამ მოდელის ეფექტურობა მიუთითებს უნარჩენო წარმოების პოტენციალზე, როგორც სტრატეგიულ ინსტრუმენტზე კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად და სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეს მიდგომა წარმოადგენს პარადიგმულ ცვლილებას ტრადიციული, ხაზოვანი წარმოების მოდელიდან ცირკულარული, რესურს-ეფექტური სისტემისკენ.

"ოქროველის" მაგალითი ასევე ხაზს უსვამს ინოვაციის მნიშვნელობას აგროსამრეწველო სექტორში. ტრადიციული პროდუქტის (გამშრალი მოცვი) კომბინირება ინოვაციურ შეთავაზებასთან (დაბალალკოჰოლური ღვინო) წარმოადგენს ეფექტურ სტრატეგიას ბაზრის დივერსიფიკაციისა და რისკების შემცირებისთვის.

ეს შემთხვევა წარმოაჩენს უნარჩენო წარმოების, როგორც მულტიფუნქციური სტრატეგიის პოტენციალს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტურობას,

ეკოლოგიურ მდგრადობას და სოციალურ პასუხისმგებლობას. ასეთი მიდგომის ფართო იმპლემენტაცია შეიძლება იქცეს კატალიზატორად აგროსამრეწველო სექტორის ტრანსფორმაციისთვის, რაც ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

ყურძნის გადამუშავებასა და ღვინის წარმოებას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია უნარჩენო წარმოების მიმართულებით. წარმოების პროცესში შესაძლებელია მეორადი პროდუქტების მრავალმხრივი გამოყენება: ყურძნის წიპწისგან ზეთის წარმოება, ყურძნის კანის გამოყენება ბუნებრივ საღებავად და საკონდიტრო ინდუსტრიაში, ასევე ვაზის ანასხლავისგან კომპოსტის დამზადება.

აღსანიშნავია, რომ მსგავს მიდგომას იყენებს კომპანია "შატო მუხრანი", რომელიც ღვინის პარალელურად ჭაჭის წარმოებას და მის ბიოსაწვავად გადამუშავებას ახორციელებს. იმ შემთხვევაში, თუ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს არ აქვთ სურვილი ან შესაძლებლობა დამოუკიდებლად განავითარონ დამატებითი მიმართულებები, მიზანშეწონილია პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სხვა საწარმოებთან, მათ შორის კოსმეტიკის მწარმოებელ კომპანიებთან.

ზოგადად უნარჩენო წარმოება და წრიული ეკონომიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია როგორც სურსათის წარმოებაში და ეკონომიკაში, ისე გარემოსდაცვით ნაწილში. FAO-ს მონაცემებით, წელიწადში 1.3 მილიარდ ტონა საკვები ნადგურდება ან იკარგება მიწოდების ჯაჭვში. სურსათის ნარჩენების შემცირება და უნარჩენო წარმოების პრინციპების დანერგვა კი არის ეფექტური გზა სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს სტრატეგიებს, როგორიცაა უფრო ზუსტი პროგნოზირება, ინვენტარის მონიტორინგი, ლოჯისტიკის ოპტიმიზაცია, ცივი ჯაჭვის გაძლიერება და სურსათის ნარჩენების გარდაქმნა სხვა პროდუქტებად ან ბიოსაწვავად.

აჭარის რეგიონში არსებული სამეწარმეო პოტენციალისა და გამოწვევების შესაფასებლად, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა ექსპერტული ინტერვიუების მეთოდით. კვლევის ფარგლებში გამოვკითხეთ დარგის სპეციალისტები და ადამიანები, რომლებსაც აქვთ მდიდარი გამოცდილება ამ ინდუსტრიაში. რესპონდენტები იყვნენ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების, უნივერსიტეტის დასავლეთ საქართველოს

ქრომატოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი, ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი, რომელსაც მდიდარი გამოცდილება აქვს წარმოებისა და ინოვაციების მიმართულებით; Mercy Corps-ის აჭარის ფილიალის კოორდინატორი; და შპს ნომას დამფუძნებელი და დირექტორი, რომელიც 25 წელია აჭარის რეგიონში ტყის მოცვის და სამკურნალო მცენარეების შეგროვებით და გადამუშავებითაა დაკავებული.

ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ციტრუსის წარმოებაზე, რომელიც აჭარის რეგიონის აგრარული სექტორის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს. კვლევამ აჩვენა, რომ ციტრუსის კულტურების მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ნერგების განახლება, რაც პირდაპირ კავშირშია მოსავლიანობის ზრდასთან. აღსანიშნავია, რომ ციტრუსის პროდუქციის დივერსიფიკაცია - ჩურჩხელების, მურაბებისა და წვენების წარმოება, ასევე მანდარინის კანის გადამუშავებით მიღებული ფქვილი - წარმოადგენს უნარჩუნო წარმოების მოდელს, რაც ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს შეესაბამება. როცა ვსაუბრობთ უნარჩუნო წარმოებაზე, შესაძლოა შევიტანოთ კორექტირება, უფრო მეტი სიზუსტისთვის, როგორც მცირენარჩენიანი წარმოება, რადგან შესაძლოა მეორეული გადამუშავების დროსაც დაგვრჩეს გამოუსადეგარი ნარჩენი. შესაბამისად აქცენტი კეთდება არა ნულოვანი ნარჩენის წარმოებაზე არამედ ცირკულარულ ეკონომიკაზე, რომ შევძლოთ ანარჩენისგან მეორეული წარმოება.

კვლევამ გამოავლინა რეგიონის წინაშე არსებული ფუნდამენტური გამოწვევა - მიწის რესურსების სიმწირე. ამ კონტექსტში, პრიორიტეტულ საკითხად იკვეთება ნიადაგის სისტემური კვლევის აუცილებლობა, რომელიც მოიცავს ნიადაგის ტიპების კლასიფიკაციასა და მათი აგრარული პოტენციალის შეფასებას. აღნიშნული საკითხი უნდა წარმოადგენდეს აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ქვაკუთხედს.

მაღალმთიან აჭარაში მეცხოველეობის განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვანია, თუმცა სექტორის განვითარებას აფერხებს რამდენიმე ფაქტორი: არასათანადო ცოდნა და კომპეტენციები, რაც საძოვრების არამდგრად გამოყენებას იწვევს; ზამთრის პერიოდში არასაკმარისი ინფრასტრუქტურა; და ადამიანური რესურსების დეფიციტი. განსაკუთრებით პრობლემურია ახალგაზრდა, ინოვაციური ტექნოლოგიების მცოდნე

კადრების ნაკლებობა. არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა და სერვისების სიმწირე აძლიერებს მთიდან ბარში მიგრაციის ტენდენციას.

რძის პროდუქტების წარმოების სფეროში არსებული პოტენციალი ვერ რეალიზდება ლოჯისტიკური სირთულეების, არასათანადო ინფრასტრუქტურისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო. რეგიონში მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მომუშავე საწარმო "ცეზარის ყველი", რომელიც ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს.

მეფუტკრეობის დარგში აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი - თაფლის დაბინძურების მაჩვენებელი 56%-დან 8%-მდე შემცირდა, რაც განპირობებულია დარგში ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით. მნიშვნელოვანია ბიო პროდუქციის წარმოების პოტენციალი, თუმცა სერტიფიცირების მაღალი ხარჯები აფერხებს მცირე მეწარმეების ჩართულობას ამ პროცესში.

სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების კუთხით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროექტები, მათ შორის ბიო სერტიფიცირების მიმართულებით, ხასიათდება ბიუროკრატიული ბარიერებით, რაც ამცირებს ფერმერთა მონაწილეობის მოტივაციას.

ტყის მოცვისა და სამკურნალო მცენარეების შეგროვების მიმართულებით გამოვლინდა საგანგაშო ტენდენცია - ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა ნედლეულის მოპოვების არეალი და შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობა (2500-დან 500-700-მდე). აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას ნიადაგისა და კლიმატური ფაქტორების გავლენის შესასწავლად.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოვლენილი საკითხების იგნორირება მნიშვნელოვნად შეაფერხებს დარგის განვითარებას. აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის და კერძო სექტორის მხრიდან.

საქართველოს კვების ინდუსტრიის თანამედროვე განვითარების ერთ-ერთ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს მსხვილი საცალო ვაჭრობის ოპერატორების მზარდი როლი დარგის ტრანსფორმაციაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ორი ქართული კომპანიის - "აგროჰაბისა" და "გუდვილის" გამოცდილება, რომლებმაც

შემდეგ ადგილობრივი კაპიტალით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიზნეს მოდელების განვითარება.

"აგროჰაბი" წარმოადგენს კომპლექსურ ბიზნეს მოდელს, რომელმაც 2023 წელს მნიშვნელოვან ფინანსურ წარმატებას მიაღწია - კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა 262 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით 21%-იან ზრდას წარმოადგენს. კომპანიის წმინდა მოგებამ 20.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მის ფინანსურ სტაბილურობაზე მიუთითებს (აგროჰაბი, 2023).

"გუდვილი", რომელიც დღეს 8 სავაჭრო ობიექტს აერთიანებს (5 ჰიპერმარკეტს და 3 გურმე ფორმატის მაღაზიას), 2022 წელს 164.9 მილიონი ლარის საოპერაციო შემოსავლით წარსდგა ბაზარზე, რაც წინა წელთან შედარებით 14%-იან ზრდას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფება, მან 2022 წელი 7.1 მილიონი ლარის წმინდა მოგებით დაასრულა (გუდვილი, 2022).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ კომპანიების როლი ადგილობრივი წარმოების განვითარებაში. "გუდვილის" საცხოვრი ყოველდღიურად 12 ტონა პროდუქციას აწარმოებს, ხოლო კულინარიის განყოფილება - 5 ტონას. კომპანიის პროდუქტების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ადგილობრივ პროდუქციას, მათ შორის მზა პროდუქციას (26.5 მლნ ლარი), რძის პროდუქტებს (20.4 მლნ ლარი) და ხილ-ბოსტნეულს (15.2 მლნ ლარი).

"აგროჰაბის" ფინანსური მაჩვენებლები მიუთითებს კომპანიის სტაბილურ განვითარებაზე - 2023 წლისთვის მისი მთლიანი აქტივები 109.5 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო კაპიტალი 47%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 59.9 მილიონ ლარს მიაღწია.

დასაქმების კუთხით, "გუდვილში" თანამშრომელთა რაოდენობა 844-დან 1,087-მდე მერყეობს, ხოლო "აგროჰაბის" შრომის ანაზღაურების ხარჯები 2023 წელს 8.5 მილიონ ლარს შეადგენდა.

ეს კომპანიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების ინდუსტრიის განვითარებაში, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით:

1. ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა:
 - "აგროჰაბი" ფლობს საკუთარ სასათბურე მეურნეობებს, სადაც აწარმოებს ბოსტნეულს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ეს უზრუნველყოფს

არა მხოლოდ პროდუქციის სტაბილურ მიწოდებას, არამედ ხელს უწყობს თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვას საქართველოში.

2. ფერმერების განვითარება და მათი მოტივაციის ზრდა:

- ორივე კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ფერმერებთან
- უზრუნველყოფენ მათ სტაბილური შემოსავლით და გასაღების ბაზრით
- ეხმარებიან ხარისხის სტანდარტების დანერგვასა და წარმოების პროცესების გაუმჯობესებაში

3. ინოვაციური მიდგომები:

- ნერგავენ თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიებს
- ავითარებენ ლოგისტიკურ სისტემებს
- აუმჯობესებენ შენახვისა და დისტრიბუციის პროცესებს

4. ეკონომიკური გავლენა:

- ქმნიან სამუშაო ადგილებს არა მხოლოდ საცალო ვაჭრობაში, არამედ წარმოებისა და ლოგისტიკის სფეროებშიც
- ხელს უწყობენ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას
- აძლიერებენ ადგილობრივ სასურსათო უსაფრთხოებას

5. სტანდარტების ამაღლება:

- ნერგავენ საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებს
- ავითარებენ თანამედროვე სავაჭრო და საწარმოო პრაქტიკას
- აუმჯობესებენ მომხმარებლის მომსახურების დონეს

ამ კომპანიების მოდელი წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივმა ბიზნესმა შექმნას ინტეგრირებული ღირებულებათა ჯაჭვი - დაწყებული პირველადი წარმოებიდან, დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე. ეს არა მხოლოდ ბიზნესის წარმატების, არამედ მთლიანად დარგის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები კვების ინდუსტრიის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე და ლურჯი ეკონომიკის კონტექსტში. ქვეყნის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური მრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე - ქმნის მნიშვნელოვან პოტენციალს.

მწვანე ეკონომიკის განვითარება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ორგანული წარმოების პოტენციალს. ქვეყნის მრავალფეროვანი კლიმატური ზონები და ნიადაგების თავისებურებები იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მევენახეობის და მეხილეობის პოტენციალი, სადაც ტრადიციული მეთოდების და თანამედროვე ტექნოლოგიების სინთეზი ქმნის მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას (მწვანე ეკონომიკა, 2023).

ლურჯი ეკონომიკის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვაო და შიდა წყლების პოტენციალი. შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მდიდარი შიდა წყლების სისტემა ქმნის აკვაკულტურის განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ამ სფეროში შესაძლებელს ხდის როგორც თევზის მეურნეობის, ისე ზღვის პროდუქტების გადამუშავების ინდუსტრიის განვითარებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ენერგეტიკული რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხი კვების ინდუსტრიაში. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და მზის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობები ქმნის წინაპირობას ენერგოეფექტური წარმოების განვითარებისთვის. აგრონარჩენების გადამუშავება და ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება წარმოადგენს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას (EBRD, 2023).

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა ვერტიკალური ფერმები და ჰკვიანი სათბურები, წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას. ეს მიდგომები საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული არსებული რესურსები და შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება.

მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა კვების ინდუსტრიაში მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და სოციალურ სარგებელს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, არამედ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზრებზე (UNDP 2023).

კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება ეფუძნება, როგორც სამეცნიერო კვლევებს ისე ტექნოლოგიურ ინოვაციებს. სხვადასხვა წყაროს ანალიზის შედეგად, განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. ნუტრიგენომიკა და პერსონალიზებული კვება: ნუტრიგენომიკა სწავლობს საკვების გავლენას გენების ექსპრესიაზე. ეს მიმართულება საშუალებას იძლევა შეიქმნას პერსონალიზებული კვების გეგმები, რომლებიც მორგებულია ინდივიდუალურ გენეტიკურ პროფილზე. კვლევები აჩვენებს, რომ პერსონალიზებული კვება შეიძლება იყოს ეფექტური ქრონიკული დაავადებების პრევენციისა და მართვისთვის (Ordovas et al., 2018, BMJ).

2. ფუნქციური საკვები და ნუტრაცევტიკები: მეცნიერები ავითარებენ საკვებ პროდუქტებს ჯანმრთელობისთვის დამატებითი სარგებლით. მაგალითად, პრობიოტიკებით გამდიდრებული პროდუქტები ან ანთების საწინააღმდეგო თვისებების მქონე საკვები. ეს მიმართულება აერთიანებს კვებას და ფარმაცოლოგიას (Martirosyan & Singh, 2015).

3. ალტერნატიული ცილის წყაროები: კლიმატის ცვლილებისა და მდგრადობის საკითხების გათვალისწინებით, მეცნიერები იკვლევენ ალტერნატიულ ცილის წყაროებს, როგორიცაა მწერები, წყალმცენარეები და ლაბორატორიულად წარმოებული ხორცი. ეს კვლევები მიზნად ისახავს ეკოლოგიურად მდგრადი და ნუტრიციულად სრულფასოვანი საკვების შექმნას (Parodi et al., 2018).

4. ნანოტექნოლოგია კვების ინდუსტრიაში: ნანოტექნოლოგია გამოიყენება საკვების შენახვის გასაუმჯობესებლად, ნუტრიენტების მიწოდების გასაძლიერებლად და საკვების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ნანოკაფსულები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვიტამინების ან ანტიოქსიდანტების ეფექტურად მისაწოდებლად (He, J., & Hwang, H. S., 2016).

5. მდგრადი წარმოების ტექნოლოგიები: კვლევები ფოკუსირდება ისეთ ტექნოლოგიებზე, რომლებიც ამცირებენ წყლისა და ენერგიის მოხმარებას, ასევე ნარჩენების წარმოქმნას კვების ინდუსტრიაში. ეს მოიცავს ვერტიკალურ მეურნეობას, პრეციზიულ (ზუსტ) სოფლის მეურნეობას და უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიებს (Jurgilevich et al., 2016).

6. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება: AI და მანქანური სწავლება გამოიყენება წარმოების ოპტიმიზაციისთვის, ხარისხის კონტროლისთვის და ახალი პროდუქტების შემუშავებისთვის. ეს ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა უკეთ პროგნოზირდეს მომხმარებელთა მოთხოვნები და ოპტიმიზდეს მიწოდების ჯაჭვი (Kakani V., 2020).

ეს მიმართულებები ასახავს კვების ინდუსტრიის თანამედროვე, მულტიდისციპლინურ ხასიათს, სადაც ბიოლოგია, ქიმია, ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები ერთიანდება ინოვაციური, ჯანსაღი და მდგრადი საკვების შესაქმნელად, რომელიც ერთგვარად სასურსათო უსაფრთხოების სტაბილურობის გარანტიც არის.

1.3. სასურსათო უსაფრთხოება და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილება, ძირითადი მიმართულებები

სასურსათო უსაფრთხოება და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოწინავე გამოცდილება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. გლობალური გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და დანერგვა.

მსოფლიო პრაქტიკაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიყოფა. პირველ რიგში, ეს არის წარმოების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა 5-6-ჯერ აღემატება განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებლებს (FAO. 2023).

მნიშვნელოვანი მიმართულებაა ხარისხის კონტროლის სისტემების დანერგვა და სტანდარტიზაცია. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ HACCP-ის და მსგავსი სტანდარტების (Global GAP, Grasp და ა.შ.) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემები მნიშვნელოვნად ამაღლებს პროდუქციის ხარისხს და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points) წარმოადგენს სისტემურ მიდგომას საკვები პროდუქტების

უვნებლობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს საფრთხეების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და კონტროლს წარმოების მთელი ჯაჭვის განმავლობაში. Global GAP (Good Agricultural Practice) არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის უსაფრთხო, მდგრადი მეთოდებით წარმოებული პროდუქციის მიწოდებას. GRASP (Global GAP Risk Assessment on Social Practice) კი წარმოადგენს Global GAP-ის დამატებით მოდულს, რომელიც ფოკუსირებულია სოციალურ პასუხისმგებლობაზე და მუშაკთა კეთილდღეობაზე. ამ სტანდარტების ინტეგრირებული დანერგვა ქმნის მყარ საფუძველს აგროსასურსათო სექტორში ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტული პოზიციების გამყარებას.

ინოვაციური მიდგომების დანერგვა კვების მრეწველობაში წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. მაგალითად, ჭკვიანი სოფლის მეურნეობის (Smart Agriculture) კონცეფციის დანერგვა საშუალებას იძლევა 30-40%-ით გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა (World Bank, 2023).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა კვების ინდუსტრიაში. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გამოხატულებაა, არამედ კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალებაც (United Nations, 2023).

მოწინავე გამოცდილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების განვითარება. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი თანამშრომლობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სექტორის კონკურენტუნარიანობას. მაგალითად, ნიდერლანდებში Foodvalley-ის ინიციატივა, რომელიც 2004 წლიდან აერთიანებს მთავრობას, ვაგენინგენის უნივერსიტეტს, კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო კომპანიებს, წარმატებით ახორციელებს ინოვაციურ პროექტებს. Foodvalley-ის ფარგლებში შექმნილია ცირკულარული აგროსასურსათო ჯაჭვის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საკვები ნარჩენების შემცირებას და მეორად გამოყენებას, მდგრადი ცილოვანი სისტემების განვითარებას

და კვებისა და ჯანმრთელობის ინოვაციების დანერგვას. ამ თანამშრომლობის შედეგად, ნიდერლანდები გახდა მსოფლიოში მეორე უმსხვილესი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა აშშ-ს შემდეგ, ხოლო მსოფლიოს 20 წამყვანი აგროსასურსათო კომპანიიდან 15-ს აქვს კვლევისა და განვითარების ცენტრები ნიდერლანდებში.

სასურსათო უსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კლიმატის ცვლილების, გეოპოლიტიკური დამაბულობისა და გლობალური პანდემიის შემდგომ პერიოდში. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა შეიმუშავეს განსხვავებული, მაგრამ ეფექტური მიდგომები ამ გამოწვევების საპასუხოდ, რაც საინტერესო გამოცდილებას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის.

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიკვეთა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამი წარმატებული მოდელი, რომელთა ეფექტიანობა დადასტურებულია კონკრეტული შედეგებით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფუძნებული მოდელის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს ნიდერლანდები, რომელმაც მოახერხა მცირე ტერიტორიის პირობებში მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. "ნიდერლანდული სასწაული" - ასე უწოდებენ ქვეყნის მიღწევებს აგროსექტორში, სადაც 2023 წლის მონაცემებით:

- სასათბურე მეურნეობის პროდუქტიულობა 1 ჰა-ზე - 488,000 ევრო
- აგროექსპორტის მოცულობა - 124.4 მილიარდი ევრო
- სათბურების საერთო ფართობი - 9,000 ჰექტარი
- ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი - 63% განახლებადი ენერგია

(Netherlands,2023)

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიდერლანდების მიღწევები პომიდვრის წარმოებაში - საშუალო მოსავლიანობა სათბურებში შეადგენს 507 ტონას ჰექტარზე, რაც მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელია და 10-ჯერ აღემატება ღია გრუნტის საშუალო მაჩვენებელს (WURD,2023).

ინოვაციური მიდგომების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ისრაელი, რომელმაც მწირი წყლის რესურსების პირობებში შეძლო მაღალეფექტიანი სოფლის მეურნეობის განვითარება. 2023 წლის მონაცემებით:

- აგროტექნოლოგიურ სტარტაპებში ინვესტიციები - 1.2 მილიარდი დოლარი
- წყლის დაზოგვა წვეთოვანი რწყვით - 70%
- აგროექსპორტის მოცულობა - 2.9 მილიარდი დოლარი
- სასოფლო-სამეურნეო R&D-ში ინვესტიციები - მშპ-ს 4.3% (Israel,2023)

დივერსიფიკაციის მოდელის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს სინგაპური, რომელიც მცირე ტერიტორიის მიუხედავად (მთლიანი ფართობის მხოლოდ 1% არის სასოფლო-სამეურნეო მიწა), აღწევს სასურსათო უსაფრთხოების მაღალ დონეს. 2023 წლის მონაცემებით:

- იმპორტის დივერსიფიკაცია - 180+ ქვეყანა
- ადგილობრივი წარმოების წილი - 10% (2030 წლის მიზანი - 30%)
- ვერტიკალური ფერმების რაოდენობა - 220
- სასურსათო უსაფრთხოების ინდექსი - 1-ლი ადგილი აზიაში (Singapore,2023-2030)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, სინგაპურის მიერ დანერგილი "30x30" სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის ადგილობრივი მოთხოვნილების 30%-ის დაკმაყოფილებას საკუთარი წარმოებით. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანამ შექმნა:

- 260 მილიონი დოლარის აგროტექნოლოგიური ფონდი
- 18 მაღალტექნოლოგიური თევზის ფერმა
- 238 ვერტიკალური ურბანული ფერმა (Singapore,2023)

რესურსულ უპირატესობაზე დაფუძნებული მოდელის ყველაზე მასშტაბური მაგალითია რუსეთი, რომლის მაჩვენებლები 2023 წლისთვის:

- მარცვლეულის ექსპორტი - 46 მილიონი ტონა
- სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი - 193.3 მილიონი ჰა
- სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში - 4.8%
- აგროექსპორტის მოცულობა - 41.6 მილიარდი დოლარი (FAO, 2023)

იაპონიის სახელმწიფო მხარდაჭერის მოდელი განსაკუთრებით საინტერესოა მისი კომპლექსურობით:

- სოფლის მეურნეობის სუბსიდირება - მთლიანი შემოსავლის 41.3%
- სმარტ ფერმების რაოდენობა - 2,200

- რობოტიზებული ფერმების წილი - 36%
- ბრინჯის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი - 97% (Japan,2023)

სასურსათო ხელმისაწვდომობა და კვების წარმოების სხვადასხვა გამოცდილების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია განვიხილოთ როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკები, ისე საქართველოს მეზობელი ქვეყნების მდგომარეობა. სამხრეთ კავკასიისა და მიმდებარე რეგიონებში, კერძოდ სომხეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, რუსეთსა და თურქეთში, სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზსა და სისტემურ მიდგომას.

სომხეთი, როგორც მცირე მთიანი ქვეყანა, განიცდის მნიშვნელოვან გამოწვევებს შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომითი რესურსების დაახლოებით 30%, სექტორის წილი მშპ-ში მხოლოდ 10%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს დაბალ პროდუქტიულობაზე. ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე, განსაკუთრებით ხორბალზე, რომლის უმეტესი ნაწილიც რუსეთიდან შემოდის (WB Armenia,2023).

აზერბაიჯანის მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია კარგად მორწყული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მხოლოდ 6%-ს შეადგენს, რაც ნავთობზე ორიენტირებული ეკონომიკის შედეგია. აზერბაიჯანიც, სომხეთის მსგავსად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხორბლის იმპორტზე (Azerbaijan,2023).

რუსეთი წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას რეგიონში. როგორც მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, ის ფლობს უზარმაზარ და მრავალფეროვან სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და არის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ხორბლის,შაქრის,ზეთის და ა.შ. ექსპორტიორი. თუმცა, შეზღუდული ინვესტიციებისა და მოძველებული ტექნოლოგიების გამო, რუსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს(OECD Russia,2023).

თურქეთი წარმოადგენს რეგიონის ყველაზე დიდ აგროეკონომიკას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სამუშაო ძალის მეოთხედზე მეტი, და ქვეყანა არის

მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ხილის, თხილის, ბოსტნეულისა და ზეთისხილის ზეთის. მიუხედავად ამისა, თურქეთიც განიცდის გარკვეულ სირთულეებს, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით(Turkstat,2023).

საქართველოს კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა მისი უნიკალური უპირატესობების ანალიზი. World Bank-ის 2020 წლის კვლევის თანახმად, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობები მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში საქართველო გამოირჩევა კლიმატური პირობების მრავალფეროვნებითა და წყლის რესურსების უკეთესი ხელმისაწვდომობით. თურქეთთან შედარებით კი უპირატესობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაბალი მოსახლეობის სიმჭიდროვე.

შედარებითი უპირატესობის თეორიის გათვალისწინებით (Krugman P.R.,2018), საქართველოსთვის ოპტიმალურია განავითაროს ის დარგები, რომლებშიც გააჩნია ბუნებრივი უპირატესობები. ეს განსაკუთრებით ეხება მევენახეობა-მეღვინეობას - 2023 წელს ექსპორტმა 240 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მეხილეობას - წლიური წარმოება 464,000 ტონა და თხილის წარმოებას - ექსპორტი 120 მლნ აშშ დოლარი (საქსტატი,2023).

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას სასურსათო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ტექნოლოგიურ თანამშრომლობას და სავაჭრო ინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციისა და წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია აგროტექნოლოგიების მოდერნიზაცია, ფერმერთა განათლების გაძლიერება და კოოპერატიული მოძრაობის განვითარება. ეს მიდგომები საშუალებას მისცემს ქვეყანას ოპტიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები და პოტენციალი.

აღსანიშნავია, რომ სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერება არ არის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი - ის წარმოადგენს სტრატეგიულ აუცილებლობას რეგიონული სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისთვის. წარმოებაში, ვაჭრობასა და

მიწოდების ჯაჭვებში თანამშრომლობა შეიძლება გახდეს რეგიონული ინტეგრაციისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კატალიზატორი.

ხორბალი საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურაა, თუმცა ქვეყანა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ხორბლის წარმოებამ შეადგინა დაახლოებით 147,000 ტონა, მაშინ როცა მოხმარება 563,000 ტონას აღწევს. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მხოლოდ 22%-ს შეადგენს(სსეს,2023).

ხორბლის წარმოების გაზრდის ერთ-ერთი გზაა თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა. ეს მოიცავს პრეციზიული(ზუსტი) მიწათმოქმედების მეთოდებს, თანამედროვე საირიგაციო სისტემებს და მოსავლის აღების ეფექტურ ტექნიკას. კვლევები აჩვენებს, რომ ამ ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია მოსავლიანობის 30-40%-ით გაზრდა (FAO,2021)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს ადგილობრივი პირობებისთვის ადაპტირებული ხორბლის ჯიშების შექმნაზე. ახალი, მაღალმოსავლიანი და დაავადებებისადმი მდგრადი ჯიშების გამოყვანა და დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოებას (სმსკვ, 2023).

2022 წლის მონაცემებით, საქართველო იმპორტზეა დამოკიდებული ისეთი პროდუქტების მიმართ, როგორიცაა: ხორბალი,ხორცი,რძის პროდუქტები და ა.შ. ცხადია საქართველო ვერ შეძლებს წარმოების ყველა მიმართულებით თვითუზრუნველყოფის გაზრდას, მაგრამ შედარებითი უპირატესობის თეორიიდან გამომდინარე, ქვეყნისთვის ოპტიმალურია აწარმოოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებაშიც მას გააჩნია შედარებით დაბალი ალტერნატიული დანახარჯი. ეს პრინციპი უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან ალოკაციას და მაქსიმალურ ეკონომიკურ სარგებელს. შესაბამისად, იმპორტი რაციონალურია იმ პროდუქტზე, რომლის წარმოებაშიც სხვა ქვეყნებს გააჩნიათ შედარებითი უპირატესობა (Krugman, P. R.,2018).

საქართველოს კონტექსტში, გეოგრაფიული, აგროეკოლოგიური პირობებისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი წარმოების პრიორიტეტები:

➤ ხილი და ბოსტნეული: საქართველო ცნობილია მაღალი ხარისხის ხილით, როგორიცაა ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი. 2023 წელს ხილის წარმოებამ 464,000 ტონა შეადგინა (სსეს,2023);

➤ ღვინო: ქვეყანას აქვს 8000 წლიანი მეღვინეობის ტრადიცია. 2023 წელს ღვინის ექსპორტმა 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა (საქსტატი,2023);

➤ თხილი: საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი თხილის ექსპორტიორია. 2023 წელს თხილის ექსპორტმა 83 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (საქსტატი,2023).

➤ მეცხოველეობის პროდუქტები: ქვეყანას აქვს პოტენციური გაზარდოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის და თხის წარმოება.

ზოგიერთი პროდუქტის წარმოებას კი იმპორტი ჯობია და შეიძლება უფრო რაციონალურიც იყოს, მაგალითად:

➤ ტროპიკული ხილი: ბანანი, ანანასი, მანგო - კლიმატური პირობების გამო.

➤ ზოგიერთი მარცვლეული: მაგალითად, ბრინჯი, რომლის მოყვანაც საქართველოში ნაკლებად ეფექტურია.

➤ ზღვის პროდუქტები: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს შავი ზღვის სანაპირო, ზოგიერთი ზღვის პროდუქტის იმპორტი შეიძლება უფრო ეკონომიური იყოს.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციური გააუმჯობესოს თავისი სასურსათო უსაფრთხოება და შეამციროს იმპორტზე დამოკიდებულება. ამისათვის კი საჭიროა:

➤ ინვესტიციების გაზრდა აგრარულ სექტორში, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებში;

➤ ფერმერთა განათლებისა და ტრენინგების გაძლიერება;

➤ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წახალისება;

➤ ხორბლის წარმოების გაზრდა ახალი ჯიშების დანერგვითა და აგროტექნოლოგიების გაუმჯობესებით;

➤ ექსპორტის პოტენციალის მექანე პროდუქტების (ღვინო, თხილი, ხილი) წარმოების გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება;

➤ მეცხოველეობის სექტორის განვითარება იმპორტის ჩანაცვლების მიზნით;

➤ ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება წყლის რესურსების ეფექტური გამოყენებისთვის.

ამ მიდგომით, საქართველო ოპტიმალურად გამოიყენებს თავის აგრარულ პოტენციალს, მიაღწევს მაღალ პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე, ამავდროულად უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

თუ სხვა წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას გადავხედავთ, საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ისრაელისა და ნიდერლანდების მაგალითი, რადგან ორივე ქვეყანამ შეძლო შეზღუდული რესურსების პირობებში მაღალი ეფექტიანობის მიღწევა. საქართველოს მაჩვენებლები 2023 წლისთვის:

- ხორბლის მოსავლიანობა - 2.4 ტ/ჰა
- სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი - 3 მილიონი ჰა
- თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ხორბალში - 22%
- აგროექსპორტის მოცულობა - 1.2 მილიარდი დოლარი (საქსტატი, 2023)

აჭარის რეგიონი, თავისი უნიკალური აგროკლიმატური მახასიათებლებით, მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის მთლიანი ფართობი შეადგენს 72,800 ჰექტარს, საიდანაც სახნავი მიწის ფართობია 19,000 ჰა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავების ფართობი - 14,700 ჰა (სსეს, 2023).

აჭარის რეგიონის აგროსექტორის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მიმართულების განვითარება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

პირველ მიმართულებას წარმოადგენს სასათბურე მეურნეობების მოდერნიზაცია ნიდერლანდების გამოცდილების გათვალისწინებით. ეს მოიცავს თანამედროვე ჰიდროპონიკის სისტემების დანერგვას, კლიმატის კონტროლის სმარტ სისტემების იმპლემენტაციას და LED განათების ტექნოლოგიების გამოყენებას. Wageningen University-ის კვლევის თანახმად (2023), ამ ტექნოლოგიების დანერგვით მოსალოდნელია მოსავლიანობის ზრდა 300-400%-ით.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესება ისრაელის მოდელის მიხედვით. ეს გულისხმობს წვეთოვანი რწყვის სისტემების

დანერგვას მთიან რეგიონებში, წყლის რეცირკულაციის სისტემების იმპლემენტაციას სათბურებში და წვიმის წყლის შეგროვების თანამედროვე სისტემების მონტაჟს. Israel Water Authority-ის მონაცემებით (2023), მსგავსი მიდგომით შესაძლებელია წყლის მოხმარების შემცირება 55-65%-ით.

მესამე მიმართულებას წარმოადგენს ციტრუსისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ეფექტიანობის გაზრდა იაპონური მოდელის გამოყენებით. ეს მოიცავს პრეციზიული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების დანერგვას, მავნებლებთან ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების გამოყენებას და მოსავლის აღების ავტომატიზებული სისტემების დანერგვას. Japan International Cooperation Agency-ის კვლევის თანახმად (2023), ამ მიდგომით მოსალოდნელია პროდუქტიულობის ზრდა 40-50%-ით.

გლობალური ტენდენციების ანალიზი აჩვენებს, რომ სასურსათო უსაფრთხოებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თანამედროვე მიდგომები სულ უფრო მეტად ეფუძნება ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას (IoT სენსორები, ხელოვნური ინტელექტი, Big Data ანალიტიკა), მდგრადი განვითარების პრინციპებს (განახლებადი ენერგია, რესურსების ეფექტიანი გამოყენება) და ცირკულარული ეკონომიკის მოდელებს (WEF, 2023).

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2030 წლისთვის სასურსათო წარმოების ეფექტიანობა უნდა გაიზარდოს 70%-ით კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მზარდი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს მიზანი მიღწევადია მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების, მდგრადი პრაქტიკებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კომბინაციით.

აჭარის რეგიონის აგროსექტორის განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაცია უნდა ეფუძნებოდეს რეალურ მონაცემებს და ადგილობრივ შესაძლებლობებს. საქსტატის 2023 წლის მონაცემებით, აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 72,800 ჰა, სათბურების არსებული ფართობია 126 ჰა, ხოლო ციტრუსის წარმოება წელიწადში აღწევს 34,000 ტონას.

FAO-ს მონაცემებით, თანამედროვე სათბურების დანერგვით შესაძლებელია მოსავლიანობის გაზრდა 2.5-3-ჯერ, წყლის მოხმარების შემცირება 40%-მდე და ენერგოეფექტურობის გაზრდა 35%-მდე.

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისთვის ოპტიმალურ საინვესტიციო მოდელს წარმოადგენს ეტაპობრივი მოდერნიზაცია. პირველ ეტაპზე რეკომენდებულია არსებული სათბურების მოდერნიზაცია, წვეთოვანი რწყვის სისტემების დანერგვა და ფერმერთა გადამზადება. მეორე ეტაპზე კი - კოოპერატივების განვითარება, სამაცივრე მეურნეობების მოწყობა და ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა.

EBRD-ის შეფასებით, მსგავსი პროექტების განხორციელებისას რეალისტური მოსალოდნელი შედეგებია პროდუქტიულობის ზრდა 30-40%-ით, ენერგოხარჯების შემცირება 25-35%-ით და ექსპორტის ზრდა 20-30%-ით.

სახელმწიფო პროგრამა "დანერგე მომავალი" აჭარის რეგიონისთვის ითვალისწინებს მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსებას 70%-ის ოდენობით (0.5-დან 50 ჰა-მდე) და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსებას 50%-ის ოდენობით (მინიმალური ფართობი 0.5 ჰა) (სსგს,RDA).

პროგრამა "აწარმოე საქართველოში" გადამამუშავებელ საწარმოებს სთავაზობს საკრედიტო-საგრანტო კომპონენტს, რომელიც მოიცავს პირველი 24 თვის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსებას, მაქსიმალური მოცულობით 10 მლნ ლარი.

"შელავათიანი აგროკრედიტი" კი გულისხმობს საბრუნავი საშუალებებისთვის მაქსიმუმ 200,000 ლარის ოდენობით დაფინანსებას (პროცენტის 8%-იანი სუბსიდირებით) და ძირითადი საშუალებებისთვის 1,500,000 ლარამდე (პროცენტის 11%-იანი სუბსიდირებით) (სსგს,RDA).

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები მოიცავს სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერას, მრავალწლიანი ბაღების გაშენების ხელშეწყობას და თანამედროვე სარწყავი სისტემების დანერგვას.

"დანერგე მომავალი"-ს ფარგლებში 2023 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა კივის პლანტაციის გაშენება 3.2 ჰა-ზე (თანადაფინანსება 89,600 ლარი, 12 ბენეფიციარი), ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - ციტრუსის ბაღების გაშენება 5.8 ჰა-ზე (თანადაფინანსება 156,600 ლარი, 18 ბენეფიციარი).

"აწარმოე საქართველოში"-ს ფარგლებში ბათუმში დაფინანსდა ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმო (ინვესტიცია 1.2 მლნ ლარი, 42 სამუშაო ადგილი).

"შელავათიანი აგროკრედიტი"-ს პროგრამის ფარგლებში აჭარაში გაიცა 312 სესხი, ჯამური მოცულობით 8.4 მლნ ლარი. სექტორული განაწილება შემდეგნაირია: სათბურები - 35%, მეციტრუსეობა - 28%, მეცხოველეობა - 22%, სხვა - 15%.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში 2023 წელს დაფინანსდა 28 სასათბურე მეურნეობის პროექტი (საერთო ფართობი 2.4 ჰა) და თანამედროვე სარწყავი სისტემების დანერგვა 32 ჰა-ზე (146 ბენეფიციარი).

სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 37,800 ადამიანი, სექტორის წილი რეგიონის მშპ-ში შეადგენს 9.2%-ს, ხოლო რეგისტრირებული ფერმერული მეურნეობების რაოდენობა არის 22,400.

სასურსათო უსაფრთხოების კუთხით აჭარის რეგიონში განხორციელებული პროექტები და მიღებული გამოცდილება წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს როგორც რეგიონული, ისე ქვეყნის მასშტაბით სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, აჭარის რეგიონი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაში, განსაკუთრებით ციტრუსოვნების, სათბურის პროდუქციისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების კუთხით.

წარმატებული პროექტების ანალიზი (სოფლის განვითარების სააგენტოს მონაცემები, 2023) აჩვენებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და კოოპერაციული მიდგომების განვითარება მნიშვნელოვნად ზრდის წარმოების ეფექტიანობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია სათბურების და ინტენსიური ბაღების მიმართულებით მიღწეული შედეგები, რაც ადასტურებს ამ მიდგომების მასშტაბურად გავრცელების აუცილებლობას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით, აჭარის რეგიონისთვის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. ტექნოლოგიური განახლება:
 - სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია
 - სასათბურე მეურნეობების განვითარება
 - შენახვისა და გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

2. წარმოების დივერსიფიკაცია:

- სეზონურობის დაძლევა სათბურების განვითარებით
- ახალი კულტურების დანერგვა
- ღირებულებათა ჯაჭვის გაფართოება

3. კოოპერაციის განვითარება:

- მცირე მეურნეობების გაერთიანების ხელშეწყობა
- საერთო ინფრასტრუქტურის შექმნა
- ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების პლატფორმების განვითარება

აჭარის რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების გრძელვადიანი ხედვა უნდა ეფუძნებოდეს როგორც ადგილობრივ პოტენციალს, ისე საერთაშორისო გამოცდილებას. სოფლის მეურნეობის 2021-2027 წლების სტრატეგიის კონტექსტში, რეგიონისთვის წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება და პრიორიტეტულია:

4. ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა:

- საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია
- პროდუქციის უვნებლობის კონტროლის გაძლიერება
- მიკველევადობის სისტემების დანერგვა

5. საექსპორტო პოტენციალის განვითარება:

- ბაზრების დივერსიფიკაცია
- ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატების მოპოვება

6. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვა:

- რესურსების ეფექტიანი გამოყენება
- კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია
- მდგრადი წარმოების მეთოდების დანერგვა

სასურსათო უსაფრთხოების გრძელვადიანი პერსპექტივები:

1. ადგილობრივი წარმოების გაძლიერება:

- თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება ძირითად პროდუქტებზე
- სეზონურობის გავლენის შემცირება
- წარმოების ინტენსიფიკაცია

2. რესურსების ეფექტიანი გამოყენება:

- წყლის რესურსების რაციონალური მართვა
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა

3. სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი:

- სასოფლო დასახლებებში დასაქმების ზრდა
- შემოსავლების დივერსიფიკაცია
- სოფლის მეურნეობის მიმზიდველობის გაზრდა ახალგაზრდებისთვის

ეს რეკომენდაციები და პერსპექტივები ეფუძნება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, FAO-ს და მსოფლიო ბანკის ოფიციალურ დოკუმენტებს. მათი განხორციელება მოითხოვს კოორდინირებულ მუშაობას სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან, თეორიული ანალიზისა და პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ სტაბილურობას და მოსახლეობის კეთილდღეობას. საქართველოს რეალობაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე ძირითად სასურსათო პროდუქტებში - ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მხოლოდ 22%-ია, ხორცპროდუქტების - 47%, ხოლო ბოსტნეულის - 52%.

კვების ინდუსტრიის თანამედროვე გაგება სცდება წარმოების ტრადიციულ ჩარჩოებს და მოიცავს მთელ ღირებულებათა ჯაჭვს - დაწყებული პირველადი წარმოებიდან, დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე. ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც კვების მრეწველობა შეადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის 25.3%-ს და წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან სექტორს.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (ნიდერლანდები, ისრაელი, სინგაპური) გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ შეზღუდული რესურსების პირობებშიც კი შესაძლებელია მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ეფექტიანი მენეჯმენტის გზით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია

საქართველოსთვის, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი პოტენციალი, თუმცა მისი ათვისება ჯერ კიდევ არაოპტიმალურია.

გლობალური ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება სულ უფრო მეტად უკავშირდება ციფრულ ტრანსფორმაციას, მდგრად განვითარებასა და ცირკულარულ ეკონომიკას. ამ მიმართულებით საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის რეალიზებაც შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ნაბიჯებით:

1. მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით;
2. უნარჩუნო წარმოების მოდელების განვითარება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
3. ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემების იმპლემენტაცია;
4. აგროსასურსათო სექტორის კოოპერაციული მოდელის განვითარება;
5. ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოებასა და მართვაში;
6. ლაბორატორიული და სამეცნიერო კვლევების გაძლიერება გარემო ფაქტორების შესასწავლად;
7. ნიადაგების სისტემური კვლევა და აგროეკოლოგიური ზონირება რეგიონების მიხედვით;
8. მიწების პოტენციალის შეფასება და წარმოების ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრა თითოეული ზონისთვის.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებას, ისე კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობას და საერთაშორისო გამოცდილების ეფექტიან ადაპტაციას ადგილობრივ პირობებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების გაფართოება, როგორიცაა "დანერგე მომავალი", "აწარმოე საქართველოში" და "შეღავათიანი აგროკრედიტი", რომლებმაც უკვე აჩვენეს ფრაგმენტულად, პოზიტიური შედეგები აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში.

თავი 2. სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ინდუსტრიის

კონკურენტუნარიანობის ზოგიერთი საკითხი

2.1. აჭარის სასურსათო პოტენციალის შეფასება და წარმოების ინოვაციური მიდგომები

სასურსათო უსაფრთხოება აჭარის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ის კვლავ აწყდება სირთულეებს სეზონურად გამოთანაბრებული, საკმარისი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სურსათის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეს გამოწვევები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მცირე მიწიანობა, რთული რელიეფი, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია, კლიმატის ცვლილება, შეზღუდული ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციური შესაძლებლობები.


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, მთიან და მთისწინა ტერიტორიებს. რეგიონს გააჩნია სუბტროპიკული ნოტიო კლიმატი, ხასიათდება ხშირი ნალექებითა და ზომიერი ტემპერატურით. რეგიონის ნიადაგები განსხვავებულია და მოიცავს ყავისფერ, წითელმიწა, ჭაობის და ალუვიურ ნიადაგებს. ეს პირობები ხელსაყრელს ხდის სხვადასხვა კულტურების მოყვანას, როგორიცაა ციტრუსი, თხილი, ჩაი, ხილი და ბოსტნეული.

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია სამი ძირითადი მიმართულებით: ტრადიციული დარგები, სამოყვარულო და ინოვაციური მიმართულებები. რეგიონის აგროკლიმატური პირობები და ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო კულტურა განაპირობებს ტრადიციული დარგების მრავალფეროვნებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციტრუსების წარმოება (53,000 ტონა წლიურად, 2022), რომელიც წამყვან როლს ასრულებს ფერმერული მეურნეობების შემოსავლების ფორმირებაში, მეჩაიეობა (რომელსაც აღდგენის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია), მეფუტკრეობა (2,800 ფუტკრის ოჯახი, 2023), რომელიც უზრუნველყოფს როგორც თავლის წარმოებას, ისე კულტურული მცენარეების დამტკერვას, და თამბაქოს წარმოება (რომელიც ისტორიულად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დღეს მცირე მასშტაბით არის წარმოდგენილი). მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცხოველეობა და მისი პროდუქტების წარმოება.

მეცხოველეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან აჭარაში, სადაც ალპური და სუბალპური საძოვრების არსებობა ხელს უწყობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას. ადგილობრივი სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საოჯახო მეურნეობებში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, ასევე ხორცპროდუქტების წარმოება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ისე რეგიონის ტურისტული სექტორის მომსახურებას.

სამოყვარულო მეურნეობები მოიცავს საკარმიდამო ბოსტნეულ კულტურებს, მცირე მეცხოველეობას, შინამეურნეობების ბაღებსა და მცირე სათბურებს საოჯახო მოხმარებისთვის. ინოვაციური მიმართულებებიდან აღსანიშნავია თანამედროვე სასათბურე მეურნეობები, კივის პლანტაციები, ჰიდროპონიკური მებოსტნეობა, ბიომეურნეობები და სხვა ახალი, სელექციური ჯიშების დანერგვის მცდელობა.

დიაგრამა N1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მიწათსარგებლობის მიხედვით აჭარა (ჰა)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 787 714 ჰა ფართობს, მათ შორის აჭარის რეგიონზე მოდის დაახლოებით 19 700 ჰა, საიდანაც სახნავი მიწებია 6054 ჰა, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულია 9011 ჰა,

სათბურებია 12 ჰა-ზე და სამოვრებია 4653 ჰა მიწის ფართობზე (იხ.დიაგრამა N1 და N2). არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი კი საქართველოში სულ 54 575 ჰა ფიქსირდება, აქედან აჭარის რეგიონზე მოდის 2212 ჰა, მხოლოდ 4%, საიდანაც 7 ჰა არის წყალსატევები აკვაკულტურისთვის და 468 ჰა უჭირავს ტყეს.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის, რეგიონული სტატისტიკის ანგარიშების თანახმად(სსეს რეგ.,2023)., აჭარის რეგიონში ერთწლიანი მეურნეობა წარმოდგენილია ძირითადად მცირე ფერმერული მეურნეობების სახით. 2023 წლის მონაცემებით, რეგიონში სიმინდის წარმოებამ შეადგინა 3.7 ათასი ტონა, საშუალო მოსავლიანობით 1.6 ტონა ჰექტარზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (2.6 ტ/ჰა) დაბალია. ლობიოს წარმოება შეადგენს 0.2 ათას ტონას. კარტოფილის წარმოება რეგიონში 2023 წელს იყო 8.4 ათასი ტონა, რაც წინა წელთან შედარებით 16.8%-ით ნაკლებია. კარტოფილის მოსავლიანობა (11.8 ტ/ჰა) ახლოსაა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან (12.2 ტ/ჰა). ბოსტნეულის წარმოება შეადგენს 4.5 ათას ტონას, თუმცა მოსავლიანობა (5.7 ტ/ჰა) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (11.2 ტ/ჰა).

რეგიონში მნიშვნელოვანია მრავალწლიანი კულტურების წარმოება. აჭარა ლიდერია ციტრუსის წარმოებაში - 2023 წელს წარმოებულ იქნა 59.2 ათასი ტონა ციტრუსი (ქვეყნის წარმოების 82.6%), მათ შორის 55.1 ათასი ტონა მანდარინი, 2.0 ათასი ტონა ფორთოხალი და 2.2 ათასი ტონა ლიმონი. ხილის წარმოებამ შეადგინა 14.0 ათასი ტონა, საიდანაც თესლოვანი ხილია 2.7 ათასი ტონა, კურკოვანი - 2.3 ათასი ტონა, კაკლოვანი - 5.9 ათასი ტონა და სუბტროპიკული ხილი - 3.0 ათასი ტონა. მნიშვნელოვანია თხილის წარმოება - 3.3 ათასი ტონა და ყურძნის წარმოება - 2.2 ათასი ტონა. აღსანიშნავია, რომ ჩაის წარმოება რეგიონში პრაქტიკულად შეწყვეტილია (2023 წელს - 0.0 ათასი ტონა).

აჭარის რეგიონში მეცხოველეობის დარგი წარმოდგენილია ძირითადად მცირე საოჯახო მეურნეობების სახით. 2023 წლის მონაცემებით, რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 41.7 ათას სულს, რაც წინა წელთან შედარებით 14.0%-ით ნაკლებია. ფურისა და ფურკამეჩის რაოდენობა 19.6 ათასი სულია (15.5%-იანი კლება). რძის წარმოება შეადგენს 29.0 მილიონ ლიტრს, ხოლო საშუალო წლიური წველადობა ერთ ფურზე - 1,480 ლიტრს. ხორცის წარმოება რეგიონში 2023 წელს იყო 1.6 ათასი ტონა, საიდანაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის

ხორცი შეადგენს 1.3 ათას ტონას, ხოლო ფრინველის ხორცი - 0.3 ათას ტონას. კვერცხის წარმოება შეადგენს 3.7 მილიონ ცალს.

მეფუტკრეობა რეგიონში ვითარდება - 2023 წელს ფუტკრის ოჯახების რაოდენობამ შეადგინა 22.4 ათასი სკა, რაც 12.0%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. თაფლის წარმოებამ კი შეადგინა 0.2 ათასი ტონა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობა დაბალია სეზონური მომთაბარეობით გამოწვეული, ცხოველთა არაპროდუქტიული ჯიშების, მწირი საკვები ბაზისა და ვეტერინარული მომსახურების ნაკლებობის გამო. რძის გადამუშავება და ხორცის წარმოება მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არის რამდენიმე მცირე საწარმო.

აჭარის სოფლის მეურნეობის მიმოხილვა გვაჩვენებს, რომ რეგიონს აქვს საკუთარი გამორჩეული სასოფლო-სამეურნეო პროფილი. განსაკუთრებით წარმატებულია ციტრუსების წარმოება - აჭარა აწარმოებს საქართველოს ციტრუსის 82.6%-ს, კერძოდ 59.2 ათას ტონას. ასევე მნიშვნელოვანია სხვა სახის ხილის, განსაკუთრებით კაკლოვანი და სუბტროპიკული კულტურების წარმოება. თუმცა, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა საგრძნობლად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს - მაგალითად, სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 1.6 ტონაა მაშინ, როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 2.6 ტონას შეადგენს.

მეცხოველეობაში შეინიშნება გარკვეული სირთულეები - პირუტყვის რაოდენობა მცირდება, 2023 წელს 14%-ით ნაკლები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო წინა წელთან შედარებით. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია მწირი საკვები ბაზით, სუსტი ვეტერინარული მომსახურებით და არაპროდუქტიული ჯიშების გამოყენებით. მეორე მხრივ, დადებით ტენდენციას ავლენს მეფუტკრეობა - სკების რაოდენობა 12%-ით გაიზარდა და 22.4 ათასს მიაღწია.

რეგიონის სოფლის მეურნეობის მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება არსებული გამოწვევების დაძლევა. მცირე მეურნეობების გაერთიანება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და აგროსერვისების გაუმჯობესება შეიძლება გახდეს ის გზა, რომელიც აჭარის სოფლის მეურნეობას ახალ საფეხურზე აიყვანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცხოველეობის განვითარება მაღალმთიან რაიონებში და გადამამუშავებელი

მრეწველობის გაძლიერება, რაც ადგილობრივ ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციის უკეთეს შესაძლებლობებს მისცემს.

აჭარის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდროდ უკავშირდება ტურიზმის სექტორს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგროტურიზმის პოტენციალი მაღალმთიან აჭარაში, ასევე ახლად განვითარებადი ღვინის ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და მეფუტკრეობის ტურები. ტურისტული სექტორის მოთხოვნა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი წარმოების მასშტაბებს, ძირითადად სასტუმროების სექტორი და რესტორნების ქსელი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აჭარის რეგიონის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები. 2023 წლის მონაცემებით, რეგიონის მთავარი საექსპორტო პროდუქტებია: ციტრუსი, თხილი, ჩაი და თაფლი. იმპორტის სტრუქტურა კი აჩვენებს მნიშვნელოვან დამოკიდებულებას ძირითად სასურსათო პროდუქტებზე: ხორბალზე, ხორცპროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე და სეზონურ ბოსტნეულზე. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ რეგიონმა უნდა გაზარდოს ადგილობრივი წარმოება და შეამციროს იმპორტზე დამოკიდებულება.

კლიმატის ცვლილება აჭარის რეგიონში იწვევს უფრო ხშირ და ინტენსიურ ბუნებრივ რისკებს, მათ შორის წყალდიდობებს, მეწყერებს და გვალვებს. ეს მოვლენები აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და ინფრასტრუქტურას, რაც იწვევს მოსავლის კარგვას და აფერხებს პროდუქციის მოყვანას. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC, 2015) შეფასებით, 2050 წლისთვის აჭარაში ნალექების რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს 20%-ით, ხოლო საშუალო ტემპერატურამ 2-3°C-ით. ეს ცვლილებები ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებას.

კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ერთად, რეგიონი დგას მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული საჭიროებების წინაშე. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარება და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა. ეს საკითხები განსაკუთრებით მწვავედ დგას მთიან რეგიონებში, სადაც ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ტექნოლოგიური განვითარების კუთხით, რეგიონი საჭიროებს მექანიზაციის დონის მკვეთრ ამაღლებას (ამჟამად მხოლოდ 25%), თანამედროვე სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვას და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-მოსავლის მართვის სისტემების განვითარება, რაც შეამცირებს დანაკარგებს და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს

სასოფლო-სამეურნეო მიწების დანაწევრება ხელს უშლის ეფექტიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აჭარის რეგიონში. საშუალო ფერმის ზომა შეადგენს მხოლოდ 0.7 ჰექტარს, ხოლო ფერმების 98.4% ფლობს 1.25 ჰექტარზე ნაკლებს. მიწის ფრაგმენტაცია ართულებს მექანიზაციის გამოყენებას და ამცირებს კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, შეუფერებელი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, როგორიცაა ინტენსიური მოვლა და არასათანადო დატვირთვა, იწვევს ნიადაგის ეროზიას და ნაყოფიერების დაქვეითებას.

შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ხელს უშლის სასურსათო უსაფრთხოებას აჭარის რეგიონში. არსებული სასაწყობო ობიექტები არასაკმარისი და მოძველებულია, რაც იწვევს პოსტ-საწარმოო დანაკარგებს. სოფლებში ცუდი გზები და შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებები, ბაზრის დაშორება ფერმერებს უკარგავს წარმოების სტიმულს. ახალი ტექნოლოგიების, როგორიცაა ირიგაციის სისტემები, სასათბურე ინფრასტრუქტურა და გადამამუშავებელი დანადგარები, ასევე მწირია. ცხადია, ეს ხარვეზები გავლენას ახდენს სასურსათო სექტორის მედეგობაზე.

სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სერვისების მიწოდება აჭარის რეგიონში ხასიათდება ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობით. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო სამსახურები განიცდიან სპეციალისტების და ფინანსური რესურსების ნაკლებობას, რაც ზღუდავს მათ უნარს გაუწიონ ტექნიკური დახმარება და ექსტენციის მომსახურება ფერმერებს. ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სერვისების სიმწირე ასევე აჩენს რისკებს ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისთვის. საჭიროა ინსტიტუტების გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2020 წლიდან დანერგა მობილური საკონსულტაციო სერვისები მთიან რეგიონებში, რამაც ფერმერების მომსახურების

ხელმისაწვდომობა 60%-ით გააუმჯობესა. მსგავსი მოდელის ადაპტირება აჭარის პირობებში შეიძლება იყოს ეფექტური გადაწყვეტა საკონსულტაციო სერვისების გასაუმჯობესებლად (Armenia UNDP, 2020).

ინსტიტუციური გამოწვევების დაძლევა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს საკონსულტაციო სერვისების გაძლიერებას, ფერმერთა განათლების სისტემის განვითარებას, კოოპერაციის ხელშეწყობას და ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომების წახალისება და ტრადიციული წარმოების მეთოდების მოდერნიზაცია.

ინფორმაციის და მონაცემების ნაკლებობა აფერხებს ქმედითი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას სასურსათო უსაფრთხოებისთვის. არ არსებობს სანდო და განახლებული მონაცემები ისეთ ინდიკატორებზე, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, თვითუზრუნველყოფის დონეები ყველა პროდუქტის მიმართ და რეგიონების მიხედვით დაყოფილი, სასურსათო ფასები და შინამეურნეობების სასურსათო მოხმარება. არსებული მონაცემები ხშირად დანაწევრებულია სხვადასხვა უწყებებს შორის და არ ხდება მათი სისტემატიური ანალიზი. ამ ხარვეზების გამოსწორება მოითხოვს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გაზიარების გაძლიერებას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის.

აგროსასურსათო სექტორში ინოვაციური მიდგომების დანერგვა უნდა ეფუძნებოდეს რეგიონის უნიკალურ მახასიათებლებს და არსებულ პოტენციალს. სასათბურე მეურნეობების განვითარება, შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება წარმოების ინტენსიფიკაციისთვის. თანამედროვე სათბურები, ადჰურვილი კლიმატის კონტროლის სისტემებით და ჰიდროპონიკის ტექნოლოგიებით, საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროდუქტიულობა და შემცირდეს სეზონური დამოკიდებულება.

თურქეთში, ტრაპიზონის რეგიონმა ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სასათბურე მეურნეობების განვითარებაში, სადაც ჰიდროპონული სისტემების დანერგვამ 40%-ით გაზარდა პროდუქტიულობა (Taksim, 2023).

აზერბაიჯანის გამოცდილებაც საინტერესოა Agro Smart Village პროგრამით, რომელმაც ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით 30%-ით შეამცირა წყლის მოხმარება მცირე ფერმერულ მეურნეობებში (Azerbaijan WB, 2021).

მნიშვნელოვანია ადინიშნოს ბიომეურნეობების განვითარების პერსპექტივა, რომელიც პასუხობს როგორც ადგილობრივ მოთხოვნას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, ისე ტურისტული სექტორის საჭიროებებს.

კოოპერატიული მოძრაობის განვითარება, რომელიც ამჟამად მხოლოდ 1.5%-ს შეადგენს, წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს წვრილი მეურნეობების ეფექტიანობის გასაზრდელად. კოოპერატივების საშუალებით შესაძლებელია როგორც წარმოების მასშტაბის გაზრდა, ისე თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია სოფლის მეურნეობაში წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინოვაციურ მიმართულებას. პრეციზიული სოფლის მეურნეობის მეთოდები, IoT სენსორები და მონაცემთა ანალიტიკა საშუალებას იძლევა ოპტიმიზებულ იქნას რესურსების გამოყენება და გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა.

სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება აჭარის რეგიონში ხასიათდება კოორდინაციისა და შესრულების პრობლემებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე პროგრამა და სტრატეგია სექტორის მხარდასაჭერად, მათ ხშირად აქვთ ფრაგმენტული ხასიათი და არ ექვემდებარება სისტემურ მონიტორინგსა და შეფასებას. მაშინ როცა სახელმწიფო აფინანსებს სხვადასხვა პროექტებს, აუცილებელია მისი მონიტორინგი, შედეგიანობის შეფასება და სამომავლო პერსპექტიულობის განსაზღვრა, სხვა შემთხვევაში რესურსის ფლანგვა და არამიზნობრიობა იკვეთება. პოლიტიკის პრიორიტეტებისა და რესურსების განაწილებაში ასევე არის გადაფარვები და ხარვეზები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის. ვფიქრობთ, საჭიროა უფრო ინკლუზიური და თანმიმდევრული მმართველობის მექანიზმები სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინაციისა და პოლიტიკის ანგარიშვალდებულების გასაზრდელად.

როგორც აღვნიშნეთ, სასურსათო წარმოებისა და ტურიზმის სექტორის ინტეგრაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას რეგიონის განვითარებისთვის. აჭარაში

უკვე ვითარდება აგროტურიზმის რამდენიმე მიმართულება: მაღალმთიანი აჭარის ტრადიციული მეურნეობების ტურები, ღვინის ტურიზმი (ახალი, მაგრამ პერსპექტიული მიმართულება), გასტრონომიული ტურიზმი და მეფუტკრეობის ტურები. ტურისტული სექტორის მზარდი მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზე ქმნის დამატებით სტიმულს წარმოების გასაფართოებლად. ადგილობრივი პროდუქციის ინტეგრაცია ტურიზმში ხორციელდება სამი ძირითადი არხით: ადგილობრივი ბაზრობები, ფერმერული მაღაზიები და სასტუმროებთან პირდაპირი მიწოდების ქსელები.

რეგიონში ჩატარებული სხვადასხვა ფესტივალები და გამოფენა-გაყიდვები, საშუალებას აძლევს მცირე მეწარმეებს და საოჯახო ბიზნესებს წარმოაჩინონ თავიანთი პროდუქცია ფართო მასშტაბებით, რაც მათ პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ბოლო პერიოდში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად სხვადასხვა სასტუმროებიც აქტიურად ატარებენ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს. გარდა ამისა ატიურად მიმდინარეობს ქართული წარმოების პოპულარიზაცია სასტუმროებში, ოთახებში წარმოდგენილი უფასო წყალი თუ ჩაი აუცილებლად უნდა იყოს ქართული და მსგავს კამპანიაში ჩართულია როგორც საერთაშორისო ბრენდის ისე ადგილობრივი ქართული ბრენდის სასტუმროები. ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის მიდგომები მეტად გააძლიერებს სოფლის მეურნეობას და წაახალისებს ადგილობრივ წარმოებას.

აჭარის რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი ნაწილი უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც მცირემიწიანობისა და ფრაგმენტაციის პრობლემის გადაჭრას, ასევე თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვასა და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციას. ეს გულისხმობს ისეთ ზომებს, როგორიცაა მიწათსარგებლობის ოპტიმიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის (საწყობები, სამაცივრე მეურნეობები, გზები) განვითარება, წვეთოვანი და სხვა ეფექტური სარწყავი სისტემების დანერგვა, ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ტექნიკის (მულჩირება, თესლბრუნვა, კონტურული დამუშავება) გამოყენება და გვალვაგამძლე კულტურების წარმოების ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერთა პროფესიული განვითარება, რაც მოიცავს როგორც აგრონომიულ განათლებას, ისე ფინანსურ წიგნიერებას, კოოპერაციის უნარებს და თანამედროვე აგრომეტეოროლოგიური ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობებს.

ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს მიწების ფრაგმენტაცია და მისი თანმდევი კომპლექსური პრობლემები. კვლევის პროცესში გამოვავლინეთ, რომ საშუალო ფერმის ზომა რეგიონში შეადგენს მხოლოდ 0.7 ჰექტარს, ხოლო ფერმების 98.4% ფლობს 1.25 ჰექტარზე ნაკლებს (აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2023).

შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონის ქვეყნების მაჩვენებლებს:

- სომხეთში საშუალო ფერმის ზომა 1.4 ჰექტარს შეადგენს (FAO South Caucasus Report, 2023)
 - აზერბაიჯანში - 2.3 ჰექტარს (World Bank Agriculture Report, 2023)
 - თურქეთის შავი ზღვის რეგიონში - 2.8 ჰექტარს (Turkish Statistical Institute, 2023)
- განსაკუთრებით საყურადღებოა თურქეთის შავი ზღვის რეგიონის გამოცდილება, სადაც მსგავსი კლიმატური და გეოგრაფიული პირობების მიუხედავად, მიწის კონსოლიდაციის პროგრამებმა 2018-2023 წლებში უზრუნველყო ფერმერული მეურნეობების შემოსავლების 22%-იანი ზრდა (Turkish Ministry of Agriculture, 2023).

ჩვენი კვლევის შედეგად შემუშავებული მიწის კონსოლიდაციის სამი ძირითადი მიმართულება ეფუძნება როგორც ადგილობრივ ემპირიულ მონაცემებს, ისე რეგიონის ქვეყნების გამოცდილებას:

1. მეცხოველეობის სექტორში: კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში საძოვრების ფრაგმენტული გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მეცხოველეობის პროდუქტიულობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის არდაჰანის რეგიონის გამოცდილება, სადაც საძოვრების კონსოლიდირებული მართვით მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები (Turkish Livestock Research Institute, 2023):

- საძოვრების პროდუქტიულობის 25%-იანი ზრდა
- წველადობის 20%-იანი გაუმჯობესება
- ფერმერთა შემოსავლების 15%-იანი ზრდა

2. მებოსტნეობის სექტორში: სომხეთის არარატის ველზე განხორციელებული მსგავსი პროექტების გამოცდილება (Armenian Agriculture Development Fund, 2023) გვიჩვენებს:

- წყლის მოხმარების 35%-ით შემცირების შესაძლებლობას
- მოსავლიანობის 30%-იანი ზრდის პოტენციალს
- სასუქების გამოყენების ეფექტიანობის 25%-ით გაუმჯობესებას

3. კაკლოვანი კულტურების მიმართულებით: აზერბაიჯანის ზაქათალას რეგიონის გამოცდილება (Azerbaijan Hazelnut Producers Association, 2023) აჩვენებს:

- დანაკარგების შემცირებას 15%-დან 7%-მდე
- სარეალიზაციო ფასის 30%-იან ზრდას
- ფერმერთა შემოსავლების 25%-იან მატებას

რეკომენდებული განხორციელების მექანიზმები:

1. ინსტიტუციური მხარდაჭერა:

- საკანონმდებლო ბაზის მორგება კოოპერაციული მოდელებისთვის (სომხეთის მოდელის გათვალისწინებით)
- სპეციალიზებული საკონსულტაციო სერვისების განვითარება

2. ფინანსური ინსტრუმენტები:

- საგრანტო დაფინანსება
- შეღავათიანი სესხები ინფრასტრუქტურისთვის
- სადაზღვევო პროდუქტების განვითარება

3. ცოდნის გადაცემა და განათლება - სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გასაზრდელად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერმერთა ცოდნისა და უნარების განვითარება.

რეგიონის ქვეყნების გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი მოდელების დანერგვა 5-7 წელიწადში უზრუნველყოფს:

- წარმოების მასშტაბის ეკონომიის მიღწევას
- რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას
- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას
- ფერმერების შემოსავლების 15-20%-ით ზრდას

ეს პროგნოზი ეფუძნება სამხრეთ კავკასიის რეგიონის და თურქეთის შავი ზღვის რეგიონის რეალურ მონაცემებს 2018-2023 წლების პერიოდისთვის და ითვალისწინებს ადგილობრივ სპეციფიკას.

კონსოლიდაციის ეფექტი არის მიწის გაერთიანების შედეგად მიღებული სარგებელი, რომელიც გამოიხატება რამდენიმე მთავარი მაჩვენებლით. კონსოლიდაციის ეფექტი შეგვიძლია განვიხილოთ სამი ძირითადი მიმართულებით:

1. მასშტაბის ეფექტი:

- მცირე, დაქუცმაცებული ნაკვეთების გაერთიანებით შესაძლებელი ხდება თანამედროვე ტექნიკის გამოყენება

- მაგალითად, 0.3-0.5 ჰა ნაკვეთებზე შეუძლებელია ტრაქტორის ეფექტიანი გამოყენება, მაგრამ 5-10 ჰა გაერთიანებულ ფართობზე ეს უკვე შესაძლებელია

- შედეგად, შრომითი და საწარმოო ხარჯები მცირდება 25-30%-ით

2. რესურსების ოპტიმიზაცია:

- გაერთიანებულ ფართობებზე შესაძლებელი ხდება თანამედროვე სარწყავი სისტემების დანერგვა

- უმჯობესდება სასუქების და შხამ-ქიმიკატების გამოყენების ეფექტიანობა

- მაგალითად, წვეთოვანი მორწყვის სისტემის დანერგვით წყლის დანახარჯი მცირდება 35-40%-ით

3. საბაზრო უპირატესობები:

- გაერთიანებული მეურნეობები იღებენ უკეთეს ფასებს პროდუქციის რეალიზაციისას

- უმჯობესდება ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია

- მაგალითად, თურქეთის შავი ზღვის რეგიონში გაერთიანებულმა მეურნეობებმა შეძლეს ფასების 15-20%-ით გაზრდა

კონსოლიდაციის ჯამური ეფექტი (15-20%) არის ყველა ამ ფაქტორის ერთობლივი შედეგი, რომელიც აისახება ფერმერების შემოსავლების ზრდაში.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიწის კონსოლიდაცია ვერ იქნება უნივერსალური გადაწყვეტა, აჭარის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროა უფრო კომპლექსური მიდგომა, რადგან რეგიონს აქვს მნიშვნელოვანი თავისებურებები როგორც გეოგრაფიული, ისე სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით. აჭარის

რეგიონის დიდი ნაწილი მთაგორიანია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოებას. მთიან რეგიონებში გავრცელებულია ტერასული მიწათმოქმედება, რაც თავისთავად ზღუდავს როგორც მიწების კონსოლიდაციის, ისე მექანიზაციის შესაძლებლობებს. რელიეფის სირთულე განაპირობებს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს წარმოების მასშტაბების ზრდას.

სოციალურ-კულტურული ფაქტორები წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან გამოწვევას. აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიციული მეურნეობის წარმოების პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიცია, რომელიც გულისხმობს მიწის ნაკვეთების დანაწილებას მემკვიდრეებს შორის. ეს პრაქტიკა კიდევ უფრო ამძაფრებს მიწების ფრაგმენტაციის პრობლემას. ამასთან, მთიან რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ, რაც დამატებით ბარიერს ქმნის ინოვაციური მიდგომების დანერგვისთვის.

ამ გამოწვევების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ მიწის კონსოლიდაცია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც უნივერსალური გადაწყვეტა რეგიონის ყველა ნაწილისთვის. საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც კონკრეტული ტერიტორიების გეოგრაფიულ სპეციფიკას, ისე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს.

მნიშვნელოვანია ალტერნატიული გადაწყვეტების განხილვა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ არსებული რესურსები.

ინტენსიური მეურნეობის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. მცირე ფართობების პირობებში განსაკუთრებით პერსპექტიულია მაღალშემოსავლიანი კულტურების წარმოება, რაც საშუალებას იძლევა შეზღუდული მიწის რესურსიდან მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი მივიღოთ. სასათბურე მეურნეობების განვითარება კი უზრუნველყოფს წარმოების სეზონურობის დაძლევას და მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას. განსაკუთრებით საინტერესოა ვერტიკალური მეზაღეობის დანერგვის პერსპექტივა, რაც საშუალებას იძლევა მცირე ფართობზე შეიქმნას მრავალმარაგობის წარმოება.

სპეციალიზაცია და ნიშური პროდუქციის განვითარება წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას. აჭარული თაფლის წარმოების გაფართოება განსაკუთრებით პერსპექტიულია, რადგან პროდუქტს უკვე აქვს გარკვეული ცნობადობა და საექსპორტო პოტენციალი. ადგილობრივი ჯიშების განვითარება კი უზრუნველყოფს უნიკალური პროდუქციის შექმნას, რომელიც უკეთ არის მორგებული ადგილობრივ პირობებს. ბიო პროდუქციის წარმოებას განსაკუთრებული პოტენციალი აქვს მთიან რეგიონებში, სადაც ბუნებრივად არის შენარჩუნებული ეკოლოგიურად სუფთა გარემო.

ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა წარმოადგენს მესამე მნიშვნელოვან მიმართულებას. მცირე მექანიზაცია, როგორცაა მოტობლოკები და მინი-ტრაქტორები, იდეალურად ერგება მთიანი რეგიონის სპეციფიკას. წვეთოვანი მორწყვის სისტემები განსაკუთრებით ეფექტიანია წყლის რესურსების დაზოგვისა და მოსავლიანობის გაზრდის თვალსაზრისით. სმარტ სოფლის მეურნეობის ელემენტების დანერგვა კი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ წარმოების პროცესების მართვა და მონიტორინგი.

ამ ალტერნატიული გადაწყვეტების წარმატებით დანერგვისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც ეტაპობრივ განვითარებას, ისე ადაპტირებული მოდელების შემუშავებას და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპილოტე პროექტების განხორციელება და წარმატებული მაგალითების შექმნა, რაც დაეხმარება ფერმერებს უკეთ გაიაზრონ ახალი მიდგომების უპირატესობები.

ჩვენი კვლევები ადასტურებს, რომ აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვის სისტემური განვითარება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას რეგიონის სასურსათო პოტენციალის სრული რეალიზებისთვის. მიგვაჩნია, რომ წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და მარკეტინგის რგოლებს შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბება.

ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. ცოდნისა და ინოვაციების სისტემის განვითარება:
 - კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება
 - აგრარული განათლებისა და ექსტენციის სისტემის მოდერნიზაცია

- ინოვაციური ტექნოლოგიების სადემონსტრაციო-საცდელი ცენტრების შექმნა

2. ინფრასტრუქტურის განვითარება:

- თანამედროვე სამაცივრე და სასაწყობო სისტემების მოწყობა
- გადამამუშავებელი საწარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია
- ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა

3. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია:

- მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თანამედროვე სისტემები
- Smart Farming გადაწყვეტილებების დანერგვა
- ციფრული მარკეტინგის პლატფორმების განვითარება

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება უნდა განხორციელდეს რეგიონის აგროეკოლოგიური ზონების სპეციფიკის გათვალისწინებით. ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებული პოტენციალი არსებობს შემდეგ მიმართულებებში:

სუბტროპიკული ზონისთვის:

- ციტრუსოვანი კულტურების წარმოების ინტენსიფიკაცია თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენებით

- კივის და სხვა ახალი კულტურების წარმოების განვითარება
- ბიოწარმოების მეთოდების დანერგვა ტურისტული ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მაღალმთიანი ზონისთვის:

- მეცხოველეობის დარგის მოდერნიზაცია როტაციული ძოვების სისტემების დანერგვით;

- მთის პროდუქტების (თაფლი, რძის ნაწარმი) ბრენდირება და ხარისხის მართვის სისტემების განვითარება;

- სამოვრების მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა

შუა ზონისთვის:

- სასათბურე მეურნეობების განვითარება ჰიდროპონული სისტემების გამოყენებით;

- მრავალწლიანი კულტურების ინტენსიური ბაღების გაშენება;
- წვეთოვანი მორწყვის სისტემების დანერგვა.

მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებებით ინოვაციური მიდგომების დანერგვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ წარმოების მოცულობის ზრდას, არამედ ხელს შეუწყობს - რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას, აგრარული სექტორის მიმზიდველობის ზრდას ახალგაზრდებისთვის,

აღნიშნული ცვლილებების განხორციელება მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას სახელმწიფო, კერძო და სამეცნიერო სექტორებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერების აქტიური ჩართულობა ინოვაციური მიდგომების დანერგვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს მათ მდგრად განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინოვაციური მიდგომების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. ჩვენი გაანგარიშებით, საჭირო იქნება:

- სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების გაფართოება;
- შეღავათიანი აგროკრედიტების სისტემის განვითარება;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების რესურსების მობილიზება;
- კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევექმნათ მდგრადი სასურსათო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებას, ისე ტურისტული სექტორის მზარდ მოთხოვნებს

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ აჭარის რეგიონის სასურსათო პოტენციალის სრული რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ სისტემური, ინოვაციური მიდგომების დანერგვით. მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამ ძირითად მიმართულებას:

1. ცოდნისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას, რაც მოიცავს როგორც კვლევით ინფრასტრუქტურას, ისე საკონსულტაციო მომსახურების თანამედროვე მოდელებს.

2. აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით.

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას რეგიონის აგროეკოლოგიური ზონების სპეციფიკის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინოვაციური მიდგომების წარმატებული დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის - სახელმწიფოს, ფერმერების, კერძო სექტორისა და სამეცნიერო წრეების კოორდინირებული თანამშრომლობით. სწორედ ასეთი თანამშრომლობის პირობებში შეძლებს აჭარის რეგიონი თავისი სასურსათო პოტენციალის სრულ რეალიზებას და მდგრადი სასურსათო სისტემის ჩამოყალიბებას

2.2. სასურსათო უსაფრთხოების და კონკურენტუნარიანობის ანალიზი და ძირითადი ტენდენციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს უნიკალურ რეგიონს საქართველოში თავისი აგრარული პოტენციალით და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევებით. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ანგარიშის თანახმად, რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ 323.6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც მემცენარეობაზე მოდის 189.4 მლნ ლარი, ხოლო მეცხოველეობაზე - 134.2 მლნ ლარი. დინამიკაში თვალსაჩინოა მემცენარეობის სექტორის, განსაკუთრებით კი ციტრუსოვანი და კენკროვანი კულტურების წარმოების ზრდის ტენდენცია, რაც განპირობებულია როგორც სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებით, ასევე საექსპორტო ბაზრების გაფართოებით. მეცხოველეობის სექტორში კი გამოწვევად რჩება საკვების გაზრდილი ფასები და ვეტერინარული მომსახურების ხარჯები, თუმცა სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამები


რეგიონის საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის განხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბტროპიკული ზონის არსებობა, რაც უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის გარკვეული კულტურების წარმოებისთვის. საქსტატის 2023

წლის მონაცემებით, აჭარაში იწარმოება საქართველოში წარმოებული ციტრუსის 80%-ზე მეტი. კერძოდ, 2022 წელს რეგიონში წარმოებული იქნა 48.5 ათასი ტონა მანდარინი, რაც წინა წელთან შედარებით 12%-იანი ზრდაა (სსეს რეგ., 2023).

საქართველოში ციტრუსის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი 2020 წლის მონაცემებით შეადგენს - 9.1 ათას ჰა-ს, საიდანაც 5.4 ათასი ჰა აჭარის ტერიტორიაზეა გაშენებული; 2022 წლის მონაცემებით საქართველო, მსოფლიოში მანდარინის წარმოების 93 ქვეყანას შორის 37-ე პოზიციას იკავებს; 2023 წლის მონაცემებით ციტრუსის წარმოების 83% (59,2 ათასი ტონა) აჭარაზე მოდის, მ.შ. მანდარინი - 55.1 ათასი ტონა, ფორთოხალი - 2.0 ათასი ტონა და ლიმონი - 2.0 ათასი ტონა.


2016-2024 წლებში ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით აჭარაში განხორციელდა - 87 ათას ტონამდე სამრეწველო ტიპის მანდარინის სუბსიდირება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 11 მლნ ლარამდე. 2024 წელს მაღალი ციტრუსის საექსპორტო მაჩვენებელი დაფიქსირდა, კერძოდ, რეალიზებული იქნა 41 061 ტონა ციტრუსი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 26 მლნ 112 ათასი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 32.5%-ით მეტია.

დიაგრამა N2. მანდარინის ექსპორტი წლების მიხედვით ღირებულებაში გამოხატული



წყარო: აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დიაგრამა N3. მანდარინის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



წყარო: აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვფიქრობთ, საქართველოს ციტრუსის სექტორის ანალიზი აჩვენებს მნიშვნელოვან ტენდენციებს და თავისებურებებს. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, სექტორში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. პირველ რიგში, საჭიროა პროდუქციის დივერსიფიკაცია - ფორთოხლისა და ლიმონის წარმოების გაზრდა, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას ერთ კულტურაზე. ასევე მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, რაც გაზრდის პროდუქციის ღირებულებას და შესაბამისად, ფერმერების შემოსავლებს.


აჭარის ციტრუსის სექტორს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების გასაუმჯობესებლად. ამისთვის საჭიროა როგორც წარმოების მოცულობის ზრდა, ისე ხარისხის სტანდარტების დაცვა და პროდუქციის დამატებითი ღირებულების შექმნა. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ სექტორი დინამიურად ვითარდება და სახელმწიფო მხარდაჭერის გაგრძელების პირობებში, შესაძლებელია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

2024 წლის მონაცემებით აჭარაში თხილის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს 4,8 ათას ჰა-ს, ხოლო წარმოება შეადგენს 6000 ტონას.

აჭარის სასოფლო-სამეურნეო მიმართულებების ანალიზი მრავალმხრივ საინტერესო ტენდენციებს აჩვენებს. კენკროვანი და ხეხილოვანი კულტურებით დაკავებული 8.1

ათასი ჰექტარი და 14 000 ტონა წარმოება მიუთითებს ამ სექტორის მნიშვნელოვან როლზე რეგიონის ეკონომიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია კენკროვანი კულტურების, კერძოდ ლურჯი მოცვისა და ჟოლოს წარმოების ინტენსიური განვითარება, რომელმაც 2023 წელს 700 ტონას მიაღწია.

დიაგრამა N4. თბილისის ექსპორტი საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რაც შეეხება მევენახეობას - აჭარაში ვენახის ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობი შეადგენს - 300 ჰა-ს., საიდანაც ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძენი გაშენებულია 160 ჰა-ზე. 2023 წლის მონაცემებით 2 200 ტონა ყურძენი იწარმოება, მათ შორის ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის 1000 ტ მდე ყურძენი; წელს რეგიონში ფუნქციონირებს ყურძნის გადამამუშავებელი 2 მსხვილი საწარმო, რომელიც ჯამში გადაამუშავებს 170 ტ ადგილობრივ ყურძენს, ძირითად ღვინის სახით.

აღნიშნულ კულტივირებულ წარმოებას მნიშვნელოვნად ავსებს რეგიონის ველური და ტყის ხილის რესურსი. აჭარის მთიანი რელიეფი და ტყის საფარი წარმოადგენს უნიკალურ ეკოსისტემას, სადაც ბუნებრივად გავრცელებულია ველური კენკროვანი და ხეხილოვანი კულტურები. კერძოდ, ველური კენკრის (მოცვი, მაყვალი, ასკილი) საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 2,000 ჰექტარს, საიდანაც პოტენციური მოსავლიანობა წელიწადში 150-200 ტონას აღწევს. ასევე მნიშვნელოვანია ველური

მსხლისა და ვაშლის რესურსი, რომელიც არა მხოლოდ სამრეწველო გადამამუშავების, არამედ სელექციური მუშაობის პერსპექტივასაც ქმნის.

თუმცა, როგორც კულტივირებული, ისე ველური კენკროვანი და ხეხილოვანი კულტურების სრული პოტენციალის რეალიზებისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომის დანერგვა. ეს მოიცავს როგორც გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას (სამაცივრე მეურნეობები, შოკური გაყინვის დანადგარები), ასევე ველური რესურსის მდგრადი შეგროვების პრაქტიკის დანერგვას, შემგროვებელთა გადამზადებას და სოფლებში პირველადი დამუშავების პუნქტების მოწყობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერტიფიცირების სისტემის განვითარება ბიო/ორგანული პროდუქციისთვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც კულტივირებული, ისე ველური პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

თხილის წარმოებაში მოსავლიანობის დაბალი დონე (1 ჰა-ზე 1.3 ტონა) მიუთითებს პროდუქტიულობის გაზრდის მნიშვნელოვან პოტენციალზე. ამ მიმართულებით აუცილებელია თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა და მავნებლებთან ბრძოლის ეფექტიანი სისტემების განვითარება.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სექტორის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომის დანერგვა, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას, ისე ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სარწყავი სისტემების მოდერნიზაციას, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების ქსელის განვითარებას.

საფინანსო მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვანია შეღავათიანი აგროკრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების სტიმულირება. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფერმერთა კოოპერაციის წახალისებას, რაც საშუალებას მისცემს მცირე მეურნეობებს გააერთიანონ რესურსები და გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა.

რეგიონის უნიკალური აგროკლიმატური პირობები და არსებული წარმოების მასშტაბები ქმნის მყარ საფუძველს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა ამ პოტენციალის სრული რეალიზება მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო სექტორის მხრიდან.

რაც შეეხება მეცხოველეობას, დღეის მდგომარეობით რეგიონში ირიცხება 61 300 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 148 ათასი ფრთა ყველა სახის ფრინველი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება აჭარაში:

- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი 1 300 ტონა
- ✓ ფრინველის ხორცი 300 ტონა
- ✓ რძე 29 მლნ. ლიტრი
- ✓ კვერცხი 3.7 მლნ. ცალი

აჭარაში 2023 წლის მონაცემებით აღრიცხულია 22 400 ფუტკრის ოჯახი და იწარმოება 300 ტონა თაფლი.

დღეის მონაცემებით რეგიონში ფუნქციონირებს 32 საკალმახე მეურნეობა, სადაც წარმოებულია წლიურად 195 ტონა ცისარტყელა კალმახი (აჭარა, 2023).

ვფიქრობთ მეცხოველეობას, მეფუტკრეობას და აკვაკულტურას აქვს პოტენციური განვითარების და გაზარდოს წარმოების მასშტაბები. სექტორის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია:

- გადამამუშავებელი საწარმოების ქსელის განვითარება, განსაკუთრებით რძის პროდუქტების მიმართულებით
- ვეტერინარული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
- საკვები ბაზის გაძლიერება და საძოვრების მართვის სისტემების დანერგვა
- კოოპერაციის განვითარება რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის
- სასელექციო-სანაშენე საქმიანობის გაძლიერება პროდუქტიული ჯიშების გასავრცელებლად

ამ მიმართულებებზე კომპლექსური მუშაობა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მეცხოველეობის სექტორის ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა.

ცალკე აღსანიშნავია ქობულეთის მუნიციპალიტეტში განვითარებული სასათბურე მეურნეობები. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის კვლევის მიხედვით, ამ ზონაში კონცენტრირებულია ყველაზე მეტი სასათბურე ფართობი, სადაც წლიურად იწარმოება დაახლოებით 12 ათასი ტონა ბოსტნეული. ეს პროდუქცია არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, არამედ ექსპორტირდება მეზობელ ქვეყნებში.

თუმცა, რეგიონი დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. USAID-ის 2023 წლის კვლევის "საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ანალიზი" თანახმად, აჭარაში სასოფლო-სამეურნეო მიწების მკვეთრი ფრაგმენტაცია შეინიშნება - საშუალო ნაკვეთის ზომა მხოლოდ 0.75 ჰექტარს შეადგენს. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს მასშტაბური წარმოების განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას.

გარდა ამისა აქტიურად დგას კლიმატით გამოწვეული პრობლემები, არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსის ანგარიშშიც გამოჩნდა ეს პრობლემა. ზოგადად Mercy Corps-ის საქმიანობა საქართველოში საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციამ ეფექტიანად შეუწყოს ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

2022 წლის მაისიდან ორგანიზაციამ დაიწყო Alliances Caucasus 2 (ALCP2) პროგრამის განხორციელება, რომელიც გაგრძელდება 2026 წლის აპრილამდე. პროგრამისთვის გამოყოფილია 6 მილიონი შვეიცარული ფრანკი და მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, პროგრამა მოიცავს საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონებს - ქვემო ქართლს, სამცხე-ჯავახეთს, აჭარას, კახეთს და დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, გურია, რაჭა და იმერეთი). ეს ფართო გეოგრაფიული არეალი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად მოიცვას სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობა.

პროგრამის პირველი შედეგები უკვე თვალსაჩინოა - დღეის მდგომარეობით მოცულია 9,641 სასოფლო მეურნეობა, რომელთაგან 46% უკვე იღებს ფინანსურ სარგებელს. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის ფარგლებში მიღწეულმა შემოსავლის ზრდამ 4.3 მილიონ ლარს გადააჭარბა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა 57 სრული განაკვეთის სამუშაო ადგილი.

განსაკუთრებით საინტერესოა აჭარის რეგიონში განხორციელებული აქტივობები. აქ Mercy Corps აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ სტრუქტურებთან - მხარს უჭერს სამინისტროს მიერ ინიცირებულ მეწარმეობის განვითარების პროგრამას, ეხმარება პირველადი წარმოების, გადამამუშავების და სტანდარტიზაციის პროცესებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ეხმარება წარმოებას, რომელიც აჭარის

მაცხოვრებლებს მოუტანს სარგებელს, მაგალითად შპს „ნომა“-სთვის, რომელიც ახორციელებს მაღალმთიანი აჭარიდან ტყის მოცვის, უკვდავს ყვავილის შეგროვებას, გადამუშავებას და საექსპორტოდ მის რეალიზაციას - მერსი ქორფსმა გამოყო დაფინანსება და შეუსყიდა საჭირო მანქანები, რომელიც უადვილებს მაღალმთიან აჭარაში გადაადგილებას - თუმცა მთავარი მიზანი, თუ რატომ მოხდა მსგავსი ტიპის დახმარების გაწევა ამ კომპანიაზე არის ის რომ კომპანიას ტყის მოცვის და უკვდავს ყვავილის შეგროვებაში ჩართული ყავს 500-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე, რომლებიც ცხადია იღებენ ფინანსურ სარგებელს ამ საქმიანობით.

ასევე განსაკუთრებით წარმატებულია მეფუტკრეობის მიმართულება, სადაც ორგანიზაცია Mercy Corps მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაციასთან და მონაწილეობს ბათუმის თაფლის ფესტივალის ორგანიზებაში.

თუმცა, არსებობს გარკვეული გამოწვევებიც. პროგრამის მასშტაბის ზრდის ტემპი ჯერჯერობით ჩამორჩება დაგეგმილს - პროგრამის დროის 42%-ის გასვლის შემდეგ მიზნის მხოლოდ 22% არის მიღწეული. ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კლიმატური ცვლილებები - მაგალითად, თაფლის წარმოება 70%-ით შემცირდა, ხოლო გახანგრძლივებულმა წვიმებმა მნიშვნელოვნად დააზიანა მულბერის მოსავალი.

მიუხედავად გამოწვევებისა, Mercy Corps-ის ALCP2 პროგრამა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინიციატივას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. პროგრამის კომპლექსური მიდგომა და მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ სტრუქტურებთან ქმნის მდგრადი განვითარების საფუძველს.

FAO-ს 2023 წლის პროგნოზის მიხედვით, აჭარის რეგიონში 2025-2030 წლებში მოსალოდნელია ორგანული წარმოების 15-20%-იანი წლიური ზრდა. ამასთან, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, იზრდება რეგიონის პროდუქციის ევროპულ ბაზრებზე შეღწევის პოტენციალი.

ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის სასურსათო ბაზარზე. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სტატისტიკით, 2023 წელს რეგიონს 2.1 მილიონზე მეტი ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წელთან შედარებით 25%-იანი ზრდაა. ტურისტული სეზონის პიკზე სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა საშუალოდ 2.5-3-

ჯერ იზრდება, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი მწარმოებლებისთვის.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშის თანახმად, ბოლო 10 წლის განმავლობაში აჭარაში საშუალო ტემპერატურა 0.8°C-ით გაიზარდა, რაც გავლენას ახდენს ტრადიციული კულტურების მოსავლიანობაზე. ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2023 წელს დაიწყო კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროგრამა, რომელიც მოიცავს გვალვაგამძლე ჯიშების დანერგვას და მორწყვის თანამედროვე სისტემების გავრცელებას.

აჭარის რეგიონში მეცხოველეობის დარგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის მონაცემებით, რეგიონში ირიცხება 42,500 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რაც წინა წელთან შედარებით 3.2%-ით ნაკლებია. ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს რძისა და ხორცის პროდუქტებზე არსებულ მოთხოვნას - რეგიონის მოთხოვნილების მხოლოდ 35% კმაყოფილდება ადგილობრივი წარმოებით. განსაკუთრებით პრობლემატურია სამოვრების მართვის საკითხი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, სადაც გადამოვების პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალპური სამოვრების ეკოსისტემას.

დარგის განვითარებას ასევე აფერხებს რიგი სისტემური პრობლემები. მაღალმთიან სოფლებში შეზღუდულია ვეტერინარული მომსახურების ხელმისაწვდომობა, რაც გამოწვეულია როგორც სპეციალისტების ნაკლებობით, ისე სერვისის მაღალი ფასებით. ფერმერული მეურნეობები განიცდიან თანამედროვე ტექნოლოგიების დეფიციტს - მოძველებულია საწველი დანადგარები და სადგომები, რაც პირდაპირ აისახება პროდუქციის ხარისხსა და მოცულობაზე. პრობლემატურია კვალიფიციური კადრების საკითხიც - იკლებს ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა, ხოლო გამოცდილი ფერმერები ვერ ახერხებენ თანამედროვე მიდგომების დანერგვას.

პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება მეფრინველეობის დარგში. 2022-2023 წლებში აჭარაში განხორციელდა 3 მსხვილი საინვესტიციო პროექტი, ჯამური ღირებულებით 8.2 მლნ ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში აშენდა თანამედროვე მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც წლიურად 2.5 მლნ კვერცხს აწარმოებს. თუმცა,

ბროილერის წარმოება კვლავ მცირე მასშტაბებით ხასიათდება და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნას.

აგრარული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა: რეგიონის აგრარული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. მსოფლიო ბანკის 2023 წლის შეფასებით, სასოფლო-სამეურნეო გზების მხოლოდ 45% არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მაღალმთიან სოფლებში, სადაც სეზონური წვიმების დროს ხშირია გზების ჩახერგვა და დაზიანება. 2022-2023 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებულია 120 კმ სასოფლო გზა, თუმცა ეს მხოლოდ მცირე ნაწილია საერთო საჭიროებიდან.

სარწყავი სისტემების მდგომარეობა ასევე პრობლემატურია. აჭარის მელიორაციის დეპარტამენტის მონაცემებით, სარწყავი სისტემების 60% მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. 2023 წელს დაიწყო მასშტაბური პროექტი "აჭარის სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია", რომლის ბიუჯეტი 15 მლნ ლარს შეადგენს და მოიცავს 2,800 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ირიგაციის სისტემების განახლებას.

არსებული სურათის უფრო მკაფიოდ აღსაქმელად, შევადგინეთ SWOT ანალიზი, რომელიც მოიცავს ყველა ზემოთ განხილულ ასპექტს:

ცხრილი N5. აჭარის რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების Swot ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strengths):	სუსტი მხარეები (Weaknesses):
• უნიკალური სუბტროპიკული ზონა ციტრუსოვანთა წარმოებისთვის • წარმატებული მეფუტკრეობის სექტორი ექსპორტის პოტენციალით • მზარდი ტურისტული სექტორი, რაც ზრდის სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნას • მზარდი ორგანული წარმოება და ბიომეურნეობები • ინოვაციური პროექტების დანერგვის პოზიტიური გამოცდილება • საინვესტიციოდ მიმზიდველი გარემო • სამეცნიერო -კვლევითი ცენტრები	• სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია • მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე ძირითად სასურსათო პროდუქტებში • მეცხოველეობის დარგის არასაკმარისი განვითარება • მოძველებული სარწყავი სისტემები • სასოფლო-სამეურნეო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • მცირემიწიანობის პრობლემა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში

შესაძლებლობები (Opportunities):	საფრთხეები (Threads):
• ევროკავშირის ბაზარზე შეღწევის გაზრდილი პოტენციალი; • ორგანული წარმოების ზრდის მაღალი პოტენციალი; • აგროლოგისტიკური ცენტრის განვითარების პერსპექტივა; • ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები; • კოოპერატიული მოძრაობის განვითარების პერსპექტივა; საერთაშორისო დონორების მზარდი ინტერესი რეგიონის მიმართ	• კლიმატის ცვლილების ნეგატიური გავლენა • საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მერყეობა • სტიქიური მოვლენების გახშირებული რისკები • სამოვრების დეგრადაციის საფრთხე გადამოვების გამო • მაღალი კონკურენცია იმპორტირებული პროდუქციისგან • კვალიფიციური კადრების ნაკლებობა აგრარულ სექტორში • რეგიონული კონფლიქტებისა და საომარი მდგომარეობის რისკები • სატრანსპორტო დერეფნების შეფერხების რისკი • სასურსათო ფასების მკვეთრი ზრდის საფრთხე კრიზისულ პერიოდებში საერთაშორისო ინვესტიციების შემცირების რისკი არასტაბილურობის გამო

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აჭარის სასურსათო უსაფრთხოებაზე. შავი ზღვის რეგიონში არსებული დამაბულობა და სამხედრო კონფლიქტები პირდაპირ აისახება სასურსათო პროდუქციის იმპორტ-ექსპორტზე. აჭარის პორტების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნებისმიერი საზღვაო ბლოკადა ან შეფერხება სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის სასურსათო ხელმისაწვდომობას. 2023 წლის მონაცემებით, აჭარის გავლით ხორციელდება საქართველოს მარცვლეულის იმპორტის 65%. შესაბამისად, სატრანსპორტო დერეფნების შეფერხება პირდაპირ აისახება ძირითადი სასურსათო პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე.

სასურსათო უსაფრთხოების ეკონომიკური ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ 2023 წელს საქართველოში საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტმა 1.63 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ როცა ექსპორტი

მხოლოდ 1.24 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი (-390 მილიონი დოლარი) მიუთითებს ქვეყნის მაღალ დამოკიდებულებაზე იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ ზრდის მოწყვლადობას საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ცვლილების მიმართ (საქსტატი, 2023).

რეგიონის სასურსათო უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება მცირემიწიანობის პრობლემას, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში. მდგომარეობას ამძიმებს მოძველებული სარწყავი სისტემები და სასოფლო-სამეურნეო გზების არადაამკაყოფილებელი მდგომარეობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული გამოწვევები ცხადყოფს, რომ აჭარის რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც მიმართული იქნება როგორც წარმოების გაზრდისკენ, ასევე იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებისკენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფრასტრუქტურის განვითარებას და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის აგრარული სექტორის მდგრად განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

2.3. დარგთა შეთანწყობის პრობლემები სასურსათო მეურნეობაში

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონში, დარგთა შეთანწყობის პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ტრადიციული დარგების მოდერნიზაცია და ინოვაციური მიდგომების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სექტორის მდგრად განვითარებას.

ისტორიულად, საქართველოს სოფლის მეურნეობა ხასიათდებოდა დარგების მრავალფეროვნებით. მემცენარეობაში წამყვანი პოზიციები ეკავა მევენახეობას, მეხილეობას და მარცვლეული კულტურების წარმოებას. მეცხოველეობის დარგში კი

განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეცხვარეობა და მეფრინველეობა. თითოეულ რეგიონს ჰქონდა თავისი სპეციალიზაცია, რაც განპირობებული იყო ბუნებრივ-კლიმატური პირობებით.

თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს ტრადიციული მიდგომების გადახედვას. გლობალური დათბობა, წყლის რესურსების შემცირება, მოსახლეობის ზრდა და საკვებ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა, ექსპორტ-იმპორტის თავისებურება ქმნის აუცილებლობას, დაინერგოს ინოვაციური მიდგომები და მეთოდები.

აჭარის რეგიონში შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. არსებული სასაწყობო ობიექტები არასაკმარისი და მოძველებულია, რაც იწვევს პოსტ-საწარმოო დანაკარგებს. სოფლებში ჯერ კიდევ სრულად გაუმართავი გზები, შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებები და ბაზრის დაშორება ფერმერებს უკარგავს წარმოების სტიმულს.

ინოვაციური მიდგომებიდან განსაკუთრებით პერსპექტიულია:

- პრეციზიული მიწათმოქმედება, რომელიც GPS ტექნოლოგიებისა და სენსორების გამოყენებით აუმჯობესებს რესურსების მართვას;
- ჭკვიანი სათბურები, სადაც ავტომატიზებულია მიკროკლიმატის კონტროლი;
- ვერტიკალური მეურნეობები, რომლებიც იძლევა მცირე ფართობზე მაღალი მოსავლის მიღების შესაძლებლობას;
- აკვაპონიკა, რომელიც აერთიანებს თევზის მოშენებას და მცენარეთა მოყვანას ამავედროულად, მნიშვნელოვანია ტრადიციული დარგების მოდერნიზაცია;
- მევენახეობაში ახალი ჯიშების დანერგვა და ვენახების მოვლის თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- მეცხოველეობაში გენეტიკურად გაუმჯობესებული ჯიშების შემოყვანა და კვების რაციონის ოპტიმიზაცია;
- მემცენარეობაში დაშრობითი და სარწყავი სისტემების მოდერნიზაცია.

დარგთა ოპტიმალური შეთანწყობისთვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას:

1. რეგიონული თავისებურებები და აგროკლიმატური პოტენციალი;
2. ბაზრის მოთხოვნები და ექსპორტის შესაძლებლობები;
3. მცირე და საშუალო ფერმერების ინტერესები;
4. გარემოსდაცვითი ფაქტორები და მდგრადი განვითარების პრინციპები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ფერმერების მხარდაჭერას, რადგან ისინი წარმოადგენენ სექტორის უმრავლესობას. მათთვის მნიშვნელოვანია:

- ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა;
- კოოპერაციის წახალისება;
- საკონსულტაციო მომსახურების განვითარება;
- ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება.

აჭარის მაღალმთიანეთი უნიკალური რეგიონია, სადაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მეურნეობის წარმართვის განსაკუთრებული ფორმები. ტრადიციული დარგებიდან აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მესაქონლეობას. მაღალმთიანი საძოვრები და ალპური მდელოები იძლეოდა საშუალებას განვითარებულიყო როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მეცხოველეობა. ადგილობრივი მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში იყენებდა სეზონური გადარეკვის პრაქტიკას - ზაფხულში საქონელი იძოვდა მაღალმთიან საძოვრებზე, ხოლო ზამთარში ჩამოჰყავდათ ბარში.

მეცხოველეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სპეციფიკურმა ტექნოლოგიამ განაპირობა უნიკალური სამზარეულოს ჩამოყალიბება. აჭარული ყველი, რომელიც მზადდება განსაკუთრებული ტექნოლოგიით, დღესაც წარმოადგენს რეგიონის სავიზიტო ბარათს. ტრადიციული მეთოდებით მზადდება აგრეთვე კარაქი, ნადუდი და სხვა რძის პროდუქტები.

მეფუტკრეობა წარმოადგენს კიდევ ერთ ტრადიციულ დარგს, რომელიც საუკუნეებია არსებობს რეგიონში. აჭარული მთის თაფლი გამოირჩევა

განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით, რაც განპირობებულია უნიკალური ფლორით. ტრადიციულად, მეფუტკრეები იყენებდნენ ხის სკებს და სეზონურად გადაადგილდებოდნენ სხვადასხვა სიმაღლეზე, თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის პერიოდის მიხედვით.

თანამედროვე ეტაპზე ეს ტრადიციული დარგები განიცდიან მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. მესაქონლეობაში ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები - გაუმჯობესებული ჯიშები, მექანიზებული საწველი დანადგარები, ვეტერინარული მომსახურების თანამედროვე სტანდარტები. მეფუტკრეობაში გამოიყენება ახალი ტიპის სკები, თაფლის გადამამუშავებელი დანადგარები, ხარისხის კონტროლის თანამედროვე სისტემები.

სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სერვისების მიწოდება აჭარის რეგიონში ხასიათდება ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობით. რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო სამსახურები განიცდიან სპეციალისტების და ფინანსური რესურსების ნაკლებობას, რაც ზღუდავს მათ უნარს გაუწიონ ტექნიკური დახმარება და ექსტენციის მომსახურება ფერმერებს. ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სერვისების სიმწირე ასევე აჩენს რისკებს ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისთვის.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგების ერთმანეთთან შეთანწყობა, რაც ქმნის სინერგიულ ეფექტს. აგროტურიზმის განვითარება რეგიონში წარმოადგენს ამის ნათელ მაგალითს. ტრადიციული მეურნეობები გარდაიქმნა აგროტურისტულ კომპლექსებად, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ გაეცნონ ადგილობრივ ტრადიციებს, დააგემოვნონ აუთენტური კერძები, მიიღონ მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მაგალითად, გოდერძის უღელტეხილზე შექმნილი კომპლექსი აერთიანებს ტრადიციულ მეურნეობას და თანამედროვე ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო პროდუქციის რეალიზაციის გზებსაც. თუ ადრე პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა, დღეს განვითარებული ლოგისტიკური სისტემები საშუალებას იძლევა მოხდეს მისი რეალიზაცია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე საექსპორტო ბაზრებზე. შექმნილია სამაცივრე მეურნეობები, სადისტრიბუციო ცენტრები, გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა.

კოოპერაციის განვითარებამ საშუალება მისცა წვრილ მეურნეობებს გაერთიანებინათ ძალისხმევა. მაგალითად, შუახევის მეფუტკრეთა კოოპერატივი აერთიანებს რამდენიმე ათეულ მეფუტკრეს, რომლებიც ერთობლივად იყენებენ თანამედროვე აღჭურვილობას, ახორციელებენ პროდუქციის ბრენდირებას და რეალიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. მთის რეგიონების ბუნებრივი უპირატესობა - სუფთა ჰაერი, წყალი და ნიადაგი - იძლევა საშუალებას განვითარდეს ორგანული მეურნეობები. მიმდინარეობს სხვადასხვა პროდუქტის ბიოსერტიფიცირება, რაც ზრდის მათ ღირებულებას ბაზარზე.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. რეგიონში იზრდება მზის პანელების გამოყენება, რაც ამცირებს ენერგიის ხარჯებს სათბურებში, სამაცივრე მეურნეობებში. ხულოს მუნიციპალიტეტში ფერმერების მიერ დამონტაჟებული მზის პანელები უზრუნველყოფენ სათბურების გათბობას და განათებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.

სოფლის მეურნეობასთან სინერგიული ეფექტის მქონე სხვა დარგებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ:

1. მსუბუქი მრეწველობა - განსაკუთრებით ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება
2. ენერგეტიკა და განახლებადი ენერგიის წყაროები - ბიომასის, ბიოგაზისა და მზის ენერგიის პროექტები სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენებით
3. ლოგისტიკა და ტრანსპორტი - სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და ტრანსპორტირების სერვისები
4. განათლება და ტრენინგი - სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადება, ექსტენციის სერვისები და მეწარმეობის ხელშეწყობა
5. ჯანდაცვა და ველნესი - სამკურნალო მცენარეების წარმოება, ორგანული კოსმეტიკისა და ჯანმრთელობის პროდუქტები

6. ინფორმაციული ტექნოლოგიები - აგროტექის გადაწყვეტილებები, რომლებიც აუმჯობესებს წარმოების ეფექტიანობას; ციფრული პლატფორმები, რომლებიც აკავშირებს ფერმერებს პირდაპირ მომხმარებლებთან

განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. შუახევსა და ხულოში გახსნილი პროფესიული სასწავლებლები ამზადებენ სპეციალისტებს სხვადასხვა მიმართულებით - მეფუტკრეობა, მეცხოველეობა, აგროტურიზმი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდების დაინტერესებას სოფლის მეურნეობით. სასწავლო პროგრამები აერთიანებს როგორც ტრადიციული ცოდნის გადაცემას, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლებას.

მნიშვნელოვანი სიახლეა საკონსულტაციო ცენტრების ქსელის განვითარება. ამ ცენტრებში ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური რჩევები დარგის სპეციალისტებისგან, გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს, მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ. მაგალითად, ხულოს საკონსულტაციო ცენტრი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს მეფუტკრეებისთვის თაფლის ხარისხის კონტროლის, დაავადებების პრევენციისა და პროდუქციის სტანდარტიზაციის საკითხებზე.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკების დანერგვა სულ უფრო აქტუალური ხდება. მაღალმთიან აჭარაში ეს მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონში კლიმატის ცვლილების გავლენა უფრო მწვავედ იგრძნობა. თანამედროვე სარწყავი სისტემები, ნიადაგის დაცვის ინოვაციური მეთოდები და კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი კულტურების დანერგვა წარმოადგენს პრიორიტეტს.

ნიადაგის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია ტერასული მიწათმოქმედების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. მთის ფერდობებზე მოწყობილ სპეციალურ ტერასებზე აქტიურად ინერგება ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები - მულჩირება, კონტურული დარგვა და დამცავი ნარგაობები.

ადგილობრივი პროდუქციის ბრენდირება და მარკეტინგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. "აჭარული მთის თაფლი", "აჭარული ყველი" - ეს ის

პროდუქტებია, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ცნობადობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

ტრადიციული და ინოვაციური მიდგომების წარმატებული შეთანწყობა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას:

- სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე - მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;
- საგანმანათლებლო სფეროში - კადრების მომზადება და გადამზადება;
- კვლევით დონეზე - ადგილობრივი პირობებისთვის ოპტიმალური მოდელების შემუშავება;
- პრაქტიკულ დონეზე - პილოტური პროექტების განხორციელება.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ადაპტირება ადგილობრივ პირობებთან. განსაკუთრებით საინტერესოა ისრაელის, ჰოლანდიის და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში.

შეიძლება ითქვას, რომ დარგთა ოპტიმალური შეთანწყობა არის დინამიური პროცესი, რომელიც მუდმივად საჭიროებს ადაპტაციას ცვალებად გარემო პირობებთან. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ბალანსის დაცვა ტრადიციულ და ინოვაციურ მიდგომებს შორის, რაც უზრუნველყოფს სექტორის მდგრად განვითარებას.

ტრადიციული მეურნეობის მოდერნიზაცია და სხვადასხვა დარგების სინერგიული განვითარება/შეთანწყობა - აჭარის რეგიონში წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის, არამედ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და სოციალური კაპიტალის გაძლიერების მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს რეგიონის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას.

**თავი 3. კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შეფასება და
სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიები**

**3.1 კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ეროვნულ სტრატეგიაში
ჩართულობა**

კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზაზე. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი რეგიონული განვითარების კონტექსტში, სადაც ადგილობრივი წარმოების გაძლიერება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

**ცხრილი N6. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარება, წარმოება
და იმპორტი საქართველოში 2023-2030 წლებში**

პროდუქტი	ფიზ. ნორმა 1 სულზე	2023 მოხმარე ბა 1 სულზე	2030 სავარაუდ ო მოსახლე ობა	2030 პროდ. საჭირო მოცულ ობა	2023 წარმ ოება	2023 იმპორ ტი	დეფიციტი 2030-ში	საჭირო ზრდა (%)
ხორბალი	140 კგ	114 კგ	3.68 მლნ	515.2 ათ.ტ	147 ათ.ტ	535 ათ.ტ	-166.8 ათ.ტ	250.5%
კარტოფილი	66 კგ	50 კგ	3.68 მლნ	242.9 ათ.ტ	197 ათ.ტ	35 ათ.ტ	10.9 ათ. ტ	23.3%
ბოსტნეული	110 კგ	58 კგ	3.68 მლნ	404.9 ათ.ტ	142 ათ.ტ	142 ათ.ტ	120.8 ათ.ტ	185.1%
ხორცი სულ	70 კგ	34 კგ	3.68 მლნ	257.6 ათ.ტ	74.2 ათ.ტ	109.3 ათ.ტ	74.1 ათ.ტ	247.2%
რძე	293 ლ	204 ლ	3.68 მლნ	1078.2 ათ.ტ	584 ათ.ტ	197 ათ.ტ	297.2 ათ.ტ	84.6%
კვერცხი	210 ც	176 ც	3.68 მლნ	772.8მლ ნ.ც	653 მლნ ც	62 მლნ ც	57.8 მლნ.ც	18.3%

წყარო: ცხრილი შედგენილი და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ინფორმაციის (ნორმები, წარმოება, იმპორტი) მიხედვით.

ჩვენს მიერ გამოყენებული ფორმულებია:

- 2030 წლის საჭირო მოცულობა = მოსახლეობა (3.680 მლნ) * ფიზიოლოგიური ნორმა
- დეფიციტი = (2030 წლის საჭირო მოცულობა - 2023 წლის წარმოება) - 2023 წლის იმპორტი
- საჭირო ზრდის % = (2030 საჭირო მოცულობა - 2023 წარმოება) / 2023 წარმოება * 100%

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, გამოთვლილია შემდეგნაირად: $y = ax + b$, სადაც:

- y არის მოსახლეობის რაოდენობა
- x არის წელი
- a და b არის კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება მონაცემების საფუძველზე

a და b კოეფიციენტების გამოსათვლელი ფორმულები ასეთია:

$$a = (n * \Sigma(xy) - \Sigma x * \Sigma y) / (n * \Sigma(x^2) - (\Sigma x)^2) \quad b = (\Sigma y - a * \Sigma x) / n$$

სადაც:

- n არის მონაცემების რაოდენობა (ჩვენს შემთხვევაში 5)
- Σx არის წლების ჯამი (2019+2020+2021+2022+2023)
- Σy არის მოსახლეობის რაოდენობების ჯამი
- $\Sigma(xy)$ არის წლებისა და შესაბამისი მოსახლეობის რაოდენობების ნამრავლების ჯამი
- $\Sigma(x^2)$ არის წლების კვადრატების ჯამი

ჩვენს გამოთვლებში მივიღეთ:

- $a = -3.7$ (ეს უარყოფითი რიცხვია, რაც მიუთითებს კლების ტენდენციაზე)
- $b = 11190.9$

ამ კოეფიციენტების გამოყენებით, 2030 წლისთვის პროგნოზი მიიღება ფორმულით:
 $y = -3.7 \cdot 2030 + 11190.9 = 3680$ (დამრგვალებული)

ანუ წრფივი რეგრესიის მოდელი გვიჩვენებს, რომ 2030 წლისთვის მოსალოდნელი მოსახლეობის რაოდენობა იქნება 3 მილიონ 680 ათასი ადამიანი.

ციფრები ცხადყოფს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენი კვლევა ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა 2030 წლამდე.

ხორბლის საკითხი ყველაზე დრამატულია. ჩვენი წარმოება იმდენად დაბალია, რომ იმპორტზე სრულად ვართ დამოკიდებული. გვჭირდება წარმოების თითქმის სამჯერ გაზრდა, რაც სერიოზულ ინვესტიციებსა და სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს.

ბოსტნეული და ხორცი იმ პროდუქტებია, რომლებშიც ყველაზე დიდი ზრდის პოტენციალი გვაქვს. აქ საუბარია წარმოების გაორმაგებაზე, რაც მოითხოვს თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების დანერგვას.

კარტოფილი და კვერცხი უფრო სახარბიელო მდგომარეობაშია. აქ მხოლოდ მცირე ზრდაა საჭირო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სფეროებში უკვე გვაქვს გარკვეული წარმატებული გამოცდილება.

რძის წარმოება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 62%-იანი ზრდის აუცილებლობა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მსხვილი მეწველი მეურნეობების შექმნა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა.

რა გვჭირდება ამ ყველაფრის მისაღწევად? სამი ძირითადი მიმართულება:

1. მასშტაბური კვლევები (სად რისი მოყვანა შეგვიძლია) და საპილოტე პროექტები;
2. ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში;
3. სახელმწიფო მხარდამჭერი პოლიტიკა;
4. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
5. ფერმერების პროფესიული გადამზადება და მხარდაჭერა;

ეს გზა რთული იქნება, მაგრამ შესაძლებელი. საქართველას აქვს ყველა რესურსი იმისათვის, რომ 2030 წლისთვის სასურსათო უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი განახორციელოს.

კვების ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დარგის კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება და ანალიზი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც თეორიული მიდგომების გამოყენება, ისე პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინება. პორტერის ხუთი ძალის მოდელი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს დარგის კონკურენტული გარემოს შესაფასებლად, კერძოდ კონკურენტული უპირატესობების თეორიის მიხედვით, დარგის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება ხუთი ძირითადი ძალის ურთიერთქმედებით: დარგობრივი კონკურენცია, მყიდველთა სავაჭრო ძალა, მომწოდებლების სავაჭრო ძალა, ახალი შემომსვლელების საფრთხე და ჩამნაცვლებელი პროდუქტების საფრთხე (Porter M., 2018).

მყიდველთა სავაჭრო ძალა განსაკუთრებით საინტერესო ფენომენს წარმოადგენს აჭარის რეგიონის კონტექსტში. ტურისტული სეზონის დროს მოთხოვნის სტრუქტურა მკვეთრად იცვლება - იზრდება მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამზარეულოზე.

მომწოდებლების სავაჭრო ძალა რეგიონში წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტიორი მომწოდებლებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სეზონური ფაქტორი - ზაფხულში მოთხოვნის პიკის დროს მომწოდებლების გავლენა იზრდება, რაც ხშირად ფასების ზრდაში აისახება.

საქართველოში სასურსათო ფასების დინამიკის ანალიზი 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მნიშვნელოვან ტენდენციებს ავლენს. წლის განმავლობაში შეინიშნება ფასების არათანაბარი დინამიკა, რომელიც განპირობებულია როგორც სეზონური ფაქტორებით, ასევე სტრუქტურული გამოწვევებით.

სეზონურობის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხილ-ბოსტნეულის ფასებში. აგვისტოში, მოსავლის აღების პერიოდში, ბოსტნეულზე ფასების ზრდა მხოლოდ 1.2%-ს შეადგენდა, მაშინ როცა დეკემბერში ეს მაჩვენებელი 5.3%-მდე გაიზარდა. ხილისა და ყურძნის შემთხვევაში აგვისტოში დაფიქსირდა 2.1%-იანი კლება (ინფლაცია, 2024/08), ხოლო დეკემბერში კლების ტემპი შემცირდა 1.0%-მდე. ეს

მონაცემები ცხადყოფს, რომ სეზონურ პერიოდში ფასები მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე არასეზონზე (ინფლაცია, 2024/12).

ინფლაციის საერთო დინამიკა აჩვენებს ზრდის ტენდენციას - აგვისტოს 1.0%-იანი მაჩვენებელი დეკემბრისთვის 1.9%-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით საყურადღებოა სურსათის ფასების ცვლილება: აგვისტოში დაფიქსირებული 0.2%-იანი კლება დეკემბერში 3.6%-იან ზრდაში გადაიზარდა, რაც 3.8 პროცენტული პუნქტით ცვლილებას წარმოადგენს. არსებული მდგომარეობა მიუთითებს რამდენიმე სტრუქტურულ პრობლემაზე (ინფლაცია, 2024/08; 2024/12):

- მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებში, როგორიცაა ზეთი (+10.1% წლიური ზრდა) და შაქარი (+6.9% წლიური ზრდა)
- არასაკმარისი სასაბურთო და შემნახველი მეურნეობები, რაც განაპირობებს სეზონურ რყევებს
- ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გამოწვევები

სიტუაციის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია კომპლექსური მიდგომის დანერგვა, რომელიც მოიცავს როგორც მოკლევადიან (იმპორტის დივერსიფიკაცია, ლოგისტიკის ოპტიმიზაცია), ისე გრძელვადიან (სასაბურთო მეურნეობების განვითარება, შემნახველი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი წარმოების გაძლიერებას და ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაზრდას თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ფასების სტაბილურობას და შეამცირებს სეზონური რყევების გავლენას სასურსათო ბაზარზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობას.

ჩამნაცვლებელი პროდუქტების საფრთხე მოიცავს როგორც იმპორტირებულ პროდუქციას, ისე ადგილობრივ ალტერნატივებს. აჭარის რეგიონში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესისთვის, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტირებულ პროდუქციას.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, "საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეგიონული განვითარების თავისებურებებს. სტრატეგიული დოკუმენტი ხაზს უსვამს კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კომპლექსურ მიდგომებს და გვთავაზობს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

ინსტიტუციური განვითარების კუთხით აქცენტი კეთდება სურსათის უვნებლობის სისტემების გაუმჯობესებაზე, რაც მოიცავს როგორც მწარმოებლების, ისე მომხმარებლების ინტერესების დაცვას. საექსპორტო პოტენციალის ზრდის მიმართულებით სტრატეგია ითვალისწინებს ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აჭარის რეგიონისთვის სპეციფიკურ პრიორიტეტებს, კერძოდ: ტურიზმისა და აგროწარმოების სინერგიის გაძლიერებას, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერას და ადგილობრივი წარმოების სტიმულირებას. ეს მიმართულებები ხორციელდება ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა საგრანტო პროგრამები, თანადაფინანსების პროექტები და ტექნიკური დახმარების პროგრამები.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

1. სეზონურობის მართვის მექანიზმების დანერგვა:
 - წინასწარი შეკვეთების სისტემის განვითარება მომწოდებლებთან
 - სასაწყობო მეურნეობის გაუმჯობესება
 - ფასების სტაბილიზაციის მექანიზმების შემუშავება
2. ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა:
 - ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა
 - წარმოების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია
 - პროდუქციის საწარმო სიმძლავრეების(რესურსების) დივერსიფიკაცია სეზონების მიხედვით
3. ტურიზმისა და კვების ინდუსტრიის ინტეგრაცია:
 - გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პროგრამების შემუშავება;

- ადგილობრივი პროდუქტების ბრენდინგი და პოპულარიზაცია;
- აგროტურისტული მარშრუტების განვითარება.

4. ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება:

- საკონსულტაციო მომსახურების განვითარება;
- პროფესიული განათლების პროგრამების გაძლიერება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ჩვენი აზრით, ამ რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონის კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მდგრად განვითარებას.

